ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2019 წელი, 31 დეკემბერი, №22-23 (6508)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 80 თეთრი

# გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



## მრავალ ახალ წელს...

ძვირფასო თანამოქალაქენო, ყოველი ახალი წლის შემობრძანება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ადამიანების ცხოვრებაში, ამიტომაც თავი მოვალედ ჩავთვალეთ სადღესასწაულოდ შეგხმიანებოდით.

გულწრფელად ვუერთდებით თქვენს საახალწლო ამაღლებულ განწყობას და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის სახელით გილოცავთ შობა-ახალ წელს.

ვიმედოვნებთ, რომ ეს წელი იქნება თქვენი იმედების და ოცნებების გამართლების, სურვილების განხორციელების, ჯანმრთელობის გაკაჟების, ხანგრძლივი სიცოცხლის, გამრავლებისა და უკეთესი ცხოვრების მომტანი.

მრავალ ახალ წელს დასწრებოდით ბედნიერები და გახარებულები.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

**დავით ქევხიშვილი,**
**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

**როსტომ სესიაშვილი,**
**ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი**

## საახალწლო კონცერტისთვის განსაზღვრული თანხა სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს მოხმარდა

31 დეკემბერს ესტრადის მომღერლების კონცერტისთვის განსაზღვრული თანხა, სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს მოხმარდა და ყვარლის მუნიციპალიტეტის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მონაწილეობით გაიმართება საახალწლო გალა-კონცერტი.

საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, ყვარელში, 25 დეკემბერს ნაძვის ხე აინთო და პატარების განწყობა ანიმატორების და მულტფილმების გმირების ფორმებში გამოწყობილმა მსახიობებმა გაახალისეს. აღსანიშნავია ისიც, რომ 25 და 30 დეკემბრამდე ნაძვის ხის მიმდებარე ტერიტორიაზე „საახალწლო სოფელი“ მოეწყო, სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებლების მიერ წარმოებული სხვადასხვა სახის პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და სხვა ბევრი საახალწლო აქტივობა გაიმართა.

ამავე პერიოდში, „საახალწლო სოფლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდა სოციალური კუთხე – „აჩუქე ახალი წელი“, სადაც მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებმა განათავსეს საკვები, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სათამაშოები და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ აერჩიათ საჭირო ნივთები.



## ღმერთმა დაგლოცოთ და ამ ბრწყინვალე დღის სიხარული არ მოგაკლდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

*7 იანვარს მართლმადიდებლური სამყარო მაცხოვრის შობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს. განკაცებული მაცხოვრის, იესო ქრისტეს შობის შესახებ უამრავი ქადაგება თუ საეკლესიო ლიტერატურა გვამცნობს. თუ რატომ იშვა ღვთისმშობელისაგან მაცხოვარი ბეთლემის ბაგაში, რატომ არ აღვნიშნავთ მართლმადიდებელნი ქრისტეს შობას 25 დეკემბერს და როგორი წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით ვხვდებით ამ დღეს, ამ საკითხებზე გვესაუბრება ყვარლის წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარი – დეკანოზი ბენიამინ ჩიხორლიშვილი.*

**– მამაო, ქრისტიანული სამყაროსათვის ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია შობა. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

– ქრისტეს შობა რომის იმპერიაში გამოცხადებულ ხალხის აღწერას დაემთხვა. ებრაელები თავიანთ წარმომავლობას შტოების და შთამომავლობის მიხედვით აწარმოებდნენ. ეს ჩვეულება იმდენად ძლიერი იყო, რომ იმპერატორ ავგუსტუსის განკარგულების შეტყობინებისთანავე, ყოველი მათგანი იმ ქალაქისაკენ გაემართა, საიდანაც იყვნენ წარმომავლობით, იოსები და ქალწული მარიამი გალილეაში, ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ როგორც ცნობილია, წარმომავლობით დავითის შტოდან იყვნენ და ამიტომაც ისინი ჩასაწერად დავითის ქალაქ ბეთლემში გაემგზავრნენ, სადაც დაიბადა და ეკურთხა დავით მეფსალმუნე. როცა იოსები და მარიამი ქალაქს მიუახლოვდნენ, მარიამს მშობიარობის დრომ მოუწია, იოსებმა დასაბინავებელი ადგილის ძებნა დაიწყო, მაგრამ ვერ იპოვა, რადგან აღწერის გამო უამრავი ხალხი იყო ბეთლემში თავმოყრილი. ვინაიდან უკვე ღამდებოდა და მომავალი მესიის დედისათვის არ აღმოჩნდა ქალაქში ადგილი, იოსები და მარიამი იძულებულნი გახდნენ ქალაქგარეთ, დავითის ჭასთან ახლოს მდებარე გამოქვაბულში შეეფარებინათ თავი, სადაც უამინდობისას მწყემსები თავიანთ საქონელს აბინავებდნენ.

იესო ქრისტე იშვა ღამით, როცა ბეთლემში და მის შემოგარენში ყველა ღრმა ძილს იყო მიცემული. მაცხოვრის დაბადებისთანავე გამოქვაბულში უეცრად პირდაპირ ქვიდან წყარომ ამოხეთქა, ხოლო ზეციდან ანგელოზთა გალობა მოისმა, რომლებიც ასე ადიდებდნენ უფალს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთისა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

გამოქვაბულთან ახლოს მაღალი კოშკი იდგა, სადაც მწყემსები ცხოვრობდნენ. სამ მათგანს იმ ღამეს არ ეძინა, ვინაიდან ფარას დარაჯობდნენ. სწორედ მათ გამოეცხადა მთავარანგელოზი გაბრიელი და უთხრათ: „ნუ გეშინიათ! მე გახარებთ თქვენ უდიდეს სიხარულზე, რომელიც იქნება ყოველი ადამიანისათვის : რამეთუ დავითის ქალაქში მხსნელი იშვა, რომელიც არის უფალი ქრისტესი“ და თან ისიც აუწყა, სად იპოვნიდნენ ახალშობილ ყრმას.



მწყემსები მივიდნენ ახალშობილის დაბადების ადგილას, ნახეს საქონლის ბაგაში მწოლარე ღვთაებრივი ჩვილი და თაყვანი სცეს მას. მათ ყველაფერი უამბეს მთავარანგელოზის გამოცხადების შესახებ ახალშობილის მშობლებს, ღვთისმშობელი კი „ჩუმად უსმენდა მწყემსებს და იმარხავდა ყოველ სიტყვას გულში“.

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე

## თანამემამულენო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. სიხარული, სიყვარული, ხვავი და ბარაქა არ მოგაკლოთ უფალმა!

*ტრადიციულად, ყვარელს საკმაოდ მაღალი დონის შემოქმედებითი ჯგუფები, ანსამბლები და ხელოვანი ადამიანები წარმოაჩენდნენ. დღესაც, ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურულ – შემოქმედები ცხოვრება გამოირჩევა მაღალი აქტიურობით. უკანასკნელ პერიოდში კი, კიდევ უფრო დატვირთული და საინტერესო გახდა ამ სფეროში მიმდინარე საქმიანობა. ამის დასტურია ის, რომ მრავალი სიახლის მომსწრე გავხდით 2019 წელს. განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები და ბევრ საინტერესო იდეას შეესხა ფრთები. ეს წინსვლა და წარმატებები კი ძირითადად შესაბამისი სამსახურების ნაყოფიერი საქმიანობის შედეგია.*

*კულტურის სფეროში მიმდინარე სიახლეები და წარმატებები ბუნებრივია, ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ცენტრის დამსახურებაა. ამასთან დაკავშირებით, ვესაუბრეთ კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორს, ქალბატონ მაია ზარდიაშვილს.*

**– ქალბატონო მაია, როგორ შეაფასებთ განვლილ წელს, ყვარლის კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობის თვალსაზრისით. რა მნიშვნელოვანი სიახლეებით გამოირჩეოდა 2019 წელი?**

– შეფასება საზოგადოებისთვის მიმინდვია. ვფიქრობ, რომ 2019 წელი კულტურული ღონისძიებებით გამორჩეული და დატვირთული წელი იყო. ჩატარდა ფესტივალები, კონკურსები, შეხვედრები, კონცერტები, როგორც ადგილობრივი, ასევე ჩამოსული კოლექტივების მიერ.



პირველყოვლისა, სიახლეა, ადგილობრივი თეატრის დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი „ჭინჭრაქა“. მოგეხსენებათ, რომ მრავალი ყვარლელის ოცნება რეალობად იქცა, ყვარლის სახალხო თეატრი აღდგა, მუშაობს და უკვე რამდენიმე პრემიერა შესთავაზა მაყურებელს. ამჟამად, დასი რეპეტიციებს გადის ახალ სპექტაკლზე „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბატონ ირაკლი მათიკაშვილს, რომლის ძალისხმევითაც გაცოცხლდა ყვარლის თეატრალური ტრადიციები და რომელმაც კოტე მარჯანიშვილისა და ილია ჭავჭავაძის სამშობლოში „წარსულ ნერგზე დაამყნო“ სახალხო თეატრი.

ასევე, მინდა ავღნიშნო ერთი, სრულიად ახალი წამოწყების შესახებ, ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში. კერძოდ, ზაფხულში მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ყვარელში გაიხსნა საპილოტე ბანაკი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ვფიქრობთ, ეს ტრადიცია გაგრძელდება მომავალშიც. ვინაიდან, მსგავსი ტიპის ბანაკები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვების განვითარებას და საჭირო უნარ – ჩვევების ჩამოყალიბებას. მითუმეტეს, რომ ზაფხულის პერიოდში ბავშვები ნაკლებად არიან დაკავებულები შემეცნებითი და გასართობი აქტივობებით. ბანაკი კი, უსაფრთხო და ხელსაყრელ გარემოს ქმნის და ძალიან კარგი საშუალებაა მათი შემეცნებით – შემოქმედებითი პოტენციალის განსავითარებლად და ჯანსაღი ცხოვრების წესის დასანერგად.

ასევე, მინდა განსაკუთრებით გამოვყო „ილიაობის“ დღესასწაული, სადაც ჩართული იყო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ახალგაზრდული გუნდი. ვიტყოდი, რომ ნამდვილად ისეთი „ილიაობა“ იყო, როგორც ბრძენკაცს შეეფერება.

არ ვიქნები მართალი, რომ მადლობა არ გადავუხადო ყვარლის მერს, ბატონ როსტომ სესიაშვილს, რომელიც ყველა წამოწყებაში გვერდში გვიდგას და სტიმულს გვაძლევს ყვარლის კულტურული ცხოვრება აქტიური რომ იყოს.

ძალიან ბევრი საინტერესო და ლამაზი დღე გვქონდა 2019 წელს. ყველა დღეზე საუბარი შორს წაგვიყვანს და არ მინდა დავღალო მკითხველი, მაგრამ რამდენიმე უთუოდ აღსანიშნავია.

მნიშვნელოვანია, რომ არაერთხელ ვსტუმრობდით გრემის თემს.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

# თანამემამულენო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. სიხარული, სიყვარული, ხვავი და ბარაქა არ მოგაკლოთ უფალმა!

დასაწყისი 1-ლ გვ. -ზე

საახალწლოდ ჩავუტარეთ კონცერტი და გადავეცით ტკბილეული.მუდმივად ვცდილობთ, მათ მიმართ უფრო მეტი ყურადღება და გულისხმიერება გამოვიჩინოთ. მოვიწვიოთ და ჩავრთოთ ჩვენს მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში და ამით გავუხალისოთ მათ ცხოვრება.

ყვარელში ჩამოსულმა თეატრალურმა კვარტეტმა გრემის თემშიც გამართა კონცერტი, სადაც დიდი ოვაციებით და სიხარულით შეხვდნენ მომღერლებს გრემის თემის ბავშვები.

**– წარმატებულად შეიძლება თუ არა ჩაითვალოს გასული წელი ყვარლის შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობაში?**

– მინდა აღვნიშნო, რომ გვყავს შესანიშნავი ანსამბლები: „ხეურო“, „ანაბანა“, „მელოდია“, „თოლია“, ანსამბლი „ნანინა“, „მარგალიტები“, „როკვა“, „კავკასიონი“ და სხვა, რომლებიც სულის ჩამდგმელები არიან ყვარლის კულტურული ცხოვრებისა. გვყავს საუკეთესო ქორეოგრაფები, რომლებიც საამაყო მომავალ თაობას გვიზრდიან. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, ყველა ანსამბლის ხელმძღვანელს და კულტურის სფეროში მოღვაწე თვითეულ ადამიანს, რომ არა მათი თანადგომა, ყვარლის კულტურული ცხოვრება ასეთი აქტიური არ იქნებოდა.

ასევე, ყვარლის მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი თოჯინების თეატრი, რომელიც წელიწადში ორჯერ საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისათვის მართავს გასვლით სპექტაკლებს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეა.

ყვარლის საზოგადოებისთვის სიახლე იყო აგვისტოს თვეში ჩატარებული სპორტული კვირეული, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ იყო ორგანიზებული. ამ ღონისძიების მიზანი ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციასთან ერთად, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა.

ამ მხრივ გამოირჩევა კიდევ, ტრადიციული სახალხო დღესასწაულები ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში, რომელიც სპორტულ აქტივობებთან ერთად დატვირთულია მრავალფეროვანი სანახაობებით, საკონცერტო ღონისძიებებითა და გამოფენებით, რაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, მოწვეულ სტუმრებსა და უცხოელ ვიზიტორებზეც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

**– საინტერესოა, რა პრობლემები გადაიჭრა და რა არის კიდევ მოსაგვარებელი ამ სფეროში?**

– პრობლემა ის იყო, რომ ყვარლის კულტურის სახლში ჭერიდან წყალი ჩამოდიოდა, რაც ჩვენი სახსრებით მოვაგვარეთ. ასევე, მწყობრიდან გამოსული სასმელი წყლის რეაბილიტაცია მოვახდინეთ.

თუმცა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია: აუცილებელია გათბობის სისტემის მონტაჟი, ცეკვის სარეპეტიციო დარბაზები საჭიროებენ იატაკების შეცვლას. ვიმედოვნებთ, რომ მალე ეს პრობლემებიც მოგვარდება.

**– ქალბატონო მაია, როგორ მოემზადეთ საახალწლოდ. რა ღონისძიებები დაიგეგმა და რას შესთავაზებთ ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ახალი წლის დღეებში?**

– საახალწლოდ ბევრი ლამაზი ღონისძიებები გვაქვს დაგეგმილი.

1. 25 დეკემბერს საზეიმოდ აინთება მუნიციპალიტეტის მოედანზე საახალწლო ნაძვის ხე. ბავშვებს, თოვლის პაპა საახალწლო საჩუქრებს დაურიგებს.

2. 31 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე შეიქმნება საზეიმო განწყობა და 9 საათზე დაიწყება კონცერტი ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით.

3. 3-4 იანვარს კულტურის სახლში ჩატარდება საახალწლო კონცერტები, სადაც ბავშვებს დაურიგდებათ საჩუქრები.

4. ტრადიციულად, ვეწვევით გრემის თემს კონცერტით და საჩუქრებით.

– მისასალმებელი ფაქტია, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის, როსტომ სესიაშვილის გადაწყვეტილებით, საახალწლო კონცერტისთვის განსაზღვრული თანხა სოციალურად დაუცველ ოჯახებს მოხმარდება. ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ბატონ როსტომს, რადგან დღევანდელ საქართველოს მხოლოდ ასეთი ახალგაზრდები გამოიყვანენ სიდუხჭირიდან. ერთმანეთზე ზრუნვა და თანადგომა დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება. ამის დასტურია, მერიის მიერ, სოციალურად დაუცველ ადამიანებზე მუდმივი ზრუნვა და დახმარება. კვლავაც მრავალი სასიკეთო საქმე გეკეთებინოთ ბატონო როსტომ, ძალიან ბედნიერი და გახარებული ვარ თქვენი გადაწყვეტილებით.

სხვა საახალწლო ღონისძიებებიც. მერის გადაწყვეტილებით 25-დან 30 დეკემბრამდე, ნაძვის ხის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო „საახალწლო სოფელი“, სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და სხვა მრავალფეროვანი აქტივობები გაიმართა. ამავე ტერიტორიაზე განთავსდა „სოციალური კუთხე“, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დატოვოს ნივთები: ტექნიკა, საკვები, სათამაშოები და ა. შ. შეგროვებული ნივთები სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებს გადაეცემათ.

ილია ჭავჭავაძის ნააკვნარიდან მივესალმები სრულიად საქართველოს!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. სიხარული, სიყვარული, ხვავი და ბარაქა არ მოგაკლოთ უფალმა!

რას ვისურვებდი? ისევ ილიას დავესესხები: „ერთმანეთს ერთმანეთის გული გაუგულადოთ, ამისათვის საჭიროა: მხარი მხარს მივცეთ, ღონე-ღონეს გადავაბათ და ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ, ამით წინდებულს ახალ წელიწადს იმას ვაქმვნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა, და არა იმას, რაც მას სურს“.

**– ვურთდები თქვენს მილოცვას – გილოცავთ დამდეგ შობა – ახალ წელს თქვენ, ყვარელს და სრულიად საქართველოს. ბედნიერება, სიხარული, სიყვარული და სიკეთე მოეტანოს!**

ესაუბრა
**ია გიგიაშვილი**

# განიხილეს პროექტი „წყალი ეროვნული სიმდიდრეა“

25 დეკემბერს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის სხდომათა დარბაზში დანიშნულ შეხვედრაზე უამრავი ადამიანი მოვიდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებიდანაც კი. ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან შეხვედრა გახსნა მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საინჟინრო აკადემიის წევრმა, „წყალი ეროვნული სიმდიდრეა“ პროექტის ავტორმა პაატა გიორგაძემ.

კერძოდ მან აღნიშნა – მსოფლიო ბაზარზე საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი ბუნებრივი რესურსი სასმელი წყალია. სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში ქვეყანას შეუძლია უდიდესი ეკონომიკური შედეგი მიიღოს.

საერთაშორისო ექსპერტების პროგნოზებით, უახლოეს ათწლეულში სასმელი წყალი კაცობრიობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი გახდება. საქართველო ამ რესურსის ერთ-ერთი უდიდესი მფლობელია და მისი მომავალი ეკონომიკური განვითარება, დაკავშირებული უნდა იყოს წყალთან, კერძოდ, წყლის მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ადგილის მოპოვებასთან.



საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, მისი მდინარეების ჯამური წლიური ჩამონადენი 65800 მლნ. მ 3-ს შეადგენს, საქართველოს ტერიტორიაზე ფორმირებული ჩამონადენი – 56500 მლნ. მ3-ს.

სულ საქართველოში 26060 მდინარეა, მათ შორის 99.4% – მცირე მდინარეებია (სიგრძე 25 კმ-ზე ნაკლები). ჰიდროლოგიურად შესწავლილია 555 მდინარე შავი ზღვის აუზში და 528 მდინარე კასპიის ზღვის აუზში.

საქართველოში 860-მდე ტბაა, უმეტესობა ძალიან პატარაა, ამიტომაც ტბების საერთო ფართობი 170კვ.კმ-ს არ აღემატება (ქვეყნის ტერიტორიის 0.24%), მათი უმეტესობა მტკანარია. საქართველოში ფართობით ყველაზე დიდია ფარავანის ტბა, მოცულობით ტაბაწყურის, სიღრმით რიწის (იგი ულრმესია ამიერკავკასიის ტბებს შორის).

ჭაობებს საქართველოში განსაკუთრებით დიდი ფართობი (225 ათასი ჰა) უკავია კოლხეთის დაბლობზე. დასავლეთიდან საქართველოს აკრავს შავი ზღვა, რომლის სანაპირო ზოლის სიგრძე საქართველოს ფარგლებში 315კმ-ია.

ქვეყნის მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი მარაგი დაახლოვებით 18000 მლნ. მ3-ს შეადგენს. საერთო საპროგნოზო-საექსპლუატაციო მარაგები დაახლოებით 10600 მლნ. მ3-ია.

საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიწისქვეშა წყლებს (მტკნარი, მინერალური და თერმული), რომლებიც ხასიათდება დიდი რესურსებით, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით და, მყარი წიაღისეულისგან განსხვავებით, დროში განახლებადობით.

მტკნარი მიწისქვეშა წყლები წარმოადგენს ყველაზე ძვირფას წიაღისეულს და სასმელად ვარგისი, უმაღლესი ხარისხის წყლების, ყველაზე საიმედოდ დაცულ წყაროს. იგი წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის უპირველესი მოთხოვნილებას ჰაერის შემდეგ და, სწორედ, ამიტომაც ითვლება უნიკალურ წიაღისეულად, რომელთა რაოდენობის მხრივ საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა.

მიწისქვეშა მტკნარი წყლების ბუნებრივი რესურსების უდიდეს ნაწილს – 95%-ს (571,7 მ3/წმ – 49,4 მლნ. მ3/დღ.ღ.) შეადგენს სასმელი წყლები, რომლებიც ფართოდ, მაგრამ არათანაბრად არის გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მათი საერთო რაოდენობის 63,4% – (362,5 მ3/წმ) მოდის დას. საქართველოზე, 24,1% – (137,9 მ3/წმ) აღმ. საქართველოზე, ხოლო 12,5% – (71,3 მ3/წმ) კი – სამხრ. საქართველოზე. მნიშვნელოვანი ნაწილი ამ წყლებისა ხასიათდება მარილების ძალზე დაბალი შემცველობით (200-300 მილიგრამამდე ლიტრზე).

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, მსოფლიოში წყალზე მწვავე და მზარდი მოთხოვნილობის ფონზე, ისმის კითხვა: რატომ არ ვიყენებთ ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს?

შესაძლებელია გამოიცეს აქციები საქართველოს მოქალაქეებისთვის, დაურიგდეს მათ გასხვისების უფლების გარეშე. იყოს მემკვიდრეობითი და მოქალაქეობის დატოვების შემთხვევაში-გადაეცეს სახელმწიფოს.

აქვე უნდა ითქვას, რომ სასმელი წყლის მსოფლიო ბაზარზე თავის დამკვიდრება ძალიან რთულია, თუმცა ეფექტური მენეჯმენტის დაქირავება, დღევანდელ მსოფლიოში პრობლემას არ წარმოადგენს!

საქართველოს მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნადი პროდუქციის უდიდესი რესურსი აქვს, ანუ ყველა ქართველი პოტენციურად მდიდარია!

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, საზოგადო მოღვაწე და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს პენსიონერთა ლიგის და ფონდის თავმჯდომარე გურამ სალარაძე, რომელთაც ვრცლად ილაპარაკეს უნიკალური სასმელი წყლის უმდიდრეს მარაგზე და მისი ქვეყნის მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენებაზე.

**ალეკო ქაფიანიძე**



# თევზით მომზადებული 3 სალათის რეცეპტი საახალწლო სუფრისთვის

ახალი წლის დადგომამდე ერთი დღე დარჩა. ამიტომ, კარგი იქნება, რომ უკვე დაგეგმოთ, თუ რომელი კერძები დაამშვენებს თქვენს სადღესას-წაულო სუფრას.

ორიგინალური პრეზენტაცია და დახვეწილი გემოს კომბინაცია – ეს სწორედ ისაა, რაც წარმატებულ დღესასწაულს სჭირდება. თუ იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებით, ვისაც ტრადიციული სალა-თები („ოლივიე“, „შუბა“ და სხვა) მობეზრდა და მზად არის ახალი ექსპერი-მენტებისთვის, ეს სტატია თქვენთვისაა!

წარმოგიდგენთ სამი საახალწლო სალათის რეცეპტს, თევზისა და ხიზილა-ლის შემადგენლობით:

## 1. სალათა „სამეფო“ – ორაგულით, კალმარებითა და ხიზილალით

დახვეწილი სალათა წითელი თევზით, კალმარებითა და წითელი ხიზილა-ლით უნდა მოამზადოთ, თუ თავს გურმანად თვლით.

**ინგრედიენტები:**

- წითელი ნორვეგიული ორაგული 150 გ., კალმარი 150 გ.წითელი,
- ხიზილალა 2 ს/კ.,პარმეზანი 60 გ.,მოხარშული კვერცხი 2 ცალი.
- მაიონეზი 2 ს/კ.

**მომზადების წესი:**

გაყინული კალმარი გაალღვეთ. მოთუშეთ ტაფაში კარაქთან.ააწყვეთ სალა-თა: თეფშზე მოათავსეთ დაჭრილი ორაგულის ნაჭრები. შემდეგ – მაიონე-ზი; მოხარშული კვერცხი; კალმარი, ყველი (გახეხილი).სალათა ზემოდან მორთეთ წითელი ხიზილალით.

## 2. სალათა „საათი“

**საჭირო ინგრედიენტები:**

ქაშაყის ფილე,კარტოფილი 3 ცალი, კვერცხი 3 ცალი, რბილი ყველი 4 ცალი, სტაფილო 2 ცალი, ნაღების კარაქი 30 გ., ხახვი 1 თავი,მაიონეზი 250 გ.,ოხრახუში (მოსართავად)მარილი გემოვნებით

**მომზადების წესი:**

მოხარშეთ ბოსტნეული და კვერცხი. გააცივეთ. თეფშზე დადეთ რგოლი (სალათის ფორმის მისაცემად, რომელსაც შემდეგ მოხსნით).გახეხილი კარტოფილი ჩააფინეთ ფორმის ძირში, კარგად დააბრტყელეთ კოვზით. წაუსვით მაიონეზი.დაჭერით ქაშაყი და დაადეთ კარტოფილის ფენას.ხახ-ვი დაჭერით პატარა კუბებად და მოაყარეთ თევზს. ყველა ფენას გადაუსვით მაიონეზი.კვერცხის გულები და ცილა გააცალკევეთ. გული გადაინა-ხეთ, ცილა დაჭერით წვრილად და მოაყარეთ ხახვს.რბილი ყველიც გახე-ხეთ და დაადეთ შემდეგ ფენად. ზემოდან მაიონეზი გადაუსვით.გაყინუ-ლი კარაქი გახეხეთ სახეხზე და მოაყარეთ ყველს. ზემოდან მოათავსეთ გა-ხეხილი სტაფილო და კვერცხის გულები. სალათა მზადაა. მორთეთ ზემო-დან ისე, რომ საათის ვიზუალი მიიღოთ. გამოიყენეთ სტაფილო, ოხრახუ-ში და მაიონეზი.

## 3. სალათა „ნაძვის ხე“

ამგვარად გაფორმებული სალათა ძალიან უხდება საახალწლო სუფრას.

**ინგრედიენტები:**

ნორვეგიული ორაგული;ყველი – 250 გრ;ლიმონის წვენი;კრეკერი;მწვანი-ლი.ბროწეულის და სიმინდის მარცვლები მოსართავად.

**მომზადების წესი:**

სალათის მომზადება ძალიან მარტივია. წვრილად დაჭერით ორაგული, დაუმატეთ გახეხილი ყველი. მიღებულ მასას დაამატეთ ცოტა ლიმონის წვენი და შეაზავეთ. ყველაფერი კარგად აურიეთ, რომ ერთგვაროვანი მასა მიიღოთ.მიეცით მას კონუსის ფორმა და მწვანილით (კამა) მორთეთ ისე, რომ ნაძვის ხეს დაემსგავსოს.ზემოდან სტაფილოს ვარსკვლავი დაად-გით. სათამაშოების ნაცვლად გამოიყენეთ ბარდა, ბროწეულის და სიმინ-დის მარცვლები, წითელი და ყვითელი ბულგარული წიწაკა ან კრეკერები.

ცნობისთვის, თევზის მრავალფეროვან და ხარისხიან არჩევანს გვთავა-ზობს „ნიკორას“ შვილობილი კომპანია „ოკეანე“, რომლის ასორტიმენტში გამორჩეული ადგილი უჭირავს პრესერვებს.



# ღმერთმა დაგლოცოთ და ამ ბრწყინვალე დღის სიხარული არ მოგაკლდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!



დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

რამდენიმე ხნით ადრე ქრისტეს შობამდე ცაზე უჩვეულო ვარსკვლავი გამოჩნდა. სამი მოგვი, ყოველი თვის ქვეყნიდან გამოჰყვა ამ ვარსკვლავს პალესტინისაკენ. უჩვეულო ვარსკვლავი ბეთლემში თითქმის მიწამდე დაეშვა და ბოლოს იმ გამოქვაბულის თავზე გაჩერდა, სადაც ბაგაში ახალშობილი მაცხოვარი იწვა. იხილეს რა საქონლის ბაგაში მწოლარე ყრმა, აღმოსავლელი ბრძენნი მიხვდნენ, რომ ახალშობილის მეუფება ფუფუნებაში და დიდებულ დარბაზებში კი არა, სიღარიბეში, მორჩილებაში და ამქვეყნიური დიდების მოძულებაში იყო. წარმართ განსწავლულებზე მათთვის მოულოდნელმა სანახაობამ არ იმოქმედა და ის რწმენა არ შერყევიათ, რის გამოც ასეთი გრძელი გზა გამოიარეს. პირიქით, შევიდნენ საქონლის სადგომში, მიეახლნენ ბაგაში მწოლარე ყრმას და თაყვანი სცეს მას, არა მარტო როგორც მეფეს, არამედ როგორც ღმერთსაც და ძღვენიც მიართვეს: ოქრო, გუნდრუკი და მური. ოქრო – როგორც მეფეს, გუნდრუკი – როგორც ღმერთს და მური – როგორც კაცს, ვინაიდან მურს გარდაცვლილი ცხედრის გასაპატიოსნებლად იყენებდნენ, რათა შენახულიყო იგი.

მაცხოვრის შობასთან დაკავშირებულ მონათხრობში აღსანიშნავია ისიც, რომ პირველები, ვინც ახალდაბადებულ მსხნელს თაყვანი სცეს, უბრალო მწყემსები იყვნენ, ბუნების ჭეშმარიტი შვილები, რომლებსაც მაცხოვრისათვის მხოლოდ თავიანთი გულის საგანძური შეეძლოთ მიეძღვნათ, გულის საგანძე – სავსე უბრალოებით, რწმენით და მორჩილებით. უკვე მოგვიანებით კი, სიბრძნით აღჭურვილი მოგვები მივიდნენ მასთან აღმოსავლეთიდან. ეს ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ გულის უბრალოებას და ღრმა კეთილსინდისიერ მეცნიერებას ერთნაირად მიჰყავს ადამიანი ქრისტემდე, მხოლოდ პირველი გზა პირდაპირია, მოკლე და უფრო სარწმუნო, ვიდრე მეორე. მწყემსებს უშუალოდ ანგელოზებმა აუწყეს, ხოლო მოგვებმა უტყვი ვარსკვლავის გამოჩენიდან მოყოლებული, ძნელადსავალი და არც თუ უხიფათო გზა გაიარეს, ვიდრე სასურველ მიზანს მიაღწევდნენ.

კაცობრიობის ისტორიაში მაცხოვრის შობა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლავთ, რადგანაც მეორე საუკუნის წმიდა ირინეოს ლიონელის მიხედვით, „ღმერთი განკაცდა, რათა ჩვენ ღმერთ ვიქმნეთ“, ხოლო წმიდა პავლე მოციქული დაამატებს, რომ „ღმერთი დამდაბლდა ადამიანამდე, ანუ ზეცა დაეშვა დედამიწაზე, ადამიანმა ზეცად ასვლა რომ შეძლოს“...

**– რატომ არ აღვნიშნავთ მართლმადიდებელი ქრისტიანები შობას 25 დეკემბერს?**

– ქრისტეს შობას ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს იულიუსის კალენდრით 25 დეკემბერს, რაც გრიგორიანული კალენდრის 7 იანვარს ემთხვევა. შობის დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად თავს იჩენს ხოლმე ასევე ტრადიციული კითხვები: რას ნიშნავს ძველი და ახალი სტილი? რატომ ვდღესასწაულობთ მაცხოვრის შობას ჩვენ 7 იანვარს, დასავლურ–ქრისტიანული სამყარო კი – 25 დეკემბერს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მოსახლეობის გათვითცნობიერება ორიოდე სიტყვით ძალიან რთულია, ვინაიდან ეს საკითხი ოდითგანვე ღრმა ანალიზისა და კვლევის საგანს წარმოადგენდა. ჩვენთვის ამოსავალი წერტილი და ერთადერთი ჭეშმარიტება არის ის გზა, რომელიც ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ გაიარა და რომლისგანაც საუკუნეების მანძილზე არც ერთი მისხალით არ გადაუხვევია. აქედან გამომდინარე, ყველა საეკლესიო თარიღი შესაბამისობაში მოდის იმ ძირითად მოთხოვნასთან, რაც საეკლესიო დღესასწაულის მოწესრიგებული წესით განლაგებასა და ჰარმონიულ თანწყობას გულისხმობს, ანუ რასაც იესო ქრისტე შეეხო, ყოველივე განიწმინდა.

როდჯერსის უნივერსიტეტის პროფესორი, ასტრონომი მაიკლ მოდნერი და კიდევ სხვა მეცნიერები თვლიან, ძვ.წ. აღ. 6 წლის 17 აპრილი, ანუ დღე, როდესაც მთვარემ იუპიტერი გადაფარა, იესო ქრისტეს დაბადების თარიღად უნდა მივიჩნიოთ. თუ სახარების ტექსტს დავაკვირდებით, აშკარაა, რომ იუპიტერის მთვარით გადაფარვა ის დღე უნდა ყოფილიყო, როდესაც მარიამი ელისაბედთან მივიდა და მუცლადღებულმა იოანე ნათლისმცემელმა, მუცლადღებული იესო ქრისტე შეიგრძნო. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ თანამედროვე ასტროლოგების გამოთვლებით იუპიტერი მთვარემ ახალი სტილით 17 აპრილს გადაფარა და მოგვებისათვის სწორედ ეს იყო სამყაროს მეფის დაბადების ნიშანი. გამოდის, რომ თანამედროვე მეცნიერებმა ქრისტეს დაბადების დასაბუთებულ თარიღს მიაკვლიეს: თუ იუპიტერის მთვარით გადაფარვას და მართლმადიდებლურ კალენდარს შევაჯერებთ, ადვილად მივხვდებით, რომ ხარება მარიამისა იყო ძვ. წ. აღ. 6 წლის 7 აპრილს. ხარება ელისაბედისა და მოგვების მიერ ცისკრის ვარსკვლავის ხილვა იყო დაახლოებით 10 დღის შემდეგ ძვ. წ. აღ. 5 წლის 7 იანვარს (ახალი სტილით) და ძველი სტილით – 6 წლის 25 დეკემბერს ყოფილა.

**– საშობაო ტრადიციების შესახებ რას გვეტყვით, რასთანაა დაკავშირებული ეს წეს-ჩვეულებები?**

– ერთ-ერთი მთავარი საშობაო ტრადიცია გახლავთ „ალილოობა“. ყოველი შობის ღამეს, ალბათ ვარსკვლავის გამოჩენისა და ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ, მოციქულების წინამორბედი, ქრისტეს მახარებელი მწყემსები, შორეული წარსულიდან აქამომდე, მთელს ერს ამცნობდნენ იმ უდიდესი საიდუმლოს განხორციელებას, რასაც იესო ქრისტეს განკაცება ჰქვია. მწყემსებად გამოწყობილი ჩვენი წინაპარი ზრდასრული მამაკაცები თუ ჩვენი თანამედროვე ახალგზრდა ყმაწვილები ალილოს გალობით, როგორც ამ ხალხურ სიმღერას ხალხში უწოდებდნენ, თითოეული თანაქალაქელის ან თანასოფლელის კარმიდამოს მოივლიდნენ და მოუთმენლად მომლოდინე მასპინძლებს ღვთის სადიდებელს – ალილოს (ალილუია – ვადიდოთ ღმერთი) მთელი ქვეყნის გასაგონად, მაღალ ხმაზე უგალობდნენ:

„ოცდახუთსა და რამდენსა
შობა გათენებულაო,
შობის მადლი შეგეწიოთ,
ქრისტე დაბადებულაო...
ეს სახლი ვინ ააშენა,
ვინ დახურა მუხის გული?
ამშენებლის დედა ცხონდეს,
დამხურავის მამის სული.
„კოშკიდან“ გადავიხედე,
ერბო გიდგათ ქილებითა,
ალათასა, ბალათასა,
კვერცხი უნდა კალათასა,
აქა ღორი დაკლულიო, ნაყელარი ჩვენიაო, ნასამედი თქვენიაო,
პატარძალო, ჩვენო ლხინო, მარნის კარი გიჭრიალებს,
მარნის ქოცო აგვიხადე, ყელი ჩაგვიმაჭრიანე“.

ვინ მოსთვლის რამდენი საუკუნე ქართველი ამ საოცარი ამბით, სიხარულითა და ვარსკვლავით განათებულ ღამეში უხვად: ფულით, ფქვილით, ერბოთი, თხილკაკლით, ჩურჩხელით, საშობაოდ დაკლული ღორის ხორცით, კვერცხით და ყოველივე იმით, რაც მოეპოვებოდა, აჯილდოებდა მეალილოებს. ვაი მას, ვინც ძღვენს დაინანებდა და (მეალილოეთა ძღვნის გარეშე გაშვება ხალხში ფუძის უბარაქობისა და ზიანის მომტანად ითვლებოდა) იმ მწყემსთათვის, რომლებიც ღვთისა და ანგელოზებისაგან დამოძღვრილ სახარებისეულ წინაპრებს განასახიერებდნენ და რომელთაც მთელი ქვეყნიერებისათვის, ღვთისა და ანგელოზების ნებით, დიდი საიდუმლო, მომავალი, მარადიული ხსნის საწინდარი უნდა გაენდოთ. ამას გარდა, ქრისტიანი ქართველი მოსულში, ყოველ სტუმარში, მათ შორის ყოველ „მეალილოეში“ ღმერთს ხედავდა, რომელთათვის მირთმეული ძღვენი შესაწირიც იყო და საჩუქარიც, დიდებაც და თაყვანისცემაც. ამ ღამეს, ქრისტეშობის სიხარულს, როგორც ბეთლემის გამოქვაბული, ვეღარ იტევდა ტაძარი, მწყემსებთან ერთად გამოდიოდა გარეთ, მწემსების მეშვეობით თითოეულ მოკვდავამდე მიდიოდა და ეს სიხარული, ქრისტეს ხორციელი მოვლინებით განცდილი, ყველას ერთ მრევლად, ქრისტეს მიწიერ სხეულად, ეკლესიად აქცევდა.

ეს ულამაზესი საშობაო ტრადიცია აღადგინა ჩვენმა უწმიდესმა და უნეტარესმა – ილია მეორემ და უკვე წლებია, რაც საზეიმოდ აღნიშნავენ „ალილოობას“ საქართველოს ყველა ეპარქიაში. ამათან, უწმინდესისავე კურთხევით, შაბათ ღამეს, ფანჯრებთან ვდგამთ ხოლმე ანთებულ სანთლებს და ასე ვეგებებით შობის ამ ბრწყინვალე დღესასწაულს

ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი ამ დღეს ვზეიმობთ გულით, ცოდნით, დოგმატით, და არა მხოლოდ გემრიელი კერძებით, მორთულობებითა და ფოიერვერკებით. 40 დღიანი მარხვით ჩვენ ვემზადებით იმისთვის, რომ ჩვენს გულშიც იშვას იესო და მას ჩვენი გული ისეთი დაბინძურებული არ უნდა დავახვედროთ, როგორც ის მღვიმე იყო, სადაც 20 საუკუნეზე მეტი ხნის წინ იშვა მაცხოვარი. ამიტომაც უნდა შევინახოთ მარხვა, ვთქვათ აღსარება, ვეზიაროთ, განვიწმინდოთ, რომ შობას ჩვენი გული და ცნობიერება განწმენდილი და ღირსეული შეხვდეს, რომ კიდევ ერთხელ არ გვამხილოს, როგორ არის იმ ბაგასავით დაბინძურებული ჩვენი გული და ცნობიერება. ადამიანი ეჩვევა იმას, რომ თითქოს იცის, რა არის შობა, მაგრამ ასეთი მდგომარეობით ის სცილდება ჭეშმარიტებას და მისი ზეიმურობა მხოლოდ და მხოლოდ ბაგეებით, გარეგნული ხდება. ჩვენი ცნობიერება, გული, უნდა გასცდეს შობის მხოლოდ გარეგნული დიდებით აღნიშვნას და რწმენით უნდა ვიზეიმოთ ქრისტეს შობა, მაშინ უფრო მეტი სიხარულითა და მოლოდინით აღივსება ჩვენი გული და სული და მერე უკვე ერთმანეთს ქრისტესმიერი სიხარულით მივულოცავთ ამ დიდი დღის დადგომას. მაცხოვრის განკაცებამ საფუძვლიანად შეცვალა ქვეყანა უკეთესობისაკენ, ცოდვასთან ბრძოლის ძალა მისცა ადამიანებს, შეარიგა ისინი ღმერთთან, ხრწნად ადამიანურ სხეულში ღვთაებრივი სიცოცხლის ნაკადი შევიდა და ადამიანი მარადიული სიცოცხლის თანაზიარი გახადა. ამ მიზეზთა გამო, მაცხოვრის შობა მსოფლიო მოვლენათა ცენტრში მოექცა და მისგან ითვლება წელთაღრიცხვა – ქრისტეშობამდე და ქრისტეშობის შემდეგ.

და ბოლოს, მე მინდა ქრისტეშობის ამ უდიდესი საღვთო საიდუმლოს სიხარული, საკუთარი ლექსითაც გაგიზიაროთ:

ქრისტეშობის დღე თენდება,
იწვიან შობის სანთლები...
მათი ნათელით შვენდება
ჩვენი სახლების ფანჯრები.
სად ხარ, წმიდაო მარიამ?
იქნებ თავშესაფარს ეძებ?
გელოდებით ჩვენც ძალიან
და უშენობითაც ვერ ვძლებთ.
ჩვენთან დაჰბადე იესო,
შენი ღვთაებრივი ჩვილი.
შობის მადლი დგას დღესო
და მახარობლებად ვივლით.
მივართვათ ქვეყნის მესიას,
ყველაზე ძვირფასი ძღვენი:
გულები, როგორც წესია
და სიყვარულიცა ჩვენი.
ქრისტეშობის დღე თენდება,
იწვიან შობის სანთლები...
მათი ნათელით მშვენდება,
ჩვენი სახლების ფანჯრები.

ღმერთმა დაგლოცოთ და ამ ბრწყინვალე დღის სიხარული არ მოგაკლდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

**ესაუბრა ია გიგიაშვილი**

# როგორი იქნება 2020 წელი აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით

აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, 2020 წლის 25 იანვარს მეტალის თეთრი ვირთხის წელიწადის შემობრძანებას ველოდებით. ვირთხა აღმოსავ-ლურ ჰოროსკოპში პირველი ნიშანია. საინტერესოა, რას ჰპირდება იგი თავის თავსა და 11 მეგობარ ცხოველს?!

2020 წელი საინტერესო და დასამახსოვრებელი იქნება ყველა აღმოსავლური ნიშნისთვის. გამოიყენეთ ყველა შანსი, რომ გაიუმჯობესოთ მდგომარეობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. დამატებით მოგეთხოვებათ მოთმინების გამოვლენა, ემოციების კონტროლი, სტრესთან გამკლავება.

## 2020 წლის წარმატებული თვეები აღმოსავლური ზოდიაქის ნიშნებისთვის

ძაღლის, კურდღლის / კატა, ცხენისა და თხისთვის / ცხვარიმეტალის თეთრი ვირთხის წელი ყველაზე წარმატებულია

თქვენთვის კარგი თვეებია: თებერვალი, მაისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბე-რი და ნოემბერი. ამ თვეებში მიაღწევთ წარმატებას საქმეებში, სამყარო გიგ-ზავნით პოზიტივს, ჰარმონიას. თავად უნდა გააქტიურდეთ, რომ სასურველს მიაღწიოთ.

მოიწადინეთ, რომ გაიუმჯობესოთ დამოკიდებულება საყვარელ ადამიანთან. ნუ იქნებით ზედაპირული მის მიმართ. დროდადრო უთანხმოებები გელით და ერთმანეთის საიმედოობაზე გამოცდაც მოგინდებათ. ასეთი მომენტები ძირითადად იანვარსა და აპრილში გელით. მიუხედავად ამისა, კარგი წელია ბუდის ასაშენებლად და შვილის გასაჩენად.

სამსახურში ყურადღება მიაქციეთ ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, რაც მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ. მეტი დიპლომატია უნდა გა-მოავლინოთ და ნუ გგონიათ, რომ თქვენს გასაკეთებელ საქმეს სხვა გააკეთებს. როცა მატერიალურად მოძლიერდებით, მზად იყავით, რომ ახლობელი ადა-მიანებიც კი შურით დაბრმავდებიან და თქვენ გარშემო ჭორები და ინტრიგე-ბი მოიმატებს.

2020 წელს თვითგანვითარებისთვის უამრავი შანსი მოგეცემათ. მთავარია, ხელიდან არ გაუშვათ ისინი. იყავით დაკვირვებული დეტალებისადმი. ეცა-დეთ, ყოველთვის გქონდეთ დეტალურად შედგენილი გეგმა და მის მიხედ-ვით იმოქმედეთ. ნუ გაეკიდებით ილუზიებს, ფულსაც დაკარგავთ და წარმა-ტებასაც.

ძაღლი, კურდღელი/კატა, ცხენი და თხა/ცხვარი 2020 წელს კარგი ჯანმრთე-ლობით გამოირჩევიან. მხოლოდ ერთი გაფრთხილება გაქვს, არ გადაიღა-ლოთ სამსახურში. ყველა ფულს ვერ გამოიმუშავებთ, დასვენება და ძალების აღდგენა კი გჭირდებათ. არ გასცეთ ფული ვალში. ნუ ჩაიციკლებით მატერია-ლურზე, გამოყავით დრო სულიერ-ებისთვისაც.

## 2020 წლის წარმატებული თვეები გველის, ღორის, მამლისა და ვეფხვისთვის

თქვენს ცხოვრებაში დაისადგურებს ჰარმონია. უამრავი პოზიტიური მომენ-ტი გელით.

თქვენთვის კარგი თვეებია: მარტი, მაისი, ივლისი, დეკემბერი.

პირად ცხოვრებაში აღმაფრენებისა და დაცემისთვის მოემზადეთ. ყველა ნე-გატიური მოვლენა, რაც თქვენს ცხოვრებაში ხდება ერთადერთ უარყოფით გრძნობასთან – ეჭვიანობასთანაა კავშირში. არჩევანის წინაშეც დადგებით: ან სასიყვარულო თავგადასავლები, ან მშვიდი სტაბილური ურთიერთობები.

საქმეების მიუხედავად, მეტი დრო უნდა დაუთმოთ რომანტიკული ურთიერთობების განვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საყვარელი ადამიანის წუწუნს საზღვარი არ ექნება. ეცადეთ, დროდადრო ერთად იმოგზაუროთ. თუ დაქორწინება გაქვთ გადაწყვეტილი, მარტსა და დეკემბერს გირჩევთ. ოქ-ტომბერში შეიძლება სკანდალებში ჩაგითრიონ. ამის მიზეზი არალეგალური შემოსავალია.

გველი, ღორი, მამალი და ვეფხვი დაბადებით ლიდერები არიან და კარიერის გაკეთებაში ხელი არ შეეშლებათ. ამ კუთხით 2020-ში განსაკუთრებით წარმა-ტებული თვეა მაისი. ივნისში არც აიღოთ და არც გასცეთ ვალი.

ოლიმპს აუცილებლად დაიპყრობთ, მაგრამ ბევრი წინაღობის გადალახვა მო-გიწევთ და მაქსიმალური მოთმინება გამოავლინეთ, არ დანებდეთ. თუ თავი-სუფალი თანხა გაქვთ, ის სარფიან საქმეში დააბანდეთ. გარკვეულწილად მომჭირნეობაც უნდა ისწავლოთ. ხანდახან ძალიან გიყვართ ფულის ფლანგვა.

გველი, ღორი, მამალი და ვეფხვი 2020 კარგი ჯანმრთელობით გამოირჩევით. ყურადღება მიაქციეთ კვების რაციონს, ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ხში-რად ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, წყლის პირას. მოაწყვეთ პიკნიკები ბუნებაში.

## 2020 წლის წარმატებული თვეები დრაკონის, ხარის, ვირთხისა და მაიმუნისთვის

2019 წელს საკმარისი თანხა დააგროვეთ? ახალი წლიდან სიფრთხილე გმარ-თებთ, არ დაკარგოთ ისინი, არ გახდეთ თაღლითების, უბედური შემთხვევე-ბის მსხვერპლი.

თქვენთვის კარგი თვეებია: მაისი, ივნისი, აგვისტო, ოქტომბერი.

პირად ცხოვრებაში უნდა აკონტროლოთ ემოციები, ეჭვიანობა, დაუშვებელია კონფლიქტები საყვარელ ადამიანთან. ახალი ურთიერთობების დასაწყებად და ქორწინებისთვის კარგი თვეებია: იანვარი, თებერვალი, სექტემბერი და ნოემბერი. თუ გსურთ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაააწყოთ, ხში-რად წადით კომპრომისზე, ნუ გაჯიუტდებით. გამოავლინეთ მოთმინება და ბევრ გაურკვევლობას აირიდებთ თავიდან.

დაგროვილი თანხა ეცადეთ შეინარჩუნოთ. განსაკუთრებით არ გარისკოთ ბიზნესმენებმა. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს და ნუ გააფართოებთ ბიზნესს, თუ დარწმუნებული არ ხართ გამარჯვებაში. მეტი ყურადღება გმართებთ დე-ტალებისადმი. მატერიალურ მოგებას მაისში ნახავთ. თებერვალსა და ნოემ-ბერში ფრთხილად და გააზრებულად იმოქმედეთ. დააკვირდით კონკურენტებს, რა ვითარებაა თქვენ გარშემო.

დრაკონს, ხარს, ვირთხასა და მაიმუნს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები არ ელით. საფრთხეა მოსალოდნელი მეტალის, ბასრი საგნებისგან.

2020 წელს ნანატრი შეხვედრა გელით საინტერესო ადამიანთან. ის შეიძლება გახდეს თქვენი დამრიგებელი, გურუ. დახმარების ხელი გამოგიწოდოთ თქვენთვის რთულ პერიოდში. დახმარების წყალობით ადვილად გადალა-ხავთ სირთულეებს და გამარჯვებასაც მოიპოვებთ. იყავით მიზანმიმართუ-ლი მთავარზე, ნუ მოცდებით წვრილმანებზე.

astrologia.ge



# რა არ უნდა გავაკეთოთ 31 დეკემბერს

ახალი წელი მოდის და ნებისმიერი ჩვენგანის სურვილია, დამდეგი წელი ნაყოფიერი, ბარაქიანი და წარმატებული იყოს. ეზოთერიკოსები კი თვლიან, რომ არსებობს გარკვეული რიტუალები და ჩვევები, რომლის დაცვაც აუცილებელია საიმისოდ, რომ მომავალ წელს ჩვენ ცხოვრებაში წარმატება მოვიზიდოთ. გთავაზობთ ნუსხას იმის შესახებ, თუ რა სახის ქმედებები გვეკრძალება 31 დეკემბერს...



- არ შეიძლება ახალი წლის შეხვედრა ვალითა და ცარიელი საფულით.
- არ არის მიზანშეწონილი ახალი წლის დამდეგს რეცხვა, ხეხვა, წვრილმანი შრომა.
- თავი შეიკავეთ ნაგვის გადაყრისგან უშუალოდ ახალი წლის ღამეს.
- არ შეიძლება ახალი წლის შეხვედრა ქაოსში, არეულ ოთახში.
- არ შეიძლება ახალი წლის ღამეს სამოსზე ღილების დაკერება.
- არ არის რეკომენდებული ახალი წლის საღამოს ფეხსაცმლის შეკეთება.
- არ შეიძლება ახალი წლის ღამეს ძველი ტანსაცმლის გადაგდება-გაჩუქება.
- არ შეიძლება ახალი წლის შეხვედრა მარტოობაში.
- არ შეიძლება საახალწლო სუფრასთან მხოლოდ ქალები ისხდნენ.
- ცუდი ნიშანია საახალწლო ღამეს ჭურჭლის დამტვრევა.
- ცუდი ნიშანია ახალი წლის ღამეს თმის და ფრჩხილების მოჭრა.
- არ შეიძლება ახალი წლის შეხვედრა ძველ სამოსში.
- ნუ ჩაიცვამთ შავი ფერის ტანსაცმელს.
- ნუ გაახმოვანებთ თქვენს საახალწლო სურვილს.

# ჯადოსნური დღესასწაული

ახალი წელი ჯადოსნურ დღესასწაულად ითვლება მსოფლიოში და მასთან მრავალი წეს-ჩვეულება და ტრადიციაა დაკავშირებული. ეს წესები და ტრადიციები კი განსხვავებულია ყველა ქვეყანაში:

### არგენტინა

ძველი ტრადიციის თანახმად, არგენტინაში დაწესებულებების თანამშრომლები წლის ბოლო სამუშაო დღეს, ფანჯრიდან ძველ კალენდრებს, უვარგის უწყისებსა და ბლანკებს ყრიან. ისე რომ ბუენოს-აირესის იმ ნაწილში, სადაც სამუშაო დაწესებულებები მდებარეობს, შუადღისთვის ქუჩები ქაღალდების თხელი ფენით იფარება. ამ ტრადიციის წარმომავლობის შესახებ არავინ არაფერი იცის, თუმცა მის გარეშე არგენტინელებისთვის ახალი წელი არ არსებობს.

### ავსტრალია

ახალი წლის დღეს, სიდნეის პლაჟებზე შესაძლებელია საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი თოვლის პაპის ხილვა. ასეთ ეგზოტიკურ თოვლის პაპას ტრადიციული სანტა-კლაუსისთვის დამახასიათებელი ატრიბუტები — თეთრი წვერი და წითელი ქუდი მაინც აქვს.

### მიანმარი

იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში ახალი წელი ყველაზე ცხელ სეზონს ემთხვევა, მას წყლის ფესტივალით აღნიშნავენ. ნებისმიერი ასაკის ადამიანები შეხვედრისას ერთმანეთს წყლით წუწავენ. ამ დროს არავინ ბრაზდება, რადგან წყლის მისხმა ტრადიციაა და კეთილგანწყობის გამოხატვაა.

### ბულგარეთი

ახალი წლის წინა დღეს ბულგარელები შინდის ჯოხს იძენენ, რაც ახალი წლისთვის აუცილებელი ატრიბუტია. პირველ იანვარს ბავშვები მშობლებთან მიდიან და ჯოხის მსუბუქი დარტყმით ახალი წლის დადგომას ულოცავენ. იმ დროს, როდესაც საათი ბოლოჯერ ჩამოჰკრავს და მოსახლეობას ძველი წლის წაბრძანებას ამცნობს, ბუგარელების სახლში სინათლე სამი წუთით ქრება. ეს დრო საახალწლო კოცნას ეთმობა. ბულგარელებს უხარიათ, თუ საახალწლო სუფრის დროს ვინმე დააცემინებს, რადგან მათი აზრით ეს ბედნიერების მომტანია.

### საბერძნეთი

ბერძნული ტრადიციის თანახმად, ზუსტად 12 საათზე ოჯახის უფროსი ეზოში გადის და კედელს ბროწეულს ესვრის. თუ ბროწეულის მარცვლები მთელს ეზოში მიმოიფანტება, მაშინ ახალ წელს ეს ოჯახი ბედნიერად გაატარებს. სტუმრად მისვლისას ბერძნებს თან დახავსებული ქვა მიაქვთ და სახლში მისვლისას მასპინძელს ეუბნებიან: „დაე, ჩემი მასპინძლის ქისა ამ ქვასავით მძიმე იყოს“.

### დანია

დანიაში ტყის მცველებმა ბრაკონიერებთან — რომელთაც ნაძვის ხის მოჭრა და სახლში წაღება უნდათ — ბრძოლის მეტად ეფექტურ მეთოდს მიაგნეს. წინასაახალწლო დღეებში ისინი ნაძვის ხეს სპეციალურ ხსნარს უსვამენ, რომლის მყრალი სუნიც სიცივეში შეუმჩნეველია, მაგრამ როგორც კი ხე თბილ გარემოში აღმოჩნდება, იგი მაშინვე საშინელ სუნს უშვებს.

### ირლანდია

ახალი წლის ღამეს, ირლანდიელები საკუთარი სახლის კარს ფართოდ აღებენ. ნებისმიერი ადამიანი, ვინც ღია კარში შესვლას მოინდომებს, სახლის სასურველი სტუმარი გახდება. ასეთ სტუმარს მაგიდის საპატიო ადგილას დასვამენ და ტრადიციულ სადღეგრძელოს — „მშვიდობა ამ სახლსა და მთელ მსოფლიოში!“ შესვამენ.

### კუბა

ახალი წლის ღამეს კუბელები ჭიქებს წყლით ავსებენ და ზუსტად 12 საათზე ფანჯრიდან ასხამენ. ასეთი ჟესტით კუბელები ერთმანეთს უსურვებენ, რომ დამდეგი წელი წყალივით ნათელი, სუფთა და ბედნიერი ყოფილიყოს.

### მიკრონეზია

მიკრონეზიის ერთ–ერთი კუნძულის მოსახლეობა ყოველ ახალ წელს სახელს იცვლის. მათი აზრით, ამ გზით ისინი ბოროტ სულებს თავგზას უბნევენ. პირველ იანვარს გაღვიძებული ოჯახის წევრები, თავიანთ ახალ სახელს პირზე ხელმიფარებულები წარმოთქვამენ, ამავე დროს, ოჯახის სხვა წევრი დაირას აახმაურებს, რომ ბოროტმა სულმა სახელი ვერ გაიგოს. სახელს ყველა ინდივიდუალურად ირჩევს, რის გამოც ერთ წელს სოფლის ნახევარზე მეტს მაიკლ ჯეკსონი ერქვა.

### პერუ

პერუში მიაჩნიათ, რომ ის, ვინც საკუთარ სახლს ჩემოდნით ხელში შემოუვლის, დიდი ხნის ნატვრას აისრულებს და სამოგზაუროდ გაემგზავრება. სხვა ტრადიციის თანახმად კი, თუ გოგონა, რომელსაც ხელში ტირიფის წნელი უჭურავს, მის მეორე ბოლოს უცნობ ყმაწვილს შეახებს, იგი მისი საქმრო გახდება.

### შოტლანდია

ახალი წლის ღამეს, შოტლანდიელები კასრში ფისს ასხამენ და მას ქუჩებში მოატარებენ. მათი აზრით, ეს გასული წლის დაწვის სიმბოლოა, რის შემდეგაც ახალ წელს გზა ხსნილი აქვს. როდესაც საათის ისრები 12–ს მიუახლოვდება, სახლის უფროსი კარს აღებს და მანამ არ კეტავს, სანამ ზარის უკანასკნელ დარეკვას არ გაიგონებს. ამით იგი სახლიდან ძველ წელს აძევებს, ახალს კი უშვებს. ახალი წლის ღამეს სახლში შავთმიანი მამაკაცის შესვლა კარგის ნიშანია.

### ჩინეთი

ჩინეთში ახალი წელი მთვარის კალენდრით აღინიშნება, რის გამოც თარიღი მოძრავია და 21 იანვრიდან 21 თებერვლამდე მერყეობს.

**მოამზადა**
**ია გიგიაშვილმა**

# „საახალწლო ფიქრები“ – ქართველი მწერლები ახალ წელზე

ახალი წელი – ყველა ადამიანის ცხოვრებაში სიახლესთან, იმედთან და უკეთესის მოლოდინთანაა დაკავშირებული.

თვალი გადავავლოთ, რას ფიქრობდნენ და რას წერდნენ დიდი ქართველი მწერლები ახალ წელზე?

### ვაჟა-ფშაველა – „საახალწლო ფიქრები“

ამ ახალწლის დამდეგს ეს ფიქრი მოდის ძალაუნებურად, რომ ყველამ მოინანიოს წარსულის წლის შეცოდებანი და ახალს წელს მივეგებნეთ ახალის ძალით, მხნეობით, გულწრფელად და ჩავჭიდოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ, და რომელ ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონის დაგვარად რაც-კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს – ეკონომიური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვა. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარს შინაურს საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით. თუ არა და, ტყუილი მოცდენაა, ამაო შრომაა, ვინც იმას ამბობს, კაცობრიობას უნდა ვარგოვო და ეს სარგებლობა ჯერ თავის ძმებისთვის ვერ მოუტანია, თავის ქვეყნისათვის – რომლის ღვიძლი შვილია, – რომლის ავი და კარგი ესმის (და თუ არ ესმის თავის შინაობის ავი და კარგი, ის სხვისას როგორ გაიგონებს და, მაშასადამე, ან რას არგებს).

### აკაკი წერეთელი – „ახალი წელიწადი“

„რატომ არის ყოველთვის და მუდამ სასიამოვნო ახალი წელიწადი? რატომ გვიხარია ყველას ახალი წლის დადგომა?

სულ უბრალო მიზეზის გამო: იმიტომ, რომ ადამიანი არასოდეს არ არის კმაყოფილი თავის წარსულის და აწინდელი ცხოვრებისა და ამ თავის ცხოვრების გაუმჯობესობას, ყველა თავის სურვილთა და წადილითა სისრულეში მოყვანას შემდეგში, ახალი წელიწადის განმავლობაში მოელის.

გასაკვირველი ეს არის, რომ ეს იმედი თითქმის მუდამ უმტყუნდება ადამიანს. თავის წადილი და ნატვრა თითქმის არასოდეს, არც ერთს ახალი წლის განმავლობაში არ უსრულდება, მაგრამ იმის ბუნება იმნაირად არის გაჩენილი, რომ სასოწარკვეთილებაში არ ვარდება, მაინც კიდევ მოელის, უცდის, იმედოვნებს და შეჰხარის ყოველ ახალ წელიწადს.



და ეს იმედი, ეს რწმენა, რომ მომავალ წელს შეასრულებს იმას, რაც გასულში არ შეუსრულებია, ანუგეშებს, ამხნევებს, ენერგიას აძლევს ადამიანს; ეს იმედი არის კაცობრიობის წინ წამყენებელი, აღმძვრელი ძალა პროგრესისა, როგორც იტყვიან“.

### ილია ჭავჭავაძე – „საახალწლოდ“

„ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდან ერთი ფეხის გადადგმაღაა სიკვდილამდე. და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არარის განა? თუ ესეა, აბა ეხლა თარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად და მწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნიარა. ამაზე უკეთესი სანატრელი ვეღარა გვიპოვია-რა. ნატვრის უნარიც კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რაგზაა?

სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და განძლიერდი“ – აი ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა“.

### სერგეი მესხი – „საახალწლო მასლაათი“

„კარგიც არის ეს ახალი წელი და ცუდიც! კარგია, მაშინ, როცა წინ გაიხედავ და გამოგეხატება სხვადასხვა იმედები, სხვადასხვა სურვილი და ნატვრა, რომელთა აღსრულებასაც ამ ახალი წლის განმავლობაში მოელი.

ცუდია მაშინ, როდესაც უკან მოიხედავ და გავლილ წელს, ანუ კიდევ უარესი, გავლილ წელიწადებს ანგარიშს მოსთხოვ, დარწმუნდები, რომ ამ წელიწადმა შენთვის ფუჭად, უნაყოფოდ ჩაიარა; ჰხედავ, რომ არ აგისრულდა ის, რის აღსრულებაც სულით და გულით გწადოდა, და დარჩი ისევ ისე, როგორც შარშან ამ დროს იყავი.

მაგრამ ის იმედი, რომ რაც შარშან ვერ შევასრულეთ, ის წელს აგვისრულდებაო, რასაც წასულ წელს ვერ ვეღირსეთ, იმას ამ დამდეგ წელს ვეღირსებითო,-გულს გვიმხნევებს მუდამ და სასოწარკვეთილებაში არ გვაგდებს.

მართლაც, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება,-თუ მუდამ ეს იმედი, უკეთესი ბედისა და მომავლის იმედი არ გვქონდეს?! დავლაყდებოდით, დავმჟავდებოდით, გულხელდაკრეფილი დავჯდებოდით და შეუშფოთველად მეორედ მოსვლას დავუწყებდით მოლოდინს“

ბედნიერი წელი დაგვბედებოდეს!

**მოამზადა**
**ია გიგიაშვილმა**

# ახალი წელი და ქართული ფოლკლორი

ახალი წელი ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაულია, რომელსაც დიდი თუ პატარა განსაკუთრებული სიხარულით ელის. ამ დღეს ყველა ცდილობს, დაივიწყოს ყველაფერი ცუდი, მადლიერებით გააცილოს ძველი წელი და იმედის თვალით შესცქეროს ახალი წლის შემობრძანებას. საახალწლო საწესჩვეულებო ცერემონიალი საქართველოში მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, თუმცა, ცალკეულ კუთხეებში წესები მაინც განსხვავებული იყო. თუ როგორ ხვდებოდნენ ახალ წელს ძველად, რატომ ჰქონდა ამ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა და ეწინააღმდეგება თუ არა აღნიშნული რიტუალები ქრისტიანობას? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან სიხარულიძე.

ქეთევან სიხარულიძე: ახალი წელი, დროის ახალი მონაკვეთის დასაბამი, განსაკუთრებული მაგიური ნიშნით აღიბეჭდა ადამიანის წარმოსახვაში და ამიტომაც მას ყველგან გამორჩეულად ზეიმობდნენ. იგი ეფუძნებოდა წლის პირველი დღის მაგიას, ანუ იმის რწმენას, რომ ეს დღე განაპირობებდა დამდეგი წლის ბარაქიანობასა და საზოგადო ვითარებას. საახალწლო რიტუალთა მთელ წყებას საკმაოდ ღრმა რელიგიური ფესვები აქვს. წელიწადის დროთა მონაცვლეობა დაუკავშირდა ნაყოფიერების ღვთაების მითოსს, რომლის მიხედვითაც ეს ღვთაება ზამთარში გადადიოდა საიქიოში, მიწისქვეშა სამყაროში, სასიცოცხლო ძალებიც წყვეტდნენ თავიანთ მოქმედებას. გაზაფხულზე ნაყოფიერების ღვთაება ბრუნდებოდა და ზამთარში მიძინებული ბუნება კვლავ იღვიძებდა. ძველების წარმოდგენით, სწორედ ამ დროს იწყებოდა სიცოცხლის ციკლის ახალი ეტაპი, ანუ ახალი წელი. ეს იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საზოგადო მოვლენა, ამიტომ მას განსაკუთრებული რიტუალებით აღნიშნავდა მთელი კოლექტივი.

იწყებოდა იგი პირველი ხნულის გავლებით, რასაც საქართველოში მიწის გაღვიძება ერქვა. ხნული, იგივე კვალი, იყო ის გზა, რომელსაც მიწისქვეშეთიდან მოჰყვებოდა ნაყოფიერების ღვთაება. იგი განახლებული უბრუნდებოდა თავის საუფლოს და თან მოჰქონდა ახალი სიცოცხლე. მას ხვდებოდნენ საჩუქრებით (პროდუქტით), რათა იგივე მიეღოთ მისგან. ამიტომაც გამოირჩევა ახალი წელი სანოვაგის სიუხვით.

პირველი ხნული (კვალი) გაჰქონდა კაცს, რომელიც საზოგადოებაში ცნობილი იყო დავლათიანობით (ბედის, ბარაქიანობის, ღვთის მადლის მქონე), რათა მის მიერ მოხნულ მიწას მოსავლიანობა დაჰბედებოდა. აქედან მოდის მეკვლეს სახელიც, რომლის ფუნქცია დავიწროვდა იმის შემდეგ, რაც ახალი წლის აღნიშვნამ უმთავრესად საოჯახო ხასიათი მიიღო.

როგორ ემზადებოდნენ ახალი წლის შესახვედრად?

საქართველოში (ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში) ახალი წლის დღესასწაული გამორჩეულად აღინიშნებოდა. მასთან დაკავშირებული რიტუალები ყველგან თითქმის ერთნაირი იყო, რადგან უმთავრეს მიზანს ამ რიტუალებისა შეადგენდა სიუხვისა და კეთილდღეობის მოპოვება. რასაკვირველია, იყო კუთხური თავისებურებებიც, მაგრამ ისინი მხოლოდ ნიუანსებში განსხვავდებოდნენ ძირითადი წეს-ჩვეულებებისგან. ახალი წლის წინა დღეებში იწყებოდა დიდი სამზადისი: სახლისა და კარმიდამოს დასუფთავება, სანოვაგის მომზადება საგანგებო სუფრისთვის, სხვადასხვა ფორმის (ცხოველების, ფრინველების, შრომის იარაღების) კვერების ცხობა და სხვა. ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად საგანგებო პურს აცხობდნენ, რომელსაც ქართლში, იმერეთსა და რაჭაში ყურძნის მტევნის მოყვანილობა ჰქონდა. გურიაში კი კვერის სახით ცხვებოდა და მას აგუნას პური ეწოდებოდა. სამეგრელოში კი აგუნას სახელზე ოთხი ხაჭაპური ცხვებოდა. გამომცხვარი კვერები თუ პურები ხონჩაზე დაწყობილ სხვა სანოვაგესთან ერთად მარანში შეჰქონდათ, სადაც საგანგებო ტექსტს წარმოთქვამდნენ, თან გადაბრუნებულ საწნახელს ნაჯახის ყუას უკაკუნებდნენ. შემდეგ იმართებოდა რიტუალური ჭამა-სმა.ოჯახის თავი გარეთ გადიოდა ხონჩით ხელში და ახალი წლის მოსვლას ულოცავდა შინაურ პირუტყვსა და ფრინველს, ვაზს, კარ-მიდამოს. ვენახში მიჰქონდათ ვაზის პური, ხელადა ღვინო და ნასუქი მამალი. გურიაში ამ დროს ღორის თავიც დაჰქონდათ. მოხარშულ თავს ხორცს მოაშორებდნენ და დარჩენილ ძვალს უკაკუნებდნენ, თან დააყოლებდნენ: „ჩვენს მამულში – ყურძენი, სხვის მამულში – ფურცელი“.

ეზოს შემოვლის შემდეგ ოჯახის უფროსი სახლში შედიოდა სავსე ხონჩით, მიმოაბნევდა ხორბალს (ან სხვა მარცვლეულს) გამრავლების ნიშნად და დაილოცებოდა, ოჯახის წევრებს ულოცავდა ახალ წელს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ კერაში ცეცხლი ჩაუქრობლად შეენახათ. სიტყვიერადაც ცდილობდნენ ცეცხლისთვის ძალის შემატებას:

„ცეცხლო ელოდე, მელოდე,
მე მელოდე, მზეს ელოდე,
ადრიანად ავდგებოდე,
დოჩხოურა(ანუ ნაკვერჩხლიანი) დამხვდებოდე“.

ანთებული მუგუზლიდან დაცვენილი ნაპერწკლების სიმრავლე პურის, ღვინის, დოვლათის, ოჯახის გამრავლების სიმბოლო იყო.

დილით წყალსაც მიულოცავდნენ. დიასახლისები წყაროზე მიდიოდნენ, ულოცავდნენ და შინაური ფრინველისთვის საკენკს ალბობდნენ, რომ მათ გამ-

გაგრძელება მე-5 გვ. -ზე

# ახალი წელი და ქართული ფოლკლორი

დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

რავლების უნარი მომატებოდათ. ხევსურები მიდიოდნენ მდინარესთან, სიტყვიერად მიულოცავდნენ ახალ წელს და ძღვნად ერბოიან-ყველიან პურის ნაჭერს აგდებდნენ წყალში.

როცა ახალი წლის ღამე იწურებოდა, სახლში შემოდიოდა პირველი სტუმარი – მეკვლე. ხალხის რწმენით, მის ნაფეხურს მოჰყვებოდა მომავალი წლის ბედი, რაც დიდად იყო დამოკიდებული მეკვლეს პიროვნებაზე, მის ბედიღბლიანობაზე. იგი ხელდამშვენებული მოდიოდა იმის ნიშნად, რომ ბარაქიანობა შემოჰქონდა ოჯახში. ხონჩაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ვაზის ლერწი, თავის სურვილს კი აუცილებლად ლექსით გამოთქვამდა:

„ახალ წელიწადს წლის თავსა
გიკვლევ ვაზისა რქითამცა,
შენიმცა სახლი ავსილა
ტყავ-კაბა-ზარბაბითითამცა;
ცხენზედაც მოგადგებიან
მშვილდისრიანნი ხმლითამცა,
ტახტზედაც დაგიდგებიან
თავ-ოქრო-გვირგვინითამცა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს,
მოყვარე მრავალგზითამცა,
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას,
ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა;
უხვათამც მოგეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითამცა“.

ახალი წლის დღეს საქართველოში ზოგან „ბასილის დღეს“ უწოდებდნენ, რადგან 1 იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ბასილი დიდს იხსენიებს. ამ დროს აცხობდნენ ადამიანის ფორმის „ბასილას კვერებს“, რომელსაც ასევე „კაცბასილას“ უწოდებდნენ. ჩიჩილაკსაც ბასილას წვერები ერქვა.

მეკვლეობის ტრადიციას დღესდღეობით ძველი სახე და ფუნქცია აღარ აქვს, თუმცა ახალი წლის ღამით მოსულ პირველ სტუმარს დღესაც მეკვლედ თვლიან და, ძველი წესის დაცვით, ისიც აუცილებლად ხელდამშვენებული შედის ოჯახში.

ძველად საქართველოში ახალი წელი სხვადასხვა დროს იწყებოდა. რა განაპირობებდა თარიღის ცვლილებას და ბოლოს როდის დადგინდა ახალი წელი 1 იანვარს?

საქართველოში ახალ წელს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ. IV საუკუნეში 6 აგვისტოს ზეიმობდნენ, VII საუკუნიდან იგი ბიზანტიურ-ქრისტიანულმა ინდიქტიურმა, ანუ სექტემბერის წელიწადმა შეცვალა. IX საუკუნის 20-იანი წლებიდან გაზაფხულზე მარტიდან იწყებოდა დროის ახალი ათვლა, XIV საუკუნიდან კი მისი თარიღი საბოლოოდ დადგინდა ევროპული კალენდრით იანვარში.

25 დეკემბერი (7 იანვარი) ეკლესიამ ქრისტეშობის დღედ IV საუკუნეში დააწესა. იგი წინ უძღოდა ახალ წელს და მორწმუნისათვის მასზე უფრო მნიშვნელოვანიც იყო. რელიგიური თვალსაზრისით, ყოველგვარი განახლების სათავე ქრისტეს ამქვეყნად მოვლინებაა. მას მოსდევს ახალი სიცოცხლე, დროის განახლება. XX საუკუნის დასაწყისში ასტროლოგიური გამოთვლების საფუძველზე დადგინდა, რომ კალენდარში ცვლილებები შეეტანათ. 1918 წელს რუსეთში შემოიღეს დასავლურ-ევროპული კალენდარი. მიღებული დეკრეტით, 31 იანვრის მომდევნო დღე იყო არა 1, არამედ – 14 თებერვალი. აქედან მოყოლებული, დროის ათვლა გაიყო ორად: ძველი სტილი შეინარჩუნა ეკლესიამ, ხოლო ახალ სტილს მიჰყვება სახელმწიფო და სამოქალაქო მოსახლეობა. ასეა ეს საქართველოშიც. რეფორმის შედეგად ახალი წელი მოექცა შობისა და ნათლისღების დღესასწაულთა წინ.

შობის დღესასწაულზე კარდაკარ სიარული და „ალილოს“ სიმღერა დღემდე შემორჩენილია. რა განსხვავებაა დღეს ამ დღესასწაულის აღნიშვნაში?

საქართველოში შობა უდიდესი დღესასწაულია და მას თავისებური რიტუალი ახლავს – კარდაკარ სიარული და მამაკაცთა მიერ „ალილოს“ სიმღერა. ფიქრობენ, რომ მისამღერი სიტყვა და რიტუალის სახელი „ალილო“ მომდინარეობს „ალილუიადან“. ეს წეს-ჩვეულება თითქმის ერთნაირად ტარდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ალილოს მომღერლები დახელოვნებულნი იყვნენ ტრადიციული გალობა-სიმღერის შესრულებაში. კარდაკარ ჩამოვლისას მათი ხმა მთელ მხარეს ეფინებოდა:



„ოცდახუთსა დეკემბერსა
შობა გათენებულაო,
ქვაბსა ბეთლემისასა
ქრისტე დაბადებულაო.
მადლი მახარობელსაო,
ქვეყნის გამხარებელსაო.
სახლო ღმერთმა აგაშენოს,
მხიარულად დაგამშვენოს“.

ზოგჯერ ერთსა და იმავე სოფელში მომღერალთა 2-3 ჯგუფიც გამოჩნდებოდა. მოსახლეობა ხელგაშლილი ელოდა მათ, რადგან სჯეროდათ, რომ მეალილოების დასაჩუქრება ბარაქას შემატებდა მათ ოჯახებს. კარდაკარ ჩამომვლელები თვითონაც ითხოვდნენ საშობაო საჩუქარს:

„ალათასა ბალათასა,
ხელი ჩაყავ კალათასა,
ცოტა რამე გამოგვიტა,
ღმერთი მოგცემთ ბარაქასა“.

ალილოს ლექსებში შექებულია პურადი და უხვი მასპინძელი, ძუნწი და ხელმოჭერილი კი – გაკიცხული. მეალილოები ზოგჯერ კატეგორიულებიც იყვნენ, თუ მასპინძელი საჩუქრის მიცემას აყოვნებდა:

„ტყიდან მგელი გამოვარდა,
თხა შეგვიჭამა ნისლაო,
თუ გამოგაქვთ, გამოიტათ,
სხვაგანაც გვინდა მისვლაო“.

ალილოზე სიარულის ტრადიცია კვლავ ააღორძინა საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. შეგროვებული სანოვაგე და შესაწირი ურიგდებათ უმწეოებსა და პატიმრებს.

რამდენად ეწინააღმდეგება აღნიშნული რიტუალები ქრისტიანობას?

ახალი წლის დღესასწაული უძველესი წარმოშობისაა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა დიდი ნაწილი წარმართობიდან მომდინარეობს, მაგრამ დღესაც არსებობს, რადგან მთავარი მიზანი ამ დღესასწაულისა – ცხოვრების განახლება, ბარაქიანობის მოთხოვნა, სიხარულის მოლოდინი – ადამიანის უმთავრესი მოთხოვნილებაა და იგი ქრისტიანული რელიგიისთვისაც არ არის უცხო.

### როდის ჩნდება ნაძვის ხე და ჩიჩილაკი?

საქართველოში ახალ წელს ახლდა მისი აუცილებელი ატრიბუტი – ჩიჩილაკი, რომელსაც „ბასილას წვერებსაც“ ეძახდნენ. იგი წმინდა ბასილის სახელს უკავშირდება და, რასაკვირველია, ქრისტიანობის ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო. თუმცა მორთული ხის სიმბოლიკაც ძალიან ძველია და ნაყოფიერებას უკავშირდება. ფიქრობენ, რომ ჩიჩილაკი თავისი ბურბუშელებით მზის სხივებსაც განასახიერებდა. მის თავზე ჯვრის გამოსახულებას აკეთებდნენ და ჩირით, ხილით, სუროს ფოთლებით რთავდნენ. მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საახალწლო ხონჩაზე. ნათლისღების წინა დღეს კი ბასილას წვერებს წვავდნენ და მის ფერფლს ატანდნენ გასული წლის უსიამოვნებებს. ზეპირგადმოცემით, თითქოს პირველი ჩიჩილაკი ღვთისმშობლის მეუღლემ, მართალმა იოსებმა (იგი ხომ ხურო იყო) გაუკეთა პატარა იესოს გასართობად.

დროთა განმავლობაში საახალწლო მორთულობებში წამყვანი ადგილი ნაძვის ხემ დაიკავა. საიდან მოვიდა ეს ტრადიცია? გერმანული მოდგმის ხალხებში უძველესი დროიდან არსებობდა რწმენა, რომ მარადმწვანე მცენარეები სასიკეთო გავლენას ახდენენ მოსავლიანობაზე. ამიტომ ტოტები, ან მთელი ხეც მოჰქონდათ სახლში. ეკლესია ებრძოდა ამ წარმართულ ჩვეულებას, მაგრამ მერე დააკანონა და შობას დაუკავშირა. უჭკნობ სიმწვანეს აღიქვამდნენ, როგორც მარადიულ სიცოცხლეს. ნაძვის სამკუთხა კონტური წმინდა სამებას გამოხატავდა. ნაძვს რთავდნენ ვაშლებით, რითაც ის სამოთხის ხეს განასახიერებდა. ასევე, მასზე კიდებდნენ ვაფლის ნაჭერს, რომელიც ზიარების პურის სიმბოლო იყო. ნაძვის წვერს კი რთავდნენ „ბეთლემის ვარსკვლავით“.

რუსეთში ნაძვის მორთვა დაიწყეს XIX საუკუნეების შუა ხანებიდან. თავდაპირველად ამას აკეთებდნენ გერმანულ ოჯახებში, რომლებიც მრავლად იყო როგორც პეტერბურგში, ისე – მოსკოვში. შემდეგ ეს ახალი ჩვეულება გავრცელდა რუსებს შორისაც. სავარაუდოა, რომ საქართველოში ნაძვის ხის მორთვა საახალწლოდ რუსეთიდან შემოვიდა. დღეს ქართულ ოჯახებში ისევ მკვიდრდება ჩიჩილაკი და იკავებს ადგილს ნაძვის ხის გვერდით.

**თეონა ნოზაძე**
ambioni.ge

# რა უნდა ვიცოდეთ რძის შესახებ



ძროხის რძე ადამიანის ჯანმრთელობისთვის საჭირო ასზე მეტ კომპონენტს შეიცავს. ამიტომ ეს პროდუქტი სასარგებლო და აუცილებელიცაა ყველა ასაკის ადამიანისთვის.

### ქარხნული თუ სოფლის რძე?

მაღაზიაში ძირითადად ქარხნული წესით დამზადებული რძე იყიდება, თუმცა ბაზარზე სოფლის რძეც უხვადაა. განსხვავება მათ შორის დიდია. თუ სოფლის რძე პირდაპირ, ყოველგვარი დამუშავების გარეშე იყიდება, ქარხნული რძე ნატურალური რძის თერმული დამუშავებისა და ცხიმის ნორმალიზაციის შედეგად მიიღება. ქარხნული რძის კიდევ ერთი სახეობაა აღდგენილი რძე, რომელიც რძის ფხვნილისაგან მზადდება.

ზოგადად, რაც უფრო მეტადაა დამუშავებული რძე, მით მეტადაა დაკარგული მასში შემავალი სასარგებლო კომპონენტები. ამიტომ სოფლის რძე ყველაზე მეტ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს, თუმცა მისი არჩევა უფრო რთულია.

### როგორ შევარჩიოთ სოფლის რძე?

სოფლის რძის არჩევისას რამდენიმე საკითხს უნდა მივაქციოთ ყურადღება:

- რამდენად სუფთადაა მოწველილი რძე;
- რამდენად სუფთა და უსაფრთხო ჭურჭელშია იგი მოთავსებული;
- ხომ არ არის იგი ცხიმმოხდილი ან წყლით გაზავებული;
- რამდენად ახალია რძე.

პირველ რიგში კარგად დააკვირდით რძეს: თუკი მასში მიწის ან თივის ნაწილაკებს ან ძროხის ბალანს შენიშნავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მოწველის დროს უბრალოდ არ იყო ჰიგიენური ნორმები დაცული. ასეთი რძე არ შეიძინოთ!

სოფლის რძეს ძირითადად მეორად ბოთლებში (ძირითადად „პლასტმასის“, ანუ პოლიეთილენის ან პოლივინილქლორიდის ბოთლებში) ყიდიან, როგორც წესი, ბოთლის ყოველგვარი სტერილიზაციის გარეშე (პლასტმასის ბოთლები ვერც უძლებს სტერილიზაციას). ამიტომ დიდია რისკი, რომ ბოთლიდან რძე დაბინძურდეს.

ასეთ ჭურჭელში შეძენილი რძე სახლში მიტანისთანავე მომინანქრებულ ჭურჭელში გადაიტანეთ, აადუღეთ და ისე შეინახეთ მაცივარში. გირჩევთ, თუ ამის შესაძლებლობა არის, თავად მიაწოდოთ გამყიდველს სტერილიზებული შუშის ქილები და სთხოვოთ, მომავალში რძე ამ ქილებით მოგიტანოთ.

ცხიმმოხსნილი ან გაზავებული რძის ამოსაცნობად:

- დააკვირდით რძის ფერს და კონსისტენციას. მოუხდელი რძე თეთრია, ოდნავ მოყვითალო ელფერით. თუკი რძეს აქვს მოცისფრო ელფერი და წყალწყალა კონსისტენცია, მოხდილ (ცხიმმოცილებულ) ან წყალგარეულ რძეს გთავაზობენ.
- შეანჯღრიეთ რძის ჭურჭელი. თუ ქაფი წარმოიქმნა, რძე გაუზავებელია;
- დაიწვეთეთ რძე ფრჩხილზე: მოუხდელი და გაუზავებელი რძე ამოზნექილ წვეთს წარმოქმნის. თუკი რძის წვეთმა ფრჩხილზე ოდნავ შესამჩნევი სველი კვალი დატოვა, მაშინ რძე მოხდილია; თუ რძე ფრჩხილიდან ჩამოვარდნისას საერთოდ არ ტოვებს არანაირ კვალს – რძეში წყალია გარეული.

გაზავებული ან ცხიმმოხდილი რძე რა თქმა უნდა საზიანო არ არის, თუმცა მისი კვებითი ღირებულება ჩვეულებრივ რძეზე მნიშვნელოვნად დაბალია.

დაძველებული რძის ამოსაცნობად უბრალოდ დაყნოსეთ – დაძველებისას რძე მჟავდება და დამახასიათებელი მჟავე სუნი უჩნდება. თუმცა ზოგჯერ, არაკეთილსინდისიერი გამყიდველები ამჟავების პროცესის შესაჩერებლად რძეში სოდას უმატებენ. ასეთი რძე სასმელად უვარგისია!

რძეში სოდის აღმოსაჩენად გადმოასხით ცოტაოდენი რძე კოვზზე და დაუმატეთ რამოდენიმე წვეთი ძმარი ან ლიმონის წვეთი – თუ რძე „აქაფდა“ (ჰაერის ბუშტუკები წარმოიქმნა), ეს იმას ნიშნავს, რომ რძეში სოდაა დამატებული. ასეთი რძე შეგიძლიათ რაიმეს გამოსაცხობად გამოიყენოთ. მომავალში კი შეეცადეთ იმავე გამყიდვლისგან რძე აღარ შეიძინოთ.

### სოფლის რძის შენახვა და მოხმარება სახლში

მიუხედავად იმისა, რომ რძე ადუღებისას ბევრ სასარგებლო ნივთიერებას კარგავს, სოფლის რძე მოხმარების წინ აუცილებლად უნდა აადუღოთ. ადუღებისას ისპობა ბაქტერიების უმეტესობა და რძე უფრო უვნებელი ხდება.

თუ რძის შენახვას აპირებთ, გაითვალისწინეთ, რომ ოთახის ტემპერატურაზე სოფლის რძე მალე მჟავდება, ამიტომ იგი აუცილებლად მაცივარში უნდა შევინახოთ. ჯობს რძე წინასწარ აადუღოთ, გააგრილოთ და ამის შემდეგ შედოთ მაცივარში. ახალი რძე მაცივარში 5–7 დღე ინახება.

თუ რძე აგიმჟავდათ, იგი დასალევად გამოუსადეგარია, თუმცა მისი შემდგომი გამოყენება მაინც შესაძლებელია: მაგალითად, რაიმე კულინარიულ ნაწარმის მოსამზადებლად. ან უბრალოდ წამოადუღეთ ამჟავებული რძე დაბალ ცეცხლზე და შემდეგ დოლბანდში გადაწურეთ – მიიღებთ შესანიშნავ ხაჭოს, რომელიც კალციუმით მდიდარია და ძალიან სასარგებლოა.

### ქარხნული რძის არჩევა

ქახნული რძის ასარჩევად უნდა გაითვალისწინოთ, რამდენი ხნის განმავლობაში და რა პირობებში აპირებთ მის შემდგომ შენახვას:

- პოლიეთილენის პაკეტებში მოთავსებული პასტერიზებული რძე მხოლოდ მაცივარში ინახება და ისიც არა უმეტეს 36 საათისა. ე.წ. „ტეტრაპაკში“ მოთავსებული სტერილიზებული რძე კი მაცივარში 6 თვემდე ინახება;
- სტერილიზებული რძე ოთახის ტემპერატურას (+20 გრადუსს) უძლებს და 10 დღემდე ასე შეიძლება შეინახოს;
- ულტრასტერილიზებული რძე 3-6 თვე ინახება.

თუმცა, ამავე დროს, რაც მეტადაა დამუშავებული რძე (და რაც მეტია მისი შენახვის ვადა) – მით ნაკლებად სასარგებლოა იგი.

აგრეთვე მიაქციეთ ყურადღება, ნატურალური რძისგანაა პროდუქტი დამზადებული, თუ რძის ფხვნილისგან არის აღდგენილი. რა თქმა უნდა, ნატურალური პროდუქტი უფრო სასარგებლოა.

პროდუქტის შეძენისას მიაქციეთ ყურადღება:

- გამოშვების თარიღს და შენახვის ვადას. არ იყიდოთ ვადაგასული პროდუქტი;
- შეფუთვის მთლიანობას;
- პირობებს, რომელშიც ინახება რძე მაღაზიაში: თუ შენახვის პირობები დარღვეულია, ეტიკეტზე მითითებული შენახვის ვადას მნიშვნელობა აღარ აქვს და ეს პროდუქტი გაფუჭებულად შეიძლება ჩაითვალოს.

### ქარხნული რძის შენახვა და მოხმარება სახლში

ქარხნული რძე სტერილურია, ამიტომ მოხმარების წინ მისი ადუღება სავალდებულო არ არის. თუმცა თუ პაკეტი გახსენით და ასე შეინახეთ – მაშინ შესაძლებელია რძე დაბინძურებულიყო. ამიტომ გახსნილი რძე აუცილებლად მაცივარში უნდა შეინახოთ და მოხმარების წინ ჯობს წამოადუღოთ.

გაუხსნელი რძის პაკეტის შენახვის პირობები იგივეა, რაც მაღაზიაში. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ რძეს ნუ დალევთ, მხოლოდ კულინარული ნაწარმის ან ხაჭოს დასამზადებლად გამოიყენეთ.

momxmarebeli.ge
agrokavkaz.ge

# ძველით ახალი წელი მრავალ ქვეყანაში აღინიშნება

საქართველოში 13 იანვრის ღამეს (14 იანვარს) არაოფიციალურად ძველით ახალი წელი დღესასწაული აღინიშნება.

ძველი ახალი წელი მრავალ ქვეყანაში აღინიშნება, რაც დაკავშირებულია ორ კალენდარულ სისტემას შორის განსხვავებასთან. ერთია იულიუსის „ძველი სტილის“ კალენდარი, მეორე კი გრიგორიანული „ახალი სტილის“ – რომლითაც ცხოვრობენ თანამედროვე ადამიანები.

ამ განსხვავებამ XX XXI საუკუნისათვის შეადგინა 13 დღე-ღამე, ამიტომაც ახალი წელი ძველი სტილით აღინიშნება 13 დან 14 იანვრის ღამეს იმ ქვეყნებში, სადაც მართლმადიდებლური ეკლესია კვლავ იულიუსის კალენდრით სარგებლობს. პრაქტიკულად, ევროპის ყველა სახელმწიფო გრიგორიანულ კალენდარზე გადავიდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში.

რუსეთში ცვლილება 1918 წლიდან დაიწყო. ვინაიდან თანამედროვე ახალი წელი ემთხვევა მარხვის პერიოდს, იმ ქვეყნებში სადაც მართმადიდებლური ეკლესია იულიუსის კალენდარს იყენებს, მორწმუნე ადამიანებს ძველით ახალი წელი აძლევს საშუალებას, იზეიმონ ახალი წლის დადგომა, როდესაც მარხვა უკვე დასრულებულია.

ძველით ახალი წლის შეხვედრის ტრადიცია შემონახულია ბელორუსიასა და უკრაინაში, სადაც 14 იანვრის წინა საღამოს „უხვს“ უწოდებენ, რამდენადაც მიღებულია მარხვის შემდეგ მდიდრული სუფრის გაშლა. ყოფილ იუგოსლავიაში (სერბია, ჩერნიგორია, მაკედონია) ასევე ზეიმობენ ამ თარიღს. სერბები მას „სერბულ ახალ წელს“ უწოდებენ. ჩერნიგორიაში კი ძველით ახალ წელს „ნამდვილ ახალ წელს“ უწოდებენ.

ახალ წელს ხვდებიან ამ დღეს საბერძნეთშიც და მას წმინდა ვასილის დღეს უწოდებენ. რუმინეთში ამ თარიღისათვის აცხობენ ღვეზელებს სიურპრიზებით: მონეტებით, ფაიფურის ფიგურებით, ბეჭდებით.

შვეიცარიის ზოგიერთ გერმანულენოვან კანტონში 13 იანვრის საღამოდან იწყებენ საზეიმო სვლას ქუჩებში და წმინდა სილვესტერის დღის აღნიშვნას. ამას გარდა ახალ წელს ძველი სტილით აღნიშნავენ უელსში. 2100 წლის 1 მარტიდან იულიუსისა და გრიგორიანულ კალენდრებს შორის განსხვავება გახდება 14 დღე-ღამე. 2101 წლიდან ძველით ახალი წლის აღნიშვნა მოხდება ერთი დღით გვიან.

საახალწლო რიტუალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ნებისმიერი მათგანის მიზანი ერთია – მოზეიმეები დღესასწაულს ისე უნდა შეხვდნენ, რომ ახალმა წელიწადმა თითოეულ ოჯახს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოუტანოს. „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისა! წელი სიკეთე-სათნოებისა, მშვიდობისა, ბარაქისა, სიყვარულისა, გამრავლებისა! ღმერთმა დაგლოცოთ კაც-დიაცით, თქვენი შვილებით, აკვნების სიმრავლით, პურ-ღვინის დაძველებით, ზვარ-ყანების სიდიდით, ცხვარ-ძროხის სიმრავლით, კარგი სტუმრითა და ყველა მოკეთით!

მრავალ ახალ წელს!

# თუ ყველა ერთსულოვნად, ქვეყნის წინსვლისთვის და ოჯახის ბედნიერებისთვის თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ, წარმატებები გარანტირებული იქნება



*საახალწლო ნომრისთვის ინტერვიუ ვთხოვეთ კეთილშობილ, უპრეტენზიო, ყვარლელებისთვის საყვარელ ადამიანს, ბატონ ომარ სეფაშვილს, რომელიც ერთ დროს გულშემატკივრების გარემოცვაში იყო და ახარებდა კიდეც მათ გულს.*

**– ბატონო ომარ, თქვენ მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდეთ. ოთხი ვაჟკაცის აღზრდა, სწავლა – განათლების მიღება არც ისე იოლი იყო მაშინ. ყველამ უმაღლესი განათლება მიიღეთ, საზოგადოებისთვის ცნობილი დედმამიშვილებიც გყავდათ. თქვენ როგორი ბავშვობა გახსოვთ?**

– ქალბატონო დალი, უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა და მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემს ყვარლელებს, ყვარლის რაიონისა და სრულიად საქართველოს ყველა მაცხოვრებელს მივულოცო დამდეგი, ახალი 2020 წელი, ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, მშვიდობა, კეთილდღეობა, ხვავი, ბარაქა, საქართველოს წელში გამართვა და სრულიად გაერთიანება.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ როგორი ბავშვობა მახსოვს, გიპასუხებთ: – მე დავიბადე იმ ოჯახში, რომელსაც ჰყავდა სამი ვაჟი ინდიკო, სანდრო (სანდალა) და ირაკლი, და არ გვყოლია. დავიბადე ძნელბედობის პერიოდში, სამამულო ომის დაწყებიდან ორი თვის



შემდეგ, ამიტომ, ცხადია მძიმე ბავშვობა მექნებოდა. უჭირდა უამრავ ოჯახს და მათ შორის ჩვენც. რაც შეეხება მახსოვრობას, ყველაფერი უკვე პირველი კლასიდან კარგად მახსოვს, მახსოვს როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა ქვეყანა იმ ხანგრძლივი და უსასტიკესი ომის გამო, მაგრამ ხალხში იმედი იყო, რომ ქვეყანას ჰყავდა პატრონი და ყველაფერი თანდათან გამოსწორდებოდა. 1948 წელს შევედი ყვარლის ვაჟთა სკოლაში, სხვა ბავშვებივით მეც მომიწია ქალამნებით და ნაჭრის ჩანთით მერხთან დაჯდომა. პატარაობიდანვე მეც ჩავერთე საოჯახო საქმიანობაში, ვაკეთებდი იმას, რაც პატარას შემეძლო ზაფხულის არდადეგების დროს. ვუვლიდი პირუტყვს, მეხუთე კლასიდან კი ბარსა და თოხსაც მოვკიდე ხელი, რადგან მშობლები კოლმეურნეობაში მუშაობდნენ და ვერ იცლიდნენ, სკოლაში მშობელთა კრებაზე დასწრება ოლღა ბებიასავით ბებიაჩემს უწევდა, საიდანაც ყოველთვის გახარებული ბრუნდებოდა სახლში შვილიშვილების კარგი ნიშნებით და მასწავლებლებისგან კარგი დახასიათებით. თქვენს შეკითხვაში ნახსენები არიან ჩემი დედმამიშვილები. მართლაც საუკეთესო ძმობა გვქონდა, ბავშვობიდან დაწყებული მათ აღსრულებამდე ყოველთვის უმცროსი ვიყავი და თითქმის ვალდებულებად თვლიდნენ თავს, თავიდან ბოლომდე ჩემზე ეზრუნათ, ამიტომ ჩემს რძლებს ვუხდი მადლობას. თუ ისინი არ იქნებოდნენ მოწოდების სიმაღლეზე, ძმებს შორის ნამდვილად ძმობის დუღაბს ბზარი გაუჩნდებოდა. ალბათ ჩვენს ძმობაზე იყო დაწერილი წინა საუკუნის ლოზუნგი – „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“. ქვეყანაში ყოველ მომდევნო წელს თანდათან უმჯობესდებოდა ცხოვრება და მეც ბავშვობიდან უკვე ჭაბუკობაში გადავდიოდი და მაშინ მივხვდი, რომ ცხოვრებაში წინსვლისთვის აუცილებელი იყო სწავლა, შრომის სიყვარული და თუ ორივე ფაქტორს კარგად გამოვიყენებდი, წარმატებები უეჭველად იქნებოდა.

როცა მომდევნო წლებში ინდუსტრიალიზაციის ხანა დადგა და ავტოქარხნებმა დაიწყეს თვითმცლელი მანქანების გამოშვება, უმალ დაეტყო ქვეყანას, მათ შორის ყვარელსაც. ჩვენი ქალაქი ძირითადად გაფართოვდა და აშენდა სამოცი სამოცდაათიანი წლების პერიოდში. ჩვენც, ძმებმა მხარი მხარს მივეცით და ამ წლების მონაკვეთში უკვე ოთხივე ძმას გვქონდა საკუთარი სახლები. ამის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში დადგა სხვა ხანა.

**– ყვარლის „დურუჯის“ ფეხბურთელთა კლუბში მოგიწიათ თამაში და თქვენი ახალგაზრდობა ამ სპორტში გაატარეთ. როგორ გახდით წარმატებული ფეხბურთელი – ფეხბურთი თქვენი ბავშვობისდროინდელი გატაცება იყო?**

– დიახ, ფეხბურთის სიყვარული ბავშვობის ასაკიდან მომდევს. იმ პერიოდში თითქმის ყოველი მოზარდი შრომაში და სპორტში იყო ჩართული. მაშინ არ იყო ტელევიზორი, ინტერნეტი, მობილური ტელეფონები და ბავშვებიც ძველ ხალხურ სათამაშოებს და ფეხბურთს მისდევდნენ. სპორტს დიდი ყურადღება ექცეოდა სკოლებში. სკოლაში ადრე უნდა მისულიყავი, რომ დილის გამამხნევებელი ვარჯიში ჩაგეტარებინა. ისე კლასში არ შეგიშვებდნენ. იმართებოდა სკოლის შიდა შეჯიბრებები კლასებს შორის, შემდეგ რაიონის სასკოლო სპარტაკიადა. მეც აქტიურად ვიყავი ჩართული ამ შეჯიბრებებში და სპორტის მრავალ სახეობაში ვმონაწილეობდი, რომლებიც ძირითადად ბურთიან თამაშის სახეობას განეკუთვნებოდა. მაგრამ ჩემი გატაცება მაინც ფეხბურთისაკენ გადაიხარა. პირველად ქუჩაში ვთამაშობდით, მაგრამ რადგან ქუჩა ვიწრო იყო და მეზობლების ბაღჩაში ვარდებოდა ბურთი, აგვიკრძალეს იქ თამაში. დავიწყეთ ახალი სათამაშო მოედნის ძებნა და მალევე აღმოვაჩინეთ 1949 წელს აზვირთებული „დურუჯის“ მიერ გაკეთებული ხრამი, რომელიც იქნებოდა დაახლოებით 15 მეტრი სიგანის, გვერდებზე ეკრა 2 მეტრი სიმაღლის კლდეები. ჩვენ ვიზრდებოდით, მოედანი პატარავდებოდა, ამიტომ ახალი მოედნის ძებნა დავიწყეთ და აღმოვაჩინეთ დურუჯის რიყის იქით ტყის პირას წყლით ლამ გადალესილი ადგილი. მოვაწყეთ მოედანი და დაიწყო უბან-უბან შეჯიბრებები. ამის შემდეგ წამოვიზარდე და ნამდვილ სტადიონზე გადავინაცვლე. იქ გავაგრძელე ვარჯიშები მწვრთნელ ზაურ ჩახნაშვილთან. სწორედ მისი გადაწყვეტილებით გავხდი „დურუჯის“ გუნდის წევრი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. მისი დამსახურებაა გუნდის აღზევება საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში. მახსოვს, პირველი თამაში გვქონდა ქალაქ ცხაკაიაში (დღევანდელი სენაკი). ორით ერთი წავაგეთ და ის ერთაადერთი გოლი მე გავიტანე. ამიტომ მეამაყება, რომ გუნდის ისტორიაში პირველ ლიგაში პირველი გოლი მე გავიტანე. ასე აღმოვჩნდი „დურუჯზე“ გაკეთებული სტადიონებიდან ნამდვილ „დურუჯში“.

ამის შემდეგ იყო წარმატებებიც და წარუმატებლობებიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მოვიპოვეთ ყვარლისა და რაიონის მოსახლეობის პატივისცემა, რაც გამოიხატებოდა მრავალი მაყურებლის დასწრებით ყოველ თამაშზე. თუ გამოუვალი მდგომარეობა არ იყო, არც ერთ თამაშს არ აცდენდა ბიუროს წევრებთან ერთად პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, ბატონი გივი ზაუტაშვილი, რომელიც მუდმივად ზრუნავდა ჩვენზე და შეძლებისდაგვარად ყოველთვის გვეხმარებოდა.

მე მინდა ყველა იმ გულშემატკივარს და მაყურებელს, რომელიც მაშინ გვერდში გვედგა და გვამხნევებდა, დი-



დი მადლობა გადავუხადო და ვუსურვო ბედნიერი ახალი წელი.

**– თქვენ გვერდით გყავდათ მეგობრები, რომლებმაც ასევე ფეხბურთს შეალიეს თავი. უმეტესობა ამ ადამიანებისა აღარ არიან. ვის გაიხსენებდით, – გამოყოფა მართლა ძნელი იქნება, მაგრამ, მაყურებელს რომელი ფეხბურთელის თამაში უფრო მოსწონდა? როგორი მეგობრული ოჯახი იყო თქვენთვის?**

– დიახ, მართლაც მყავდა მეგობრები, რომლებთანაც ერთად გავატარე ჩემი სპორტული წლები. ჩვენ ფეხბურთის გარდა ოჯახებითაც ძალიან ახლოს ვიყავით. ვეხმარებოდით ერთმანეთს სახლის მშენებლობაში თუ სხვა საქმიანობაში. მე ფეხბურთის თამაში მომიწია ორ თაობასთან და დასანანია, რომ მრავალი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა გავიხსენო ყველა მათგანი. აი, ისინიც: სანდრო (სანდალა) სეფაშვილი, ალიკა ღონიაშვილი, კაკო სეფაშვილი, გიორგი (სტეგნე) მოლაშვილი, ჯონდო (ვასილიჩი) სეფაშვილი, ოთარი (ზანგო) ქანდაურიშვილი, ოთარი ღუჭაშვილი, ელგუჯა (ჭიკჭიკა) ტაკაშვილი, თენგიზი(პეტრო) პეტრიაშვილი, თენგიზი (ნიკულინა) ხაჩირაშვილი, ვაჟა (ბურდღა) ბაიდოშვილი, ლევანი (ჟაპრე) ჟამუტაშვილი, კაკო (ყაჭოლე) ზაუტაშვილი, სადულა ქარსანაშვილი, ჟაკი ლალიაშვილი, ომარი (სამასა) სამიტაშვილი. ვიხსენებ აგრეთვე ჩემს თვალწინ გაზრდილებს, რომელთა მწვრთნელიც ვიყავი. ძალიან ახალგაზრდები წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ძმები ნოდარ და თემური (თოხლო) ავაზაშვილები, თემური (რიჟა) ტალახაძე, გივი მენთეშაშვილი. ღმერთსა ვთხოვ ყველა მათგანის სულები ამყოფოს სამოთხეში. ამას, ისინი ამ ქვეყნად განვლილი ცხოვრების გზით იმსახურებენ. ყველა გუნდში ყოველთვის იყვნენ გამორჩეული ფეხბურთელები. ჩვენს გუნდში კი დავასახელებდი კაკო სეფაშვილს, კაკო ზაუტაშვილს და ომარ სამიტაშვილს.

ჩვენ კი ვინც ჯერჯერობით ცოცხლები ვართ, დასათვლელად ერთი ხელის თითები გვყოფნის: თამაზი ჩიტრეკაშვილი, ალიმან ლაფაჩიშვილი, გივი მირიანაშვილი, გივი ნერსეზაშვილი, ომარი სეფაშვილი. ჩვენ ყოველი შეხვედრისას ვიხსენებთ წარსული ცხოვრების წლებს, ვიხსენებთ მარადისობაში გადასულ მეგობრებს და ჭიქა ღვინით ვსვამთ მათ შენდობას და სანამ ამ ქვეყანაზე ვიქნებით, არასდროს დავივიწყებთ.

**– საამაყო ოჯახი შექმენით, აღზარდეთ კარგი ქალიშვილები – თავმდაბლები, ყურადღებიანი და კეთილსინდისიერები, ორივე ექიმია და ორივე ხალხის სამსახურშია. ბედნიერი ხართ?**

– მე ნამდვილად გამიღიმა ბედმა, რომ მეუღლედ შემახვედრა ყვარელში დაბადებული ქალიშვილი ნანი ხარებაშვილი და აგერ უკვე 55 წელია ერთად ვეწევით საოჯახო ჭაპანს. იგი არის უაღრესად უპრეტენზიო. ჩვენი თანაცხოვრების პერიოდში იყო წარუმატებლობის მომენტებიც, მაგრამ მისგან არასდროს მომისმენია წუწუნი და ვაი უშველებელი. ამიტომ მას დიდ მადლობას ვუხდი თმენისათვის და თუ რამე მიწყენინებია, იმ ქვეყანად წასვლის წინ ბოდიშს მოვუხდი. მანამდე არა (იცინის).

შეგვეძინა ორი ქალიშვილი – ქეთევანი და ეკა. ორივემ დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და ორივე დღეს ხალხის ჯანმრთელობას ემსახურება. ქეთევანი არის ყვარლის რაიონის საკრებულოს ჯანდაცვის კომისიის თავმჯდომარე, ხოლო ეკა თელავის რეფერალურ საავადმყოფოში პედიატრად მუშაობს. ორივე დაოჯახებულია და ჰყავთ ორ-ორი შვილი – ქალ-ვაჟები.

**– თქვენი შვილიშვილების წარმატებების შესახებ რას გვეტყოდით?**

– რაც შეეხება შვილიშვილებს – მყავს ოთხი შვილიშვილი – ორი ვაჟი და ორი გოგონა. აქედან ყველაზე უფროსი ეკას შვილი გიორგი ავაზაშვილია, რომელმაც პროფესიად აირჩია ფეხბურთის მსაჯობა და მეტად კეთილსინდისიერად ემსახურება ამ საქმეს. მან დეკემბერში, სეზონის დასკვნით ტურში იმსაჯა თბილისის „ლოკომოტივისა“ და ბათუმის დინამოს მეტად პრინციპულ მატჩში. კომისიისგან მაღალი შეფასება მიიღო. ეკასივე ქალიშვილი ლიზი სტუდენტია და სტუდენტობასთან ერთად ძალიან ახალგაზრდამ შექმნა ოჯახი – ჰყავს სამი წლის ელენე ზაუტაშვილი.

ქეთევანის შვილებიდან უფროსმა სოფო ხაჩირაშვილმა დაამთავრა ილიას უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი და იქვე გააგრძელა მაგისტრატურაში სწავლა. ვაჟი – ლუკა ხაჩირაშვილი სწავლობს ამავე უნივერსიტეტის ამავე ფაკულტეტზე.

**– თქვენი სტუდენტობის წლებიდან რას გაიხსენებდით? როგორი სტუდენტობა გქონდათ, ეკონომიურად თუ გიჭირდათ მაშინ?**

– მე სტუდენტობის პერიოდში არავითარი გაჭირვება არ მქონია, რადგან დაუსწრებელზე ვსწავლობდი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და ამიტომ იქ ჩასვლა პერიოდულად მიწევდა. ასე, რომ ნამდვილი სტუდენტური ცხოვრებით არ მიცხოვრია.

**– როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტი როგორ უთავსებდით თქვენს საქმიანობას სპორტს?**

– ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მაშინვე სპეციალობით არ მიმუშავია, რადგან ჯერ კიდევ მოქმედი სპორტსმენი ვიყავი და პრაქტიკულად ორივე საქმე ერთად თანხვედრაში ვერ მოდიოდა, რადგან „დურუჯის“ ფეხბურთელთა გუნდი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს ეკუთვნოდა, რაიონის ხელმძღვანელობამ ამ საზოგადოების თავმჯდომარედ დამნიშნა. საზოგადოება ხელმძღვანელობდა რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სოფლტექნიკაში და სხვადასხვა წარმოება დაწესებულებებში სპორტულ მუშაობას. ტარდებოდა მათ შორის პირველობები, შემდეგ გამარჯვებულთაგან დგებოდა რაიონის ნაკრები გუნდები და

გაგრძელება მე-5 გვ. -ზე



დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

მონაწილეობას ვღებულობდით რესპუბლიკურ ჩემპიონატებში არც თუ წარუმატებლად. თავიდანვე აქცენტი ავიღე ისეთი სახეობების აღდგენაზე, რომელიც რაიონში პოპულარულად ითვლებოდა და ბოლო დროს მივიწყებას იყო მიცემული. ეს სახეობები იყო ფრენბურთი და ქართული ჭიდაობა. უნდა ითქვას, რომ უმოკლეს დროში მოწადინებამ შედეგი გამოიღო, ფრენბურთში კახეთისა და ქართლის რაიონების ტურნირი ჩატარდა, სადაც პირველი ადგილი ავიღეთ და გავედით ფინალურ გათამაშებაში. ეს თამაშები ჩატარდა საქართველოს ულამაზეს ქალაქ სოხუმში. ჩვენმა გუნდმა ღირსეულად იასპარეზა და დაიკავა მეტად საპატიო მესამე ადგილი თბილისისა და აფხაზეთის გუნდების შემდეგ. გუნდის ღირსებას ძირითადად შილდელი სპორტსმენები იცავდნენ. ამ სოფელს ფრენბურთის მდიდარი ტრადიციები ჰქონდა. მათ მხოლოდ ახალსოფლელი არნე ხატიაშვილი ეხმარებოდათ. რაკი ძირითადად შილდელებით იყო დაკომპლექტებული, გუნდის მაისურებზედაც შილდა დააწერეს. ამის მოთავე იყო მაშინდელი წარმატებული მოთამაშე ალიმან ლაფაჩიშვილი, რომელსაც ისე აქვს გამჯდარი ფრენბურთის სიყვარული სულში და გულში, რომ დღესაც აქტიურად წვრთნის და ხელმძღვანელობს რაიონის გუნდს, რომელიც დიდი წარმატებებით მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატში.

რაკი ერთ სახეობაში კარგ შედეგს მივაღწიეთ, ახლა ქართულ ჭიდაობაში გვინდოდა ძალების მოსინჯვა. რესპუბლიკის სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელობას ვთხოვე ჩემპიონატი ყვარელში ჩაეტარებინათ, რაზედაც დამთანხმდნენ. მანამდე ასეთი ღონისძიება ყვარელში არასოდეს ჩატარებულა. ხუთი დღის განმავლობაში ჭიდაობის მოყვარულებით დილიდან გვიან საღამომდე გადაჭედილი იყო ყვარლის თეატრი. ეს ტურნირი როგორც ორგანიზებულად, ისე სპორტულ სანახაობრივადაც ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. დავიკავეთ მეორე საპრიზო ადგილი გარდაბნის შემდეგ, რაც დიდ წარმატებად შეფასდა.

აი, აქ დამთავრდა ჩემს მიერ ნამოღვაწარი სპორტული ცხოვრება და ამის შემდეგ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ვიმოღვაწევე სოფლის მეურნეობის განხრით. პირველად მუშაობა დავიწყე ენისლის მეფრინველეობის ფაბრიკაში აგრონომად, შემდგომ გადმოვედი ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ბრიგადირად, იქიდან ქინძმარაულის მეურნეობაში – ბრიგადირად. ამის შემდეგ, დამაწინაურეს ამავე მეურნეობაში მელიორაციის გამნყოფილების გამგედ, შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე სოფლტექნიკაში აგრონომად ვიმუშავე და აქვე შეთავსებით ვხელმძღვანელობდი პარტიულ ორგანიზაციას. მიღებული მაქვს მთავრობის ჯილდოები

**– ბატონო ომარ, მოდის ახალი 2020 წელი. თქვენი აზრით საქართველოში შექმნილი დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე როგორი წარმატებული წელი იქნება ეს ხალხისთვის და რას უსურვებდით ჩვენს მოსახლეობას, რაიონს?**

– ყოველი ახალი წლის შემობრძანებას ყველა დიდი იმედით ელოდება. ამჯერადაც ამ იმედით ველოდებით და აუცილებლად წარმატებული იქნება, ყველაფერი თანდათან დალაგდება, ვნებათა ღელვები ჩაწყნარდება. მთავარი შრომაა, რომლის გარეშე არაფერი შეიქმნება.თუ ყველა ერთსულოვნად, ქვეყნის წინსვლისათვის, ოჯახის ბედნიერებისთვის თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ წარმატებები გარანტირებული იქნება.

ვუსურვებდი ჩვენი რაიონის და სრულიად საქართველოს მოსახლეობას ჯანმრთელობასა და მშვიდობას, ეცხოვროთ მოწესრიგებულ ქვეყანაში. როგორც ვეტერან სპორტსმენს მახარებს ის ამბავი, რომ სპორტის მრავალ სახეობაში ყვარლის რაიონს აქვს დიდი წარმატებები: ფრენბურთში, ჭიდაობაში, ხელბურთში, რაგბიში. მარტო ის რად ღირს, რომ გვყავს მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ახლა მას დაემატნენ ვეტერანი მოჭიდავეები, როგორც ჩემპიონები, ასევე პრიზიორები. ჩემი სურვილი იქნება კიდევ რაიონის ახალგზრდა ხელმძღვანელებმა იზრუნონ ამ წარმატებულ სახეობათა გვერდით ფეხბურთიც რომ დადგეს. ეს მათ შეუძლიათ, მათი პაპები ამას გააკეთებდნენ.

მრავალ ახალ წელს.

გმადლობთ.

**ესაუბრა
დალი ტატულიშვილი**

# თონესთან გატარებული ოცდახუთი წელი



მოდის ახალი წელი, ყველა ოჯახი ამ დღეს განსაკუთრებულად ემზადება, ყველას უნდა სუფრა გულუხვი და მრავალფეროვანი იყოს. გულუხვიან სუფრას კი რა თქმა უნდა, ადამიანისთვის ყველაზე საჭირო და სასარგებლო პროდუქტი პურიც სჭირდება.

ყვარელში მრავალი პური საცხობია, რომლებიც ზოგ შემთხვევაში მომხმარებლებს სთავაზობენ როგორც ხარისხიან, ისე უხარისხო პურს. ახალ წელს კი და არა მარტო ახალ წელს ყველას უნდა სუფრაზე პურიც ხარისხიანი იდოს. პურის ხარისხთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ახალგზრდა პურის მცხობელს ბატონ დათო მეგრელიშვილს.

**– ბატონო დათო, როგორც ჩვენთვის ცნობილია თქვენ ობლობაში გაიზარდეთ. სად დაიბადეთ, სად ცხოვრობთ, როგორ ოჯახში გაიზარდეთ და რას გვეტყოდით თქვენი პატარაობის შესახებ?**

– გამოგიტყდებით და არც თუ დალხინებული ბავშვობა მქონია. დავიბადე სოფელ ახალსოფელში, ჩვეულებივი გლეხის ოჯახში. ექვსი წლის ასაკში მყოფს მამა ადრე გარდამეცვალა და დედამ მე და ჩემი და ობლობაში გაგვზარდა. მძიმე წლები გამოვიარეთ, რომ ცოტათი მაინც ოჯახი ფეხზე დამდგარიყო. დედაჩემი დღე და ღამეს ასწორებდა, რომ ჩვენთვის არაფერი მოეკლო. დღეს მე საზოგადოების ნაწილს წარმოვადგენ და ვეხმარები ჩემს ხალხს, ჩემს რაიონს.

**– ნათქვამია, ქვეყანა რომ წინ წავიდეს, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოსო, – მხვნელმა მიწა უნდა მოხნას, მჭედელმა უნდა ჭედოს, მშენებელმა უნდა აშენოს, მეპურემ პური უნდა აცხოს და ა.შ. თქვენ პურისმცხობლის პროფესია აირჩიეთ და ათეული წლები ამ საქმეს პატიოსნად ემსახურებოდით და დღესაც ამ საქმის სამსახურში ხართ; რამდენად კმაყოფილი ხართ ამ პროფესიის და რამდენად შემოსავლიანია ის თქვენი ოჯახისთვის?**

– ახალგაზრდობაში ვერ წამოვიდგენდი, თუ ამ საქმის შემსრულებელი ვიქნებოდი, მერე მივხვდი, რომ ჩემთვის ამ პროფესიის არჩევა არც თუ ისე ცუდი იქნებოდა და პურის ცხობას მივყე ხელი. პირველად ძალიან გამიჭირდა, მერე თანდათანობით მივეჩვიე. სწორია, რომ ქვეყანა რომ აშენდეს, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოსო. უკვე 25 წელია ამ საქმეს პატიოსნად ვემსახურები, ყოველდღიურად ვცდილობ ჩემს მოსახლეობას ხარისხიანი პური მივაწოდო. დღესდღეობით ამ საქმის კეთება ჩემს ოჯახსაც ეკონომიურად ადგება და მეც კმაყოფილი ვარ ჩემი მუშაობით.

**– ჩვენი პურსაცხობები როგორც აღვნიშნე, ხშირ შემთხვევაში მოსახლეობას უხარისხოდ გამომცხვარ პურს სთავაზობენ. ადრე, წარსულში ჩვენი მცხობლები იყენებდნენ ბუნებრივი ინგრედიენტებით დამზადებულ საფუარს და პურსაც სხვანაირი სუნი და გემო ჰქონდა. რაშია გამოსავალი, რაზეა დამოკიდებული პურის ხარისხი? ახლა როგორ საფუარს იყენებთ და როგორი ტექნოლოგიით ცხვება პური?**

– მრავალი პურის საცხობია ყვარელში. მეც ხშირად მესმის მომხმარებელთა უკმაყოფილება ზოგიერთი პურსაცხობების მხრიდან პურის ვარგისიანობის თაობაზე, – რომ ცხვება ზედმეტად მარილიანი და უხარისხო პური. ადრე სხვანაირი წესით ცხვებოდა პური. გამოცხობის წინა დღეს დააყენებდნენ საფუარს, რომელსაც პურის „ხაშს“ უწოდებდნენ. ასეთი წესით გამომხვარი პური უფრო გემრიელი გამოდიოდა და სუნითაც გამოირჩეოდა. ახლა ვერ გეტყვით, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩვენთან შემოსული საფუარი როგორ მზადდება. ასეთი საფუარით დამზადებულ ცომს უნდა კარგად დამუშავება და აფუება, რომ პური იყოს კარგი და ხარისხიანი. ხარისხიან პურს კი მომხმარებელიც ბევრი ყავს. ჩემი და ჩემს გვერდით მომუშავე ბიჭების მიზანია – „ხარისხიანი პური ჩვენს მომხმარებელს“.

**– როგორი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვით მუშაობს თქვენი პურსაცხობი? არსებობს ის აღჭურვილობა რაც პურის მცხობელს უნდა ჰქონდეს?**

– მინდა გითხრათ, რომ ჩვენი პურის საცხობი მუშაობს ყველანაირი სანიტარული ნორმების დაცვით, გვაქვს ცივი და ცხელი წყალი და ის ტექნიკური აღჭურვილობა, რაც აუცილებელია პურსაცხობისთვის, სხვანაირად როგორ შეიძლება ილაპარაკო პურის ხარისხზე.

**– თქვენი ოჯახის შესახებ რას გვეტყოდით?**

– მყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი. ვარ პაპაც – მყავს ორი შვილიშვილი, რომლებიც მეამაყებიან და სიცოცხლეს მიხანგრძლივებენ.

**– ბატონო დათო, როგორ ხვდებით ახალ წელს, რამდენად იმედის მომცემი იქნება თქვენთვის ახალი 2020 წელი?**

– ყოველი ახალი წელი პატარა ბავშვივით მეც მიხარია. როგორც ყველა ოჯახი, ჩვენც ჩვეულებრივ ვხვდებით ახალ წელს – ოღონდ ძალიან დაღლილი, რადგან განსაკუთრებით ამ დღეებში პურით უნდა მოვამარაგოთ ჩვენი მოსახლეობა. 30-ში რომ ვიწყებთ მუშაობას, 31-ში 11 საათამდე ვმუშაობთ. საკმაოდ დაღლილი, მაგრამ სიხარულით ვხვდები ახალ წელს ჩემს ოჯახთან ერთად. იმედი მაქვს, რომ 2020 წელი ნაყოფიერი და კარგის მომტანი იქნება ჩვენთვის, საქართველოსთვის. საქართველოში თუ საქართველოს გარეთ მცხოვრებ ყველა ქართველს ვულოცავ ამ ახალ 2020 წელს, ვუსურვებ გამრავლებას და გახარებას, მოთმინებას და გატანას.

P.S. როგორც ილია იტყოდა: – „ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინდისი, მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილება და ყოველივე ეს სახელმწიფოსგან, საზოგადოებისგან და თვითეული ადამიანისგან პატივცემული უნდა იყოსო“. სწორედ რომ ბატონ დათოს ადამიანობა, ღირსება და პატიოსნება პატივცემულია საზოგადოებისაგან, რამეთუ ის არის ადამიანი, რომელიც ხშირად თავის წილ ლუკმასაც კი უნაწილებს სოციალურად დაუცველ ადამიანებს. სწორედ ამაშია მისი ღირსება და ადამიანობა. უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ასეთი ადამიანები.

ბატონო დათო, გილოცავთ ახალ წელს ოჯახთან ერთად, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევეს. ახალი წელი თქვენთვის ყოფილიყოს იმედის მომცემი, – რამეთუ ყველაფერი კარგად იქნება და ვიცხოვრებთ ლამაზ და ძლიერ საქართველოში.

**ესაუბრა დალი ტატულიშვილი**

# რა სერიოზული საფრთხე შეიძლება შეგვიქმნას ჩვეულებრივმა პურმა?

პური, ყველამ კარგად იცით, რომ ერთადერთი აუცილებელი პროდუქტია, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი ყოველ დღე მიირთმევს. პური ცილების, ნახშირწყლების, მინერალური ნივთიერებების, ვიტამინების (უმთავრესად ჯგუფის), ბალასტური ნივთიერებების (უჯრედისი) წყაროა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა თქვენგანი მასში სწორედ სარგებელს ხედავს და ვერ აღიქვამს თუ რა უდიდესი საფრთხე შეიძლება მოგვიტანოს მან. ალბათ ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიეთილენის პარკიდან ან პურის სპეციალური შესანახი კონტეინერიდან გამოგაქვთ ეს პროდუქტი და მისი რომელიმე მხარე ან ქერქი მომწვანო, მოლურჯო, მოყვითალო, მოთეთრო ან მოშავო წეტილებითაა დაფარული. კარგად ხვდებით, რომ ის იწყებს დაობებას, გადაგდება კი მაშინ, როცა ეს უკანასკნელი დღეს ასე ძვირია, გვენანება, ვაჭრით მას მხოლოდ ამ დაობებულ კუთხეს და ვიყენებთ საკვებად, ვინაიდან ვთვლით რომ შეიცავს პენიცილინს და ის კი სასარგებლოა, თუმცა ცდებით, რაკიღა ეს პროდუქტი დაობდა, ე.ი. დაკარგა მან ყველა ღირებული და სარგებელი თვისება. ნურასოდეს მოაჭრით პურს მხოლოდ დაობებულ ადგილს და ნუ გამოიყენებთ საკვებად სხვა დანარჩენს თუ კი ხედავთ, რომ სხვა ნაწილი ჩვეულებრივად გამოიყურება, ეს დასკვნაც მცდარია, რადგან პურმა იწყო დაობება, ე.ი. ობის უხილავი მავნე ნივთიერებები ფესვებივით აქვს მოდებული მთლიან პურს, რაც თქვენს ჯანმრთელობას მხოლოდ ზიანს მოუტანს და არანაირ სარგებელს...

### რა მოხდება თუ კი შევჭამთ ობიან პურს?

ობიანმა პურმა შესაძლოა მრავალი ზიანი მიაყენოს ჩვენს ჯანმრთელობას:

1. ობიან პურთან შეხებისას შესაძლოა მან გამოიწვიოს ალერგია, რაც გამოიხატება კანზე შეშუპებით, გამონაყარითა და ქავილით.

2. არასოდეს უსუნოთ ობიან პურს, რადგან ობის სპორები ხვდება სასუნთქ გზებში და იწვევს მათ დაავადებებს.

3. თუ კი შეჭამთ ობიან პურის, ის გამოიწვევს თავის ტკივილს, ღებინებას, დაღლილობას.

4. ობიანი პურის საკვებად გამოყენება, ასევე მოქმედებს ღვიძლზე, ნერვულ სისტემაზე, არღვევს ჰორმონალური სისტემის რეგულაციას და ასუსტებს იმუნიტეტს.

თუ შემთხვევით მიიღეთ დაობებული პური და გამოიწვია ინტოქსიკაცია, გაქვთ თავის ტკივილი და ღებინება ან სხვა მახასიათებელი სიმპტომი, მიიღეთ ნახშირი, გამოირეცხეთ კუჭი და მიიღეთ ბევრი სითხე.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ამ სასარგებლო და აუცილებელი პროდუქტის მომწამვლელად გადაქცევა, არ შეინახოთ პოლიეთილენის პარკში, ვინაიდან პარკში წარმოიქმნება მაღალი ტენიანობა და ხელს უწყობს მის დაობებას. შეინახეთ მომინანქრებულ, ხის და სხვა სპეციალურ შესანახ კონტეინერში, რომელსაც 10 დღეში ერთხელ თბილი წყლით გაასუფთავებთ. ასევე იმისათვის, რომ დაობება ავიცილოთ თავიდან, პურთან



ერთად ჩადეთ მარილი, რომელიც შთანთქავს ტენს. არ შეინახოთ ერთად ჭვავისა და ხორბლის პური, რადგან ტენიანობა სხვადასხვა აქვთ, ჭვავის პური ადვილად ობდება და შესაბამისად დააობებს ხორბლის პურსაც.

# ჯეჯილის წვენი-გაღივებული ხორბლის პროდუქტი



რატომ არის ჯეჯილის წვენი ჯანსაღი კვების აუცილებელი კომპონენტი?

სულაც არ არის აუცილებელი ჯანსაღი კვება იყოს ძვირადღირებული და დეფიციტური.

ადამიანის ორგანიზმი მთელი წლის განმავლობაში საჭიროებს ქლოროფილით, ვიტამინებით, მინერალებით, ფერმენტებითა და სასარგებლო მცენარეული უჯრედისით მდიდარ საკვებს.

ჯანსაღი კვების ერთ-ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი კომპონენტი არის გაღივებული ხორბლის პროდუქტი – ჯეჯილის წვენი. ეს საოცარი სასმელი ჯერ კიდევ წინა საუკუნის 30-იან წლებში შეიმუშავა პროფესიონალმა აგრარიკოსმა და ქიმიკოსმა-ჩარლზ შნაბელმა.

სასწაულმოქმედმა სასმელმა გასაოცარი შედეგებით მალევე მოიცვა ბევრი ქვეყანა. მას შემდეგ გვეძლევა საშუალება, ვისარგებლოთ ჯეჯილის უნიკალურობით და ვიმკურნალოთ ხორბლის მართლაც რომ ღვთიური თვისებებით.

რა განაპირობებს ჯეჯილის წვენის განსაკუთრებულობას?

ჯეჯილის წვენი შეიცავს ვიტამინებს B და C, რკინას, კაროტინს. თითქოს სრულიად ბუნებრივი შემადგენლობაა სასარგებლო მცენარეებისა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჯეჯილის წვენში არის გაცილებით მეტი C ვიტამინი, ვიდრე ციტრუსებში.

რკინის, კალციუმის და კაროტინის შემცველობით კი იგი წინ უსწრებს ყველასთვის ნაცნობ ისპანახს.

ამ საოცარი სასმელის თვისებები გამაოგნებელია, იგი:

- აძლიერებს იმუნიტეტს
- შესამჩნევად აახალგაზრდავებს ორგანიზმს როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულად – ერთდროულად უმჯობესდება კანის, თმების, ფრჩხილების მდგომარეობა, ქრება წვრილი ნაოჭები (კოსმეტიკაში გამოიყენება დამატებით ჯეჯილის წვენის მიღების შედეგად წარმოქმნილი ქაფი).
- ეფექტურია გახდომისთვის, ჯეჯილის წვენში უხვად არის საკვები ნივთიერებები და დილით მისი მიღება ჭამის მოთხოვნილებას აქვეითებს.
- ეფექტურად წმენდს ორგანიზმს შლაკებისა და ტოქსინებისგან (მათ შორის ქიმიური პრეპარატების ტოქსინებისგან). ასუფთავებს ორგანიზმს კანცეროგენებისა და მძიმე მეტალებისგან.
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ჯეჯილის სითხე სისხლში ჟანგბადის შემცველობას ზრდის.
- ეხმარება ორგანიზმს ანემიის აღმოხვრაში, აწესრიგებს არტერიულ წნევას;
- აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას, ჯეჯილში შემავალი ამინომჟავების და ფერმენტების კომპლექსი, სასიკეთოდ მოქმედობს მომეტებული მჟავიანობაზე წყლულზე და ზოგადად საჭმლის მომნელებელი სისტემაზე;
- აუმჯობესებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას;
- ქლოროფილი, რომელსაც ჯეჯილი დიდი რაოდენობით შეიცავს ართრიტის სამკურნალოდ საუკეთესო საშუალებაა;
- სისხლში შაქრის შემცველობის შემცირების გზით სტაბილური ხდება დიაბეტით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ხსნის დაღლილობას, ჯეჯილის წვენი უძლიერესი ენერგიის მატარებელია, მას „მზის ენერგიის კონცენტრატს“ უწოდებენ, ქლოროფილი ხელს უწყობს სისხლის უჯრედებში ჟანგბადის გაზრდას და მათ რეგენერაციას, რაც საგრძნობლად ამცირებს დაღლილობის სიმპტომებს.
- აქტიურად აღკვეთს პათოგენურ მიკროფლორას ორგანიზმში მეგობრული, დადებითი მიკროფლორის ჩამოყალიბების საშუალებით;
- აფერხებს კიბოს უჯრედების განვითარებას და საუკეთესოა ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკისთვის;
- ჯეჯილის წვენი ისევე,როგორც ჭრილობაზე, მზის დამწვრობაზეც კარგად მოქმედებს. ბამბით წაისვით სითხე მზისგან დაზიანებულ კანზე, რამდნიმე წუთის შემდეგ ფრთხილად მოიშორეთ მშრალი ნაჭრით;
- ხელს უწყობს ეროზიების, კანის დაავადებების, ღია ჭრილობების, წყლულების მკურნალობას.

ეს არის ჯეჯილის წვენის ძირითადი, ეფექტიანი თვისებები. ხოლო სხვა უამრავ შედეგს ინდივიდუალურად აღმოაჩენს საკუთარ ორგანიზმში ყველა, ვინც რეგულარულად მიიღებს ამ სასწაულმოქმედ სასმელს.

ჯეჯილის წვენის მიღება ხდება მშიერ კუჭზე, უმჯობესია, დღის პირველ ნახევარში, ყოველ შემთხვევაში სასურველი არ არის, რომ ეს იყოს ღამე – ვინაიდან იგი ორგანიზმში, ყველა ორგანოზე ახდენს მატონიზირებელ ეფექტს, ამარაგებს, ამდიდრებს მათ სასარგებლო და საჭირო ნივთიერებებით.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ჯეჯილის წვენის რეგულარულად მიღების შემთხვევაში თქვენ შენიშნავთ ორგანიზმში მკაფიო ცვლილებებს!!!

თქვენ იაფად, მარტივად და კომლექსურად სასარგებლოდ შეგიძლიათ გაიუმჯობესოთ და აღიდგინოთ ჯანმრთელობა!

წვენის მომზადება ძალიან ადვილია: გაატარეთ ჯეჯილი ხორცსაკეპ მანქანაში და შემდეგ ბლენდერში.

შეგახსენებთ, რომ ნებისმიერი სამკურნალო ან პროფილაქტიკური პროცესის დაწყებამდე აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია.

agrokavkaz.ge

# მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ, გვირჩევენ, გვთავაზობენ

## „საქართველოში ახლაც არსებობს შავი ჭირის ორი კერა" – როგორ ვრცელდება დაავადება, რომლის საწინააღმდეგო ვაქცინა დღემდე არ არსებობს



*ჩინურ მედიაში ორი დღის წინ გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყანაში შავი ჭირით დაავადების ორი შემთხვევა დაფიქსირდა. ამ ეტაპზე პაციენტები მკურნალობას გადიან. ცნობილი ფაქტია, რომ ამ ვერაგმა დაავადებამ შუა საუკუნეებში 50 მილიონამდე ადამიანი შეიწირა. ეპიდემიურ ქვეყნებს შორის იყო საქართველოც. ცივილიცაზიის განვითარებასთან ერთად, ადამიანებს საშუალება აქვთ უკეთ დაიცვან ჰიგიენის ნორმები, რაც დაავადების გავრცელების ერთერთი მთავარი ფაქტორია. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ საქართველოში დღემდე არსებობს შავი ჭირის ორი კერა.*

*როგორ უნდა დავიცვათ თავი დაავადებისგან და როდის დაფიქსირდა ბოლოს შავი ჭირის შემთხვევა ჩვენს ქვეყანაში? ამ საკითხებზე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი ხათუნა ზახაშვილი გვესაუბრა.*

**– ქალბატონო ხათუნა, ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩინეთში შავი ჭირით დაავადების ორი შემთხვევა დაფიქსირდა...**

– დიახ, მივიღეთ ეს ინფორმაცია და ვიცით, ამ შემთხვევების შესახებ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ შავი ჭირის შემთხვევები მსოფლიოში არ არის უცნაური მოვლენა, ყოველწლიურად ხდება და ამ შემთხვევების რეგისტარცია მიდის. შავი ჭირი არ არის ბოლომდე დავიწყებული დაავადება და პერიოდულად ახსენებს მსოფლიოს თავს.

### რა დაავადებები დაამარცხა კაცობრიობამ და როგორ ებრძვის მსოფლიო მედიცინა თანამედროვე გამოწვევებს

**– საქართველოში ბოლოს როდის დაფიქსირდა შავი ჭირის შემთხვევა?**

– დაახლოებით 1922 წელს, მეოცე საუკუნის დასაწყისში. ზოგადად, შავი ჭირის ვირუსის გადამტანები არიან გარეული მღრღნელების სხვადასხვა სახეობები. ქვეყნებისა და ტერიტორიების მიხედვით, განსხვავებულია გადამტანების სახეობა. ძირითადად ისინი ავადდებიან და შემდეგ ადამიანზე გადაცემა რწყილების საშუალებით ხდება. რწყილის გარეშე ეს დაავადება მღრღნელიდან ადამიანზე ვერ გადავა.

**– თითქოს მსოფლიომ დაამარცხა შავი ჭირი...**

– არ არის დამარცხებული რეალურად, შავი ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს. ყოველ წელიწადს თავს იჩენს სხვადასხვა ტერიტორიაზე. მაგალითად, მადაგასკარში ყოველ წელიწადს აქვთ ეპიდემიის აფეთქება. ეს არის, როგორც გითხარით, მღრღნელების დაავადება, როდესაც მათი რაოდენობა იზრდება, მათში იფეთქებს ხოლმე ეპიდემია. ეს არის ბუნებრივი რეგულაციის მექანიზმი და ეპიდემიის შემდეგ, როდესაც მათი რაოდენობა მცირდება, ხდება ერთგვარი შესვენება. გამრავლების შემდეგ კი ისევ იჩენს თავს. არსებობს შავი ჭირის ბუნებრივი კერები, სადაც საუკუნეებია ვერ აღმოფხვრეს დაავადების შემთხვევები. ადამიანს გადაედება მაშინ, როდესაც ერთ გარემოში ხვდებიან დაავადებული მღრღნელი, ინფიცირებული რწყილი და ადამიანი.

**– თავის არიდების გზები როგორია?**

– დამოკიდებულია ცხოვრების წესზე, ჩატარებულ ყოველდღიურ სამუშაოებზე, ჰიგიენის ნორმებზე.... ცხოვრების დონის გაუმჯობესებასთან ერთად, ჰიგიენის ნორმებიც უმჯობესდება, ადამიანის საცხოვრებელში მღრღნელები იმ რაოდენობით აღარ გვხვდება და აქ წყდება კავშირი. თორემ შავი ჭირის ენდემური კერები არსებობს ამერიკაში, საქართველოში, სომხეთში, რუსეთის ფედერაციაში, თურქეთში, საბერძნეთში... თითქმის ყველა ქვეყანაში.

**– ეს დაავადება საქართველოს ისტორიულად რამდენად მძიმედ შეეხო ეპიდემიის დროს?**

– რა თქმა უნდა, შეეხო, საქართველოში დღემდე არსებობს შავი ჭირის ორი კერა, რომელთაგან ერთერთი მეტნაკლებად აქტიურია, მეორე კი – ნაკლებად. ადგილობრივი მოსახლეობა ამის შესახებ ინფორმირებულია და შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების მიერ ადგილზე ვითარება მუდმივად კონტროლდება.

წარსულ საუკუნეებში ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იყო დაკავშირებული მსოფლიო პანდემიებთან. მეოცე საუკუნის დასაწყისის შემდეგ საქართველოში ეპიდემიის შემთხვევა არ გვქონია.

**– განკურნების ალბათობა როგორია?**

– ძალიან მაღალია, ეს გახლავთ ბაქტერიული ინფექცია და თუ დროულად მოხდა ამოცნობა, ანტიბიოტიკებით მკურნალობას ექვემდებარება. ყველაზე გავრცელებული ფორმაა ბუბონური. საშიში დაავადებაა რეალურად, უბრალოდ დროულად უნდა მოხდეს მკურნალობა. დღეს იმდენად იშვიათია, რომ თითქმის დაავიწყდათ ექიმებს.

**– გადადების საფრთხე რამდენად მაღალია?**

– ბუბონური ფორმის გადადება ძალიან რთულია, მექანიკურად უნდა მოხდეს დაზიანება კერის და შემდეგ შესუნთქვა ჯანმრთელი ადამიანის მიერ. რაც შეეხება ფილტვისმიერ ფორმას, მისი გადადება უფრო მარტივია და ფატალურ შედეგს ვიღებთ.

**– საქართველოს საზღვარი რამდენად არის დაცული სხვადასხვა ტიპის ვირუსებისგან?**

– შავი ჭირით დაავადებული იმდენად მძიმე ავადმყოფია, გამორიცხულია გადაადგილება, ჩინეთიდან საქართველოში ვერ ჩამოვა. რაც შეეხება სიმპტომებს, დაინფიცირებიდან მალევე ვლინდება – მაღალი ცხელებით, ძლიერი ინტოქსიკაციითა და სუნთქვის გართულებით მიმდინარეობს.

**– გრიპის ვაქცინაციასაც შევეხოთ, – წელს ძალიან დაგვიანდა გრიპის ოთხშტამიანი ვაქცინის შემოტანა...**

– ვაქცინის შტამური შემადგენლობა საერთოდ თებერვალში სახელდება. წელს ერთერთ ვირუსთან დაკავშირებით, ტექნიკური სითულის გამო, დასახელდა მარტში და ამან გამოიწვია დაგვიანებით ვაქცინის შექმნა. შესაბამისად წარმოებაც დაიწყო ერთი თვით გვიან და ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა მთელი ჩრდილო ნახევარსფერო – ყველა ქვეყანაში გვიან დაიწყო ვაქცინაცია. კერძო სექტორში, ჩვენი ინფორმაციით, 20 ნოემბრიდან გაჩნდება ოთხშტამიანი ვაქცინა.

**ნინო გიგიშვილი**

## შეიხვიეთ ფეხები „ფოლგით" და რაც 1 საათში მოხდება, ნამდვილად გაგაოცებთ

მედიცინა მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმიანობის დარგია, რომელიც მიმართულია ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების თავიდან აცილებისა და მკურნალობის, სიცოცხლის გახანგრძლივებისაკენ. საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა გამოცდილებით დაგროვდა სამკურნალო საშუალებები და მეთოდები, რომლებიც შემონახულ იქნა, მათ შორის ხალხურ მედიცინაში და რომლებიც მოგვიანებით მეცნიერული მედიცინის ნაწილი გახდა.

კაცობრიობის ისტორია სავსეა და მოიცავს რიგ განვითარებებს. ის, რომ ჯანმრთელობის ფასი არაფერია, ტყუილი გამონათქვამი არ არის დამეთანხმებით. ძალიან კარგად ხვდებით, რომ ფულით იყიდით ბევრ რამეს, თუმცა გარკვეულ წილად ჯანმრთელობას ვერა. ეს უკანასკნელი (თუმცა უპირველესი) ხომ განაპირობებს ჩვენი ბედნიერების და ნორმალური ცხოვრების მსვლელობას. ცხადია, რომ დაავადებათა უმეტესი ნაწილი შეძენილი, თანდაყოლილი და გენეტიკური ფაქტორია, რომელთა წინააღმდეგ დღემდე იბრძვიან ჩვენი სწავლული მეცნიერები და ექიმები. წარსულიდან მოყოლებული დღემდე კი ჩვენი სამედიცინო ისტორია რიგ დაავადებებსა და მათი მკურნალობის მეთოდებს ინახავს. მაშასადამე მედიცინის ისტორია სავსეა ველური სიუჟეტებით, უცნაური მკურნალობითა და სამედიცინო პროცედურებით, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტკივილმა და ტანჯვამ. მიუხედავად ექიმების კეთილშობილური და გულწრფელი სურვილისა ჰუმანური გზით განეკურნა ესა თუ ის პაციენტი, სამედიცინო პროცედურები უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე დაავადება. თუმცა, ძველ სამედიცინო ტრაქტატში ე.წ. „ლურჯ ბერილს" ენიჭება მნიშვნელოვანი როლი, სადაც ძირითად სამკურნალო საშუალებას ბალახები წარმოადგენდა.

ტიბეტელი ბერები, ერთერთი ყველაზე ფართოდ ცნობილი მკურნალები არიან უხსოვარი დროიდან, რომლებიც კურნავდნენ მრავალ დაავადებას საუკუნეების მანძილზე ბალახების მეშვეობით და თაობებიდანთაობებს გადასცემდნენ მათი მომზადების რეცეპტებს.

ალუმინის „ფოლგა" უნიკალური მასალაა. ძნელი წარმოსადგენი არაა, რომ ალუმინის „ფოლგის" მეშვეობით უამრავი დაავადების განკურნება შეიძლება. მისი გამოყენება სამედიცინო თვალსაზრისით უძველესი ჩინეთის პრაქტიკაში დაინერგა, ფოლგას დააკრავდნენ სხეულის ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებს და ის კურნავდა დაავადებულ ადგილებს. მესმის ძნელი წარმოსადგენია თუ როგორ შეიძლება ერთმა უბრალო ფოლგის ქაღალდმა განგკურნოთ, თუმცა მოგიწევთ დაჯერება. ყველაზე იაფი და ეფექტური მეთოდია მისით მკურნალობა და ამას სწორედ დღევანდელ სტატიაში შეიტყობთ.

როგორ ვიმკურნალოდ ფოლგით:

დაწვრილებით ცნობებს, თუ როგორ ვიმკურნალოდ ფოლგით, გვაწვდის ექიმიფსიქოთერაპევტი Wilhelm Reichi. ფოლგას შეუძლია განკურნოს გაციება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, პოდაგრა (ნიკრისის ქარი). თუ კი მას დავიკრავთ მტკივან ადგილას, ის მიიზიდავს ენერგეტიკულ მერიდიანებს, რომლებსაც ტკივილი გამოყოფს. დადებითი ეფექტიც არ აყოვნებს. ფოლგის მიერ მერიდიანების შთანთქმის შედეგად და შესაბამისად ტკივილიც ქრება.

გადაიხვიეთ ფოლგა მტკივან ადგილას ისე, რომ მისი პრიალა ზედაპირი ეხებოდეს კანს, დააფიქსირეთ დოლბანდით (ბინტი) და გაიჩერეთ განსაზღვრული დროის მანძილზე (ტკივილის გაქრობის პერიოდამდე). ფოლგით მკურნალობა შეგიძლიათ ჩაიტაროთ ასევე ამინდის ცვლილებით გამოწვეული სახსრების ტკივილის დროს.



## ჯადოსნური მალამო, რომელიც უამრავ დაავადებას კურნავს

მალამო თავისი აქტიური ინგრედიენტების გავლენით, კურნავს სხვადასხვა სახის კანის დაავადებებს და არა მარტო მათ. ცხადია, რომ მისი კონსისტენცია სხეულის ტემპერატურაზე ლღობადია და ძირითადად გარეგანი გამოყენებისთვისაა – ჩირქიან გამონაყარზე, დამწვრობაზე და ა.შ. თუმცა მალამოს, რომელსაც ეხლავე წარმოგიდგენთ, შინაგანადაც გამოიყენებთ, რომელსაც ნამდვილად ჯადოსნური ეფექტი გააჩნია და შეუძლია ისეთი დაავადებების განკურნება, როგორიცაა ფიბრომა, მასტიტი, განგრენა, წყლული, ჰაიმორიტი, რომ აღარ ჩავთვალოთ დამწვრობა, ჩირქიანი ჭრილობა, ეკზემა და სხვა მრავალი.

ინგრედიენტები: 1 ჭიქა რაფირინებული ზეთი (თუ შინაგანი გამოყენებისთვის გინდათ, მაშინ ზეითუნის), ასანთის კოლოფის ხელა ფუტკრის ცვილი, კვერცხის გული ნახევარი – მოხარშული.

მალამოს მომზადების წესი: ემალირებულ ქვაბში მოათავსეთ 1 ჭიქა რაფინირებული (ზეითუნის) ზეთი, დაუმატეთ ასანთის კოლოფის ზომის ფუტკრის ცვილი და შეათბეთ დაბალ ცეცხლზე, სანამ არ გალღვება, შემდეგ კი დაუმატეთ მოხარშული კვერცხის გული – ნახევარი. მომზადების პროცესში მუდმივად ურიეთ, რათა ცვილის მასას კვერცხის გული კარგათ შეერიოს. მიღებული მალამო მინის ქილაში გადაიტანეთ და შეინახეთ მაცივარში.

რომელი დაავადების დროს როგორ გამოვიყენოთ ეს მალამო:

ჰაიმორიტის შემთხვევაში – ერთი ჩაის კოვზი მალამო გაზზე შეათბეთ და პიპეტით ცხვირში ჩაიწვეთეთ ყოველ ერთ საათში. იგი მთელს ჩირქს მოაგროვებს და გარეთ გამოიტანს.

ჩირქიანი ოტიტის დროს – მალამოიანი ბამბა ყურში მოითავსეთ და ამ სახით ტამპონი გაიჩერეთ ცოტახანს. შედეგად ჩირქი დაგროვდება და გარეთ გამოვა. მსგავსი პროცედურა ჩაიტარეთ არაჩირქიანი ოტიტის დროსაც.

ანგინისა და ყელში ჩირქგროვის დროს – მალამოს ისვამენ ყელში და კომპრესს იდებენ ყელის მიდამოშიც. პროცედურა სასურველია საღამოობით ჩაიტაროთ.

ქალური დაავადებების დროს – მალამოიანი ტამპონი საშოში ჩაიდეთ და იცვალეთ დილა-საღამოს. 7-10 დღეში ყველა დაავადება ალაგდება.

მკერდის პრობლემების დროს – მალამო წაისვით მკერდზე, ზემოდან ჯერ სუფთა ხელსახოცი, შემდეგ კი პოლიეთილენი დაიფინეთ, საფენი კი ყოველ ორ საათში იცვალეთ.

განგრენისა და ტროპიკული წყლულის დროს – მალამო წაისვით მტკივან ადგილზე, დაიდეთ ხელსახოცი და შეიხვიეთ. ამ შემთხვევაშიც ორ საათში ერთხელ იცვალეთ საფენი. ნახავთ, რომ მტკივანი ადგილის ირგვლივ ჩირქი მოგროვდება, გამოიდევნება და ტკივილიც გაქრება. ეს მალამო ბევრ ძვირადღირებულ პრეპარატზე ეფექტურია ამ დაავადებისთვის.

დამწვრობის, იარების, შეშუპების, მუხლისა და კბილის ტკივილის დროს – მალამოს ისვამენ მტკივან ადგილებზე და იჩერებენ მთელს ღამეს. უმჯობესია მალამოს წასმის შემდეგ შეიხვიოთ იარა, თუმცა კბილის შემთხვევაში მას მხოლოდ მტკივანი კბილის ღრძილის გარშემო ისვამენ.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს მალამო ასევე გაგიმაგრებთ ფრჩხილებს თუ მას კარგად შეიზელთ ფრჩხილებში და მთელს ღამეს გაიჩერებთ.

## საახალწლო დაპირებები

საახალწლოდ ძალიან მარტივად გავცემთ დაპირებებს და ვაწყობთ გეგმებს. თითოეული ჩვენგანის დაპირებები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებს – მათი უმრავლესობა დაპირებად რჩება. თუმცა აქ საგანგაშო არაფერია: როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, რეალური ცვლილებები თანდათანობით ხდება. ექიმები კი გვირჩევენ – შეუძლებელი პირობების დადებას სჯობს, საახალწლოდ რამდენიმე ინოვაცია სცადოთ, რომლებიც თქვენს ცხოვრებას რელურად გააუმჯობესებენ.

### მეტი მიირთვით

მაგრამ მხოლოდ სასარგებლო პროდუქტები. მიიღეთ მეტი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, თევზი და ნიგოზი. დაუდეთ საკუთარ თავს პირობა, რომ ყოველდღიურად რაციონში ერთ ახალ და სასარგებლო კერძს შეიტანთ.

### 15 წუთით ადრე დაწექით

ყველამ კარგად ვიცით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ღამის ძილი. დადეთ პირობა, რომ ჩვეულებრივზე 15 წუთით ადრე გაეშურებით დასაძინებლად. უკვე მარტისთვის შენიშნავთ, რომ კარგად გამოძინებას ახერხებთ.

### მედიტაცია დღეში 5 წუთით

მედიტაცია – ეს ჭეშმარიტად ჯადოსნული პრაქტიკაა. მაგ: ის გეხმარებათ შფოთვისა და დეპრესიის დროსაც კი. ებრძვის სტრესს და იცავს ჩვენს გულს. რეგულარული მედიტაციები კი ავარჯიშებს ტვინს და ებრძვის ასაკობრივ ცვლილებებს. დღეში მხოლოდ 5 წუთი და თქვენ უკვე ერთ თვეში შენიშნავთ, რამდენად მშვიდი, მოდუნებული და გაწონასწორებული შეგიძლიათ იყოთ.

### ისეირნეთ ყოველდღე

საჭირო არ არის კონკრეტული მიზნების დასახვა. უბრალოდ, საკუთარ თავს პირობა მიეცით, რომ რამდენად რთული დღეც უნდა გქონდეთ, რამდენად ცუდი ამინდიც უნდა იყოს, გამონახავთ დროს, რომ ცოტა გაისეირნოთ.

### აირჩიეთ თვის სიტყვა

„სასარგებლო", „მეგობრული", „საინტერესო", „მხიარული" – აირჩიეთ რომელიმე რეალურად დადებითი ცნება და ეცადეთ, ეს თქვენს ყოველდღიურ ქმედებაში ასახოთ. გაოცდებით, რამდენად კარგი და სავსე ცხოვრებით ცხოვრობთ – ამას კი ვერ ამჩნევთ.

# ვაზი – დარგვა, ვენახის გაშენება, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია



### კულტურის ბოტანიკური და აგრობიოლოგიური დახასიათება

ვაზი მიეკუთვნება ვაზისებრთა ოჯახს. ბუნებრივად მოზარდი ვაზი მხვიარაა, საყრდენს ულვაშებით ანუ პწკალით ემაგრება; აქვს ყავისფერი ქერქი, რომელიც ზოლ-ზოლად სცილდება.შტამბზე განლაგებულია მრავალწლიანი ტოტები (მხრები), ერთწლიანი რქები და ყლორტები.

ფოთლის ყუნწის იღლიაში მოთავსებულია რთული აგებულების კვირტი, რომელიც ძირითადი და შემცვლელი (სათადარიგო) კვირტებისაგან შედგება. მრავალწლიან ღეროზე ვითარდება მძინარე კვირტი.

საქართველოში ვაზის სამრეწველო ნარგავები ზღვის დონიდან 600-700 მეტრამდეა გავრცელებული, თუმცა ზოგიერთ მაღალმთიან რაიონებში იგი 800-1200 მეტრ სიმაღლემდე აღწევს.

სავეგეტაციო პერიოდი წვენის მოძრაობის დაწყებიდან ფოთოლცვენის დამთავრებამდე 200-220 დღეს შეადგენს და განსხვავებულია ჯიშების და ზღვის დონიდან სიმაღლეების მიხედვით.

ვაზის განვითარება წლის პერიოდში იყოფა აქტიურ და მოსვენების ფაზებად. მოსვენების პერიოდში მიმდინარეობს სუნთქვის და აორთქლების პროცესები, საკვები ელემენტების გადანაცვლება ერთწლიანი ნაზარდებიდან მრავალწლიანში, აქედან ფესვებში.

ვაზი ვითარდება ისეთ ნიადაგებზეც კი, სადაც მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება შეუძლებელია ან მცირე ეფექტის მომცემია: საკმაოდ ან მეტად დაფერდებული ციცაბო ადგილები, ხირხატი და ქვიანი ნიადაგები, სილნარი და სხვა.

ვაზის ზრდა 8⁰C-ზე დაბალ ტემპერატურაზე აღარ მიმდინარეობს. 25-30⁰C – ის იგი ინტენსიურად ვითარდება, ხოლო 40⁰C-ზე მეტი ტემპერატურის პირობებში მისი განვითარება ფერხდება და მწვანე ნაწილების არუჯვის გამო საბოლოოდ ჩერდება. ვაზი ყინვებს 15-18⁰C-მდე იტანს, ზოგიერთი ჯიში კი 30⁰C-მდეც უძლებს.

ვაზი მეზოფიტ მცენარეთა ჯგუფს ეკუთვნის, მაგრამ გვალვიან ადგილებში, სადაც ნალექის წლიური რაოდენობა 400 მილიმეტრამდეა ვენახის მორწყვა აუცილებელია.

### ნიადაგის და სავენახე ნაკვეთის შერჩევა

რელიეფი და ნიადაგის მჟავიანობის არე (pH). ვაზი ცოცხლობს და ვითარდება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგზე, გარდა დაჭაობებული და დამლაშებული ნიადაგებისა.

სამრეწველო მევენახეობის განვითარებისათვის საუკეთესო ნიადაგებია: ყავისფერი, ნეშომპალა – კარბონატული, რუხი ყავისფერი (წაბლა), მდელოს ყავისფერი, შავმიწა, შავმიწისებრი, ალუვიური ნიადაგები; მაღალი ხარისხის ყურძნის მისაღებად საუკეთესოა მსუბუქი მექანიკური შედგენილობის, კორდიან-კარბონატული, ხირხატიანი და ქვიშნარი ნიადაგები.

მევენახეობის ყველა ზონაში სავენახე ფართობის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ კლიმატური ფაქტორების გავლენა ვაზის მოსავლიანობაზე, მოსავლის ხარისხზე. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის და ქვენიადაგის თვისებებს, ფერდობების დაქანებას, კარბონატების შემცველობას, ტემპერატურულ რეჟიმს და სხვა.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი არ უნდა იყოს 2200⁰C-ზე ნაკლები; ყველაზე უფრო თბილი თვის საშუალო ტემპერატურა კი 16⁰C-ზე ნაკლები;

საქართველოში შესაძლებელია სავენახედ გამოყენებული იქნას ვაკე და დაქანებული ფართობები, მაგრამ უმჯობესია ვენახის გაშენებისათვის სამხრეთისკენ და სამხრეთაღმოსავლეთისკენ დაქანებული ფერდობების შერჩევა. განსაკუთრებით ეს ეხება მთიან ზონას, სადაც შედარებით ნაკლები სითბოა. რაც შეეხება ფართობის დაქანებას, ამ შემთხვევაში ოპტიმალურია 10˚-მდე დახრილობის ფერდობები.

ტაფობ ადგილებში გაშენებული ვაზი შესაძლოა ადვილად დაზიანდეს დაავადებებით და არახელსაყრელი კლიმატური პირობების ზემოქმედებით, ხოლო 10˚-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე ვენახის გაშენება შესაძლებელია დატერასების შემდეგ.

ტერასის სიგანე დამოკიდებულია ფართობის დაქანების კუთხეზე: რაც უფრო მეტადაა დაქანებული ნაკვეთი, მით უფრო ვიწრო ტერასაა საჭირო. ტერასის ტიპის შერჩევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია აგრეთვე ნიადაგის მექანიკური შედგენილობა.

ვენახის გაშენებამდე აუცილებელია სავენახე ნაკვეთის აგროქიმიური და ენტომოლოგიური ანალიზის ჩატარება და მიღებული შედეგების შესაბამისი აგროტექნიკური და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გატარება.

### ნიადაგის ძირითადი დამუშავება

სავენახედ გამოყოფილი ნაკვეთი, პირველ რიგში, უნდა გაიწმინდოს ბუჩქნარის, ხე მცენარეების და მათი ფესვებისგან, ასევე დიდი ზომის ქვების და ზოგადად, ნიადაგის დამუშავებაში ხელის შემშლელი ნებისმიერი მცენარეული და არამცენარეული ნარჩენებისგან.

ნიადაგში არ უნდა დარჩეს ფესვები, განსაკუთრებით უნდა გასუფთავდეს ნიადაგი ვაზის ფესვებისგან, რადგან ისინი, სხვა მცენარეულ ფესვებთან ერთად, არა მარტო ხელს უშლიან ნიადაგის დამუშავებას, არამედ შეუძლიათ ლპობის პროცესში გააუარესონ ნიადაგის ფიტოსანიტარული მდგომარეობა.

თუ სავენახე ნაკვეთზე გავრცელებულია სარეველები, მათ მოსასპობად მისაღებია ნაკვეთის დამუშავება ჰერბიციდებითაც. ნავენახარ ფართობზე საჭიროა ვაზის ძირფესვიანად ამოძირკვა, ნაკვეთიდან მისი გატანა და დაწვა. თუ სავენახე ფართობზე გვხვდება უსწორმასწორო ადგილები, ხევები, ორმოები, ბორცვები და სხვა, რაც საგრძნობლად შეუშლის ხელს ნიადაგის შემდგომ დამუშავებას, ხდება ნიადაგის ზედაპირის მოსწორება შესაბამისი ტექნიკით.

გარდა ამისა, საჭიროების მიხედვით უნდა მოხდეს ქარსაფარი ზოლის მოწყობა, სარწყავი ქსელის დაგეგმვა ან სადრენაჟო ქსელის მოწყობა. თუ ნაკვეთში არსებობს წყლის დაგუბების რისკები, აკეთებენ წყლის საწრეტ ქსელებს. თუ ნაკვეთის რომელიმე უბანს, ან მთლიანად ნაკვეთს აქვს ტაფობის ფორმა ანუ ჩაზნექილია შუაში, ასეთ შემთხვევაში იღებენ ღრმა ჭას და წყალსაწრეტ არხებს მიმართულება ეძლევათ ჭისკენ.

ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო მჟავიანობის არე პ 6,0-დან 8.0-მდეა. იმ შემთხვევაში, თუ ვაზის გასაშენებლად შერჩეულ ფართობზე ნიადაგის არეს რეაქცია აღნიშნულ პარამეტრებზე მეტი ან ნაკლებია ანუ ნიადაგის ვაზის წარმოებისათვის შეუთავსებლად მჟავე ან პირიქით ტუტე რეაქციისაა, ამ დროს კულტურის გაშენებამდე საჭირო იქნება ნიადაგის მჟავიანობის არეს ხელოვნური რეგულირება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებით.

ვენახის გასაშენებელი ადგილის შერჩევის შემდეგ ტარდება ნიადაგის პლანტაჟი, ანუ ნიადაგის ღრმად დამუშავება ნიადაგის ფენათა გადაადგილებით. პლანტაჟის ჩატარების საუკეთესო დროდ ითვლება შემოდგომა. დასავლეთ საქართველოში პლანტაჟის სიღრმე უნდა იყოს 50-60 სმ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 60-70 სმ. პლანტაჟი ტარდება ვაზის

დარგვამდე 3-5 თვით ადრე. თუ ვაზის გაშენება იგეგმება ნავენახარ ფართობზე, ამ შემთხვევაში აუცილებელია 2-3 წლიანი დაყოვნების პერიოდის დაცვა – თესლბრუნვით რეკომენდირებული კულტურების თესვის ფონზე და შემდეგ პლანტაჟის ჩატარება, რათა მინიმუმამდე იქნას შემცირებული მავნებელდაავადებების გავრცელების რისკები და გაუმჯობესდეს ნიადაგის ძირითადი აგროსაწარმოო მაჩვენებლები.

### ნიადაგის დარგვისწინა დამუშავება

ვაზის დარგვამდე 20-25 დღით ადრე პლანტაჟირებული ნიადაგი უნდა გადაიხნას გარდიგარდმო 25-30 სმ-ის სიღრმეზე და მოსწორდეს შესაბამისი ტექნიკით (ფრეზი, ფარცხი).

ამ ოპერაციის ჩატარებამდე, ნიადაგის პლანტაჟის შემდეგ, აგროქიმიური ანალიზის მონაცემებიდან გამომდინარე, სავენახე ნაკვეთში შეაქვთ გადამწვარი ორგანული სასუქი (ნაკელი, ტოირფნაკელიანი ან ტორფწუნწუხიანი კომპოსტი, ნეშომპალა და სხვა ორგანული წარმომავლობის ბიომასა), ასევე შეაქვთ ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები და მელიორანტები ნიადაგის ანალიზის შესაბამისად.

მიზანშეწონილია ასევე, ორგანული და მინერალური სასუქების (ფოსფორი და კალიუმი) შესაბამისი დოზებით შეტანა პლანტაჟის დროს, რათა ვაზის ფესვთა სისტემის განვითარების ზონა თავიდანვე უზრუნველყოფილი იქნას საკვები ელემენტების მარაგით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

სასუქების და მელიორანტების შეტანის და ნიადაგის მოსწორებისა და შემდეგ ნაკვეთი იგეგმება დასარგავად. ამისათვის მწკრივებს შორის დადგენილ მანძილზე (2,1 – 2 – 3 მ) გაიჭიმება მავთული და გაივლება სწორი ხაზი. შემდეგ იგივე ოპერაცია სრულდება საწინაამღდეგო მიმართულებით – რიგში ვაზებს შორის დაგეგმილ მანძილზე (1 – 1,25 – 2 მ) გაივლება ასეთივე მავთული და მათი გადაკვეთის წერტილში მომზადდება ორმო ნერგის დასარგავად.

ნაკვეთის დაგეგმვა მონიშვნითაც შეიძლება. ამისათვის მწკრივების გასწვრივ თავსა და ბოლოში, მწკრივებს შორის მიღებულ მანძილზე ჩაისობა პალოები, მათზე გაიჭიმება მავთული და ვაზთა შორის მანძილი აღინიშნება ჩხირების ჩასობით.

ვაზის დარგვამდე, ასევე საჭიროა დამუშავდეს ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საკითხი და შეიქმნას მექანიზაციის ფართოდ გამოყენების პირობები. ამის მისაღწევად, რელიეფისა და ნიადაგური პირობების გათვალისწინებით, ტერიტორია უნდა დაიყოს კვარტლებად, თარგებად, თარგებში კი რიგების მიმართულებად.

ამავდროულად საჭიროა დაიგეგმოს საგზაო ქსელი, ქარსაფარი ტყის ზოლები და სარწყავი სისტემა. სარწყავ რეგიონებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რიგების მიმართულების შერჩევას. რიგების მიმართულება უნდა უზრუნველყოფდეს ტერიტორიის დაცვას ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან, ასევე მექანიზაციის შეუფერხებელ გამოყენებას. ვაკე ადგილებში მწკრივები უმჯობესია განლაგდეს ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს მთელი დღის განმავლობაში მცენარეთა კარგ განათებას. თარგთა შორისი და საპლანტაციო გზების სიგანე უნდა იყოს 6 მეტრი, ტრაქტორის მოსაბრუნებელი კი 8 მეტრი.

მევენახეობის პრაქტიკაში მიღებულია ვაზის განლაგების 3 წესი: მწკრივობრივი, კვადრატული და ჭადრაკული.

დაგეგმვის მწკრივობრივი წესი ეწოდება ისეთ წესს, როდესაც მწკრივთაშორისი მანძილი მეტია მწკრივებში ვაზებს შორის მანძილთან შედარებით. კვადრატული წესით დაგეგმვის დროს მანძილები თანაბარია, როგორც მწკრივებს შორის, ისე მწკრივებში-ვაზებს შორის.

ჭადრაკული წესის დროს ცალკეული ვაზი იმყოფება ტოლფერდა სამკუთხედის ცენტრში ან უახლოესი სამი ვაზის ჯგუფი ქმნის ტოლგვერდა სამკუთხედს. აღნიშნულ წესებს შორის ყველაზე მეტი პრაქტიკული გამოყენება აქვს მწკრივობრივად დარგვის წესს. დაგეგმვის ეს წესი შეხამებულია სამუშაოების მექანიზებულად ჩატარებასა და ვაზის სასურველ ფორმირებასთან.

აღნიშნული ოპერაციების განხორციელების შემდეგ ფართობში, ზემოთაღწერილი მეთოდით მონიშნულ ადგილებში იღებენ ორმოებს, რომლის სიღრმე 40-50 სმ-ია, ხოლო სიგანე 30 სმ.

### ვენახის გაშენება და მოვლითი სამუშაოები

ვაზის დარგვა შეიძლება, როგორც გაზაფხულზე, ისე შემოდგომით, თუ უკანასკნელ შემთხვევაში საშიშროება არ არის ვაზის ახალდარგული ნერგის დაზიანებისა ყინვების გამო.

გაზაფხულზე ვაზის დარგვა უნა დამთავრდეს კვირტის გაშლამდე. დასავლეთ საქართველოში ვაზის დარგვა უნდა დამთავრდეს 15 მარტამდე, აღმოსავლეთში კი 1 აპრილამდე.

ნერგი. – ვენახის გასაშენებლად გამოყენებული უნდა იყოს პირველი ხარისხის ნერგი, რომლის ძირითადი მაჩვენებლები ასეთია: კარგად განვითარებული, არანაკლებ ორი ძირითადი ფესვი, მათი საღი ნაწილის სიგრძე არანაკლებ 12 სმ, ფესვების განლაგება ქვედა მუხლის გარშემო.

ერთწლიანი მომწიფებული ნაზარდის სიგრძე არანაკლებ 20 სმ და ფუძეში 3-4 კარგად ფორმირებული კვირტი; პირველი მუხლთშორისის შუა ნაწილში ნაზარდის სიმსხო არანაკლებ 5 მმ, ხოლო ორი ნაზარდის შემთხვევაში მათი საერთო დიამეტრი 8 მმ.

ნერგის სიგრძე ქუსლიდან საძირისა და სანამყენეს შეხორცების ადგილზე 26-32 სმ. სანამყენე სრულად უნდა იყოს შეზრდილი საძირესთან, ირგვლივ შეხორცებული, მოღუნვისას მაგარი და მტკიცე, ნერგის ფესვი და ნაზარდი იყოს სუფთა ყოველგვარი სოკოვანი დაავადებებისა და მექანიკური დაზიანებისაგან.

„საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ“ გვავალდებულებს, რომ სამრეწველო ვენახები უნდა გაშენდეს ნამყენი ნერგით. ნამყენი, ეს არის ფილოქსერაგამძლე საძირეზე, ქართული, ევროპული ან სხვა ვაზის ჯიშების სანამყენე მასალის მყნობით მიღებული სარგავი ვაზის ნერგი.

### დარგვის წესი

ნერგის დამსხვილებული ფესვები დარგვამდე უნდა შეიკვეცოს 8-12 სმ სიგრძეზე. წვრილი ფესვები კი უნდა მოიჭრას ბაზისთან.

რაც შეეხება ნაზარდს, ის შეიკვეცება 2-3 კვირტზე. ერთწლიან ნამყენ ნერგს აქვს ძირითადად ერთი რქა, ხოლო ორწლიანებს – მეტი. ამ დროს დასატოვებლად უნდა შეირჩეს უკეთესი მდებარეობისა და განვითარების მქონე ნაზარდი. ზოგ შემთხვევებში შესაძლოა, საჭირო გახდეს სარგავი მასალის წყალში დალბობა 8-12 საათის განმავლობაში.

დარგვისას ნერგები მწკრივში ერთ სწორ ხაზზე უნდა განლაგდეს და ორმოში ვერტიკალურად იქნას ჩარგული. დარგვის დროს უნდა მომზადდეს ნიადაგის და სასუქის (ორგანული მასის) ნარევი, 2:1 ან 3:1 შეფარდებით.

საორიენტაციოდ ურევენ ერთმანეთში 5-6 კგ. გადამწვარი ნაკელს, 60 გ. ფოსფორიან და 40 გ. კალიუმიან სასუქებს. რიგ შემთხვევაში, ნიადაგის ნაყოფიერების გათვალისწინებით, მზადდება მხოლოდ ნიადაგის და ორგანული მასის ნარევი, მინერალური სასუქების გარეშე.

ორმოები უნდა იყოს 40-50 სმ სიღმისა და 30 სმ სიგანის. ორმოს სიღრმე 8-10 სმ-ით უნდა აღემატებოდეს ვაზის ნერგის სიგრძეს. დარგვისას ნარევი შეიტანება ორმოს ფსკერზე, შეტანილ მასას ზემოდან უნდა დაეყაროს ე.წ. დამცავი ფენა (ნიადაგის და ორგანული მასის ნარევი) 6-8 სმ სისქეზე, რათა არ მოხდეს ახლად დარგული ნერგის ფესვების კონტაქტი მინერალურ სასუქთან (მათი გამოყენების შემთხვევაში).

ნერგს შუა ადგილზე მოაყრიან ნაკელ ნარევ მიწას და მოტკეპნიან, შემდეგ ორმოს პირამდე შეავსებენ და ხელმეორედ მოტკეპნიან. ბოლოს ნერგს ფხვიერი მიწით უკეთებენ ე.წ. კოკოლას (პატარა მიწაყრილი), რომლის სიმაღლე შემოდგომით დარგვისას უნდა უდრიდეს 10-12სმ-ს, ხოლო გაზაფხულზე დარგვის დროს 6-8სმ.

ნერგის ფორმირებისთვის კალმის ზედა ნაზარდი უნდა გადაიჭრას 2 კვირტის სიმაღლეზე, ხოლო მყნობისას ადგილი 2-3 სანტიმეტრით დაშორდეს ნიადაგის ზედაპირს.

დარგვისთანავე უნდა მოხდეს ნერგის მორწყვა ნელა, რადგან წყალმა მოასწროს ფესვებამდე ჩასვლა. ნერგი უნდა აიკრას ინდივიდუალურ საყრდენზე.

ამ ბოლო დროს ხშირია ვაზის მწვანე ნერგით გაშენება, რაც მკვეთრად ამცირებს ვენახის მსხმოიარობაში შესვლის პერიოდს. ხარისხიანი ნერგი მოსავალს III-IV წელს გვაძლევს, ხოლო მწვანე ნამყენი ნერგი – 1 წლით ადრე.

დარგვის შემდეგ საჭიროა ნარგავის სისტემატური დათვალიერება, კოკოლების შესწორება, ამონაყრებისა და სანამყენედან გამოტანილი ფესვების მოცილება.

### ახალგაშენებული ვენახის მოვლა

გაშენების პირველ წელს პლანტაჟის გავლენით გაადვილებულია ნიადაგის დამუშავება. რეკომენდებულია ჯვარედინი კულტივაციის ჩატარება (მწკრივების გასწვრივ და პერპენდიკულარულად). იგი ამცირებს ხელით დასამუშავებელი მიწის ფართობს და აადვილებს სარეველების წინააღმდეგ ბრძოლას.

ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა გაშენების პირველ წელს ნიადაგის გაფხვიერება. ვეგეტაციის პერიოდში ნიადაგი 3-4-ჯერ ფხვიერდება 10-12 სმ-ის სიღრმეზე. პირველი წლის შემოდგომაზე საჭიროა მოხვნა 18-20 სმ-ის სიღრმეზე და ვაზისათვის მიწის შემოყრა.

ვენახის გაშენების მეორე წელს ადრე გაზაფხულზე, ვენახი უნდა მოიხნას ნაზურგად, ვაზს შემოეცალოს მიწა და მწკრივები გაითოხნოს.

### გამორგვა

ახლად გაშენებულ ვენახში თითქმის ყოველთვის წარმოიქმნება მოცდენილი ადგილები. ასეთ შემთხვევაში პირველი წლის შემოდგომაზე, ან მეორე წლის გაზაფხულზე გაცდენილი ადგილები უნდა გამოირგოს იგივე ჯიშის ნერგით.

### დანორმება

საჭიროა პირველივე წელს შეირჩეს ორი უკეთესი მდგომარეობისა და განვითარების ყლორტი (დანარჩენი ყლორტები კი უნდა მოსცილდეს). თუკი ეს ღონისძიება ადრეულ ვადებში ჩატარდება, მალევე შემცირდება საკვები ნივთიერებების უსარგებლო ხარჯვა მცენარის გამოუსადეგარ ნაწილებზე. სავეგეტაციო პერიოდში ძირითად ყლორტზე განვითარებული ნამხრევები უნდა მოცილდეს მანამ, სანამ ისინი ნორჩ მდგომარეობაში იმყოფებიან. წლის მანძილზე საჭიროა ამ ოპერაციის 3-4-ჯერ ჩატარება.

### საყრდენი სისტემა

ცნობილია ვაზის როგორც საყრდენიანი, ასევე უსაყრდენო ფორმები. საყრდენი საშუალებებებიდან ძირითადად გავრცელებულია ორი მეთოდი: ცალკეული ვაზების დაყენება სარზე და შპალერის მოწყობა.

### ვაზის დაყენება სარზე

საქართველოში ზოგიერთ რეგიონებში ძირითადად გამოიყენებოდა ცალკეული ვაზების დაყენება ერთ სარზე.

### შპალერის მოწყობა

ვაზის საყრდენ სისტემებს შორის ყველაზე გავრცელებულია შპალერის მოწყობა. ამ ტიპის საყრდენი სისტემისათვის საჭიროა ბოძები, საყრდენი და მავთული, ცალკეული მწკრივების მიხედვით.

### მსხმოიარე ვენახის მოვლა

აუცილებელია, რომ ვენახში ნიადაგის ზედა ფენა მუდმივად იყოს გაფხვიერებულ მდგომარეობაში.

შემოდგომით ნიადაგის დამუშავება შესაძლებელია დაიწყოს მოსავლის აღებისთანავე. პირველად ითოხნება მწკრივები, ხოლო შემდგომ კი მოიხვნება ნაღარად, ვაზის ძირებზე მიწის მიყრით. მოხვნის სიღრმე უნდა იყოს 20 სმ.

ნიადაგი უნდა დამუშავდეს გაზაფხულზეც: ამჯერად 15 სმ-ის სიღრმეზე. გაზაფხულზე ნიადაგის დამუშავება უნდა დაიწყოს ნიადაგის სათანადოდ გაშრობისთანავე. გასათვალისწინებელია, რომ ეს ღონისძიება უნდა დასრულდეს კვირტების გაღვიძებამდე.

დასავლეთ საქართველოს პირობებში ძირითადი მნიშვნელობა აქვს ვენახის ნიადაგის დამუშავებას გაზაფხულზე. შესაბამისად, ამ არეალში ნაკლებად მიზანშეწონილია ნიადაგის დამუშავება შემოდგომით.

ზაფხულში ვენახის ნიადაგი მუშავდება 7-10 სმ-ის სიღრმეზე. ამ ღონისძიების ძირითად მიზანს წარმოადგენს სარეველების შემცირება და ნიადაგის ზედაპირის გაფხვიერება. ის უმთავრესად ტარდება სხვადასხვა ტიპის კულტივატორების გამოყენებით.

### გასხვლა

ვენახის გასხვლა შესაძლებელია ჩატარდეს ზამთარში (ფოთლების ჩამოცვენიდან ორი კვირის შემდეგ) და გაზაფხულზე (კვირტების დაბერვამდე). პირველი გასხვლისას, დარგვიდან მეორე წელს ვაზს უტოვებენ ორ, კარგად განვითარებულ ქვედა კვირტს. მეორე გასხვლის დროს შეირჩევა უფრო განვითარებული რქა და გაისხვლება 3-4 კვირტზე.

მესამე წელს, ფორმირების წესის მიხედვით, ვაზის გასხვლა შესაძლებელია შტამბის გამოსაყვანად. ამ დროს არჩევენ კარგად განვითარებულ რქას და სხლავენ შტამბის სიმაღლეზე. იმ შემთხვევაში, თუ მცენარე სუსტია, შტამბს გამოიყვანენ მომდევნო წელს.

შტამბის გამოყვანის დასრულების შემდეგ ტოვებენ ორ რქას, საიდანაც ერთს სხლავენ მოკლედ, 2-3 კვირტზე, რის შედეგადაც მისგან მიიღება სამამულე რქა. მასზე ვითარდება ფორმირების ელემენტები. მეორე რქას გრძლად სხლავენ 8-10 კვირტზე და მისგან ვითარდება სანაყოფე რქა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ყვარლის მოსახლეობას ვულოცავ დამდეგ ახალ წელს, ვუსურვებ მშვიდობიან ცხოვრებას, დედებს შვილების ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს



დიდი წინაპრის მშობლიური ქალაქი ყვარელი რომ ასე ლამაზად და მიმზიდველად გამოიყურება, იმ ადამიანების დამსახურებაა, რომელნიც ათეული წლების განმავლობაში უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის, რაიონის ეკონომიკის განვითარებასა და წინსვლაში. განსაკუთრებით გამორჩეული იყო მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლები, როდესაც ყვარლის რაიონში ფაქტიურად არ არსებობდა გაღატაკებული ოჯახი და ყველა კმაყოფილი იყო არსებული ცხოვრების დონით.

ვინც ასეთი პირობები შეგვიქმნეს, უმრავლესობა უკვე აღარ არიან ცოცხლები და ერთეულებიღა დარჩნენ ჩვენს გვერდით, რომელთაც კარგად ახსოვთ წინა საუკუნის ომიანობის, გაჭირვების და ბოლოს ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების წლებიც. ამიტომაც გადავწყვიტე გაზეთის საახალწლო ნომრისთვის ასეთი რესპოდენტი შემერჩია და ინტერვიუს ჩასაწერად ღვაწლმოსილ და ღირსების ორდენის მფლობელს, ქალბატონს ლანი ბეჟანიშვილს ვესტუმრე.

**– კომუნისტურ ეპოქაში განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ქალებს და ღირსეულად აფასებდნენ მათ დამსახურებას სამშობლოს წინაშე. თქვენ მუდმივად რაიონის აქტივში იმყოფებოდით, კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები ხორციელდებოდა ამაგდარი ადამიანების წახალისებისათვის?**

– კომუნისტურ ეპოქაში, ქალების მიმართ ნამდვილად განსაკუთრებულ ყურადღებას, სითბოს, პატივისცემას და სიყვარულს გამოხატავდა პარტიული ხელმძღვანელობა.

80-იან წლებში, რაიონში, პასუხსაგებ თანამდებობებზე დასაქმებული ქალები, მამაკაცების გვერდით, თანაბრად მონაწილეობდნენ რაიონის ეკონომიკური განვითარებისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ქალი, სამსახურსა და საზოგადოებაში უპირველესად დედა და ოჯახის დიასახლისია და ეს ქალისთვის ყველაზე საპატიო მოვალეობაა. რთული იყო ჩვენი საქმიანობა, მაგრამ ხელმძღვანელობა ხელს გვიწყობდა, რათა ოჯახისთვისაც მიგვეხედა.

რაიონში ქალის შრომა ნამდვილად დაფასებული იყო ყოველ – სარვამარტო, საპირველმაისო, საახალწლო, საშვიდნოემბრო დღესასწაულზე, სადაც ხდებოდა მთავრობის ჯილდოების, თუ ფასიანი საჩუქრების გადაცემა.

უნდა აღინიშნოს ის, რომ ქალები უფრო რეალისტები და პრინციპულები იყვნენ რაიონში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას. ვახერხებდით ხმამაღლა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი.

**– თქვენ მოღვაწეობა დაიწყეთ ახალგაზრდობის სახლში, შემდგომ გადაგიყვანეს პარტიის ყვარლის რაიკომში, მუშაობა მოგიწიათ სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის და განათლების განყოფილების უფროსის თანამდებობებზე, რა იყო თქვენი საქმიანობის მიმართულებები, რის გაკეთება მოასწარით და რა ვერ შეძელით?**

– ნამდვილად ვიყავი წლების მანძილზე რაიონის აქტივში, აქტიურობა ჩემი შინაგანი მოთხოვნა და თვისება იყო.

19 წლის ასაკში პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი გავხდი. ეს ჩემი შემოქმედებითი და მრავალფეროვანი საქმიანობის აღმავლობის დასაწყისი იყო.

ისე ჩავერთე პიონერულ საქმიანობაში, ხალისიან და საინტერესო ცხოვრებაში, რომ უცბად გავიდა 16 წელი.

პიონერთა სახლის ქურაში ვინც გაიარა, საუკეთესო ადამიანები არიან. დღესაც ისე მიყვარან როგორც მაშინ. ვინც ამ კეთილმოსაგონარი პიონერული ცხოვრებით იცხოვრა, (ასეთები ძალზე ბევრია) დამიმოწმებენ, რომ ყველა ღონისძიება მართალია კომუნისტური იდეოლოგიით იყო გამსჭვალული, საბედნიეროდ ყოველი მათგანი მეგობრობის, სიყვარულის განუმეორებელ, დაუვიწყარ დღეთა ფეიერვერკი იყო, რომლის მადლი დღესაც უცისკროვნებს სულს მაშინდელ თაობას.

მეამაყება ის, რომ გარკვეული წლების შემდეგ, მე მათთვის დღესაც ლანი ხელმძღვანელი ვარ, მათი წყალობით ახალგაზრდული სული დღემდე შემომრჩა. მიღებული მაქვს ღირსების ორდენი, მედლები, სიგელები, დიპლომები, მაგრამ მაქვს ყველაზე დიდი ჯილდო, ჩემი ყოფილი პიონერების უდიდესი სიყვარული და დაფასება.

მინდა, ჩემს ყოფილ პიონერებს მივულოცო დამდეგი ახალი წელი, ვუსურვო დიდი ადამიანური ბედნიერება, შვილების სიხარული და ჯანმრთელობა.

პიონერთა სახლიდან გადამიყვანეს პარტიის ყვარლის რაიკომში, სადაც ათი წელი ვიმუშავე. ძალიან ძნელია ქალი დედისთვის, ოჯახის დიასახლისისთვის არანორმირებული პარტიული მუშაობა, მაგრამ მინდა აღვნიშნო პარტიის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივნის სოსო მოლაშვილის დამსახურებაც. აპარატში მან შექმნა თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემის, მეგობრობის ატმოსფერო. ყურადღების მიღმა არ რჩებოდა ჩვენს მიერ კარგად შესრულებული დავალება, რასაც შექება მოჰყვებოდა, ეს კი ჩვენთვის დიდი სტიმული იყო.

არ შემიძლია არ გავიხსენო საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ოთარ სამხარაული, რომელიც ახალგაზრდა მუშაკების მასწავლებელი და დამრიგებელი იყო.

შემდგომ იყო სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეობა. მე ჩემს მიერ გაწეული შრომის შესახებ არაფერს ვიტყვი. მოვიშველიებ რესპუბლიკის კონტროლის კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის ნუგზარ საჯაიას სიტყვებს, – ყვარლის რაიონის კონტროლის კომიტეტი რესპუბლიკაში უპირველესი კომიტეტია (ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის ამონაწერი).

დიდ წარმატებას რა მოჰყვა? გეტყვით.

1989 წლის შემოდგომაზე, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ოთარ ჩერქეზიამ პირველ მდივანს სოსო მოლაშვილს, კატეგორიული მუქარის ტონით მოსთხოვა რაიონში 50000 ტონა ყურძნის დამზადება, რაც ყოვლად შეუძლებელი იყო.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ და ბიუროს თერთმეტმა წევრმა ვერ შევძელით რესპუბლიკის მთავრობის არასწორი დავალების თავიდან აცილება (მაშინ ამის გაკეთება გამორიცხული იყო), რასაც მოჰყვა ძირეული საკადრო ცვლილებები ყვარლის რაიონის ხელმძღვანელობაში.

შემდგომ მომიწია განათლების განყოფილებაში მუშაობა. მეამაყება, რომ დიდი ადამიანების: გიორგი კევლიშვილის, ელენე ზაუტაშვილის, რაფიელ შავგულიძის, ზაალ იოსებაშვილის, უფროსი დავით ლაფაჩიშვილის კარგად დაწყებული საქმის გამგრძელებელი ვიყავი.

განყოფილებაში მისვლისთანავე ჩამოვაყალიბე ურთიერთპატივისცემის და საქმიანი თანამშრომლობის ატმოსფერო. ვცდილობდი რაიონის მასწავლებლების უიმედობა, ზოგჯერ დამცირება წარსულში დარჩენილიყო და ამიტომ მრავალი მეთოდური და საინტერესო ღონისძიებები ჩავატარეთ.

კიდევ ბევრი რამის გაკეთება მინდოდა, მაგრამ პოლიტიკური შეხედულებების გამო, თანაც მაშინდელმა პრეზიდენტმა განაცხადა, 40 წლისაზე მეტი ასაკის არ უნდა ყოფილიყო ხელმძღვანელ თანამდებობაზე, – მე კი უკვე პენსიონერი ვიყავი და დამატოვებინეს სამუშაო.



**– მახსოვს რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელები წლის ბოლოს ხშირად თბილისში იმყოფებოდნენ რესპუბლიკის ბიუჯეტიდან რომ დაფინანსება მიეღოთ მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად. თქვენი მოღვაწეობის პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა როგორ ხდებოდა და რა კეთდებოდა რაიონში?**

– რაიონის ბიუჯეტი გადაჭარბებით სრულდებოდა. ცხადია, ეს რაიონის განვითარებას, მოსამსახურეთა ხელფასებს ეს არ ჰყოფნიდა, გვიწევდა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან თანხის მოთხოვნა. რაიონის პარტიული ხელმძღვანელები, არ არის დასამალი, კარგად იყენებდნენ დიდი ილიას სახელს და მიზანსაც აღწევდნენ. გვახსოვს ყველას რამდენი რამ შენდებოდა და როგორ ლამაზდებოდა ყვარელი. გავიხსენოთ რამდენი სკოლა, სკოლამდელი დაწესებულება, კულტურული, საყოფაცხოვრებო და სოფლის მეურნეობის ობიექტები აშენდა მაშინდელ ყვარლის რაიონში.

**– თქვენ სამსახურებრივი ურთიერთობები გქონდათ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან, როგორი პიროვნება იყო როსტომ სესიაშვილი და რა წვლილი მიუძღვის ყვარლის რაიონის ეკონომიკის აღმავლობაში?**

– ყვარელი ნამდვილად მდიდარი იყო გამოჩენილი ადამიანებით, რომლებმაც ნათელი კვალი დაამჩნიეს რაიონის წინსვლასა და განვითარებას, აყვავებასა და გალამაზებას. ასეთები ჩვენს მეხსიერებას შემორჩნენ გივი ზაუტაშვილი, როსტომ სესიაშვილი (უფროსი), უმცროსი დავით ლაფაჩიშვილი, სოსო მოლაშვილი და სხვები.

**– თქვენ წლების განმავლობაში განათლების სფეროს ხელმძღვანელობდით, როგორი განსხვავებაა დღევანდელ და მაშინდელ სკოლებს შორის?**

– როცა განათლებაში მივედი სამუშაოდ, სიღარიბე, უგაზობა, უშუქობა სტანჯავდა ადამიანებს, განსაკუთრებით მასწავლებლებს. რვა თვის ხელფასი იყო გაუცემელი, მასწავლებლის მცირე ხელფასი გაყინული იყო და გაჭირვებული მასწავლებელი შვილის ავადმყოფობის გამო, გროშებს ითხოვდა. ამის გამო მიხდებოდა რაიონის გამგებელთან, დავით ლაფაჩიშვილთან თხოვნა, ვიცოდი ის, რომ ყოველთვის მასწავლებლის შრომის დამფასებელი იყო, ყველაფერს აკეთებდა მათ დასახმარებლად.

მაშინდელ და დღევანდელ სკოლებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. დღეს თითქმის ყველა სკოლაში ევრორემონტია ჩატარებული, აღჭურვილია უახლესი დგამ-ავეჯით, კომპიუტერებით, თუნუქის შეშის ღუმელები ცენტრალური გათბობის სისტემებით შეიცვალა, რაც მთავარია, მასწავლებელთა ხელფასები გაიზარდა და კიდევ გაიზრდება. ეს ნამდვილად მიხარია, როგორც იქნა, 21-ე საუკუნეში დაფასდა პედაგოგის საპატიო შრომა. ცხადია, ყველა ეს სიკეთე ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას.

**– როგორი რეფორმაა განსახორციელებელი, რათა ახალგაზრდები სადღეისო მოთხოვნების დონეზე მომზადებული ცოდნით გამოდიოდნენ სკოლებიდან?**

– განათლების ყველა ახალი მინისტრი რეფორმას იწყებს და ბოლომდე ვერ მიდის. ცხადია, დღემდე არც შედეგია. ჩემთვის ყოვლად მიუღებელია მასწავლებლის ყოველწლიურად გამოცდებზე გასვლა.

კომუნისტების პერიოდში იყო მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, საგნებისა და სიახლეების შესახებ მასწავლებლები ერთთვიან კურსებს გადიოდნენ. ვეთანხმები ყველას, რომ კომპიუტერის ხანაში ბევრი სიახლეა, ვასწავლოთ მასწავლებელს ყველა სიახლე და არ უნდა დავაყენოთ გამოცდებზე. ჩემის აზრით ეს მასწავლებლის ავტორიტეტზე მოქმედებს, მითუმეტეს, თუ მოსწავლემ გაიგო, რომ გამოცდა მასწავლებელმა ვერ ჩააბარა.

სკოლის დირექტორებს მიეცით დამოუკიდებლობა, ყველაზე კარგად იცის დირექტორმა, რომელი მასწავლებელია საჭირო სკოლისთვის. კომპიუტერი კარგია, მაგრამ წიგნი, წიგნი და კვლავ წიგნი არის ყველაზე კარგი ცოდნის მიმცემი.

**– თქვენს პერიოდში ჩამორჩენილ და ზარმაც მოსწავლეებს ურჩევდით პროფტექნიკურ სასწავლებლებში გადასვლას, სხვადასხვა პროფესიებს დაუფლებოდნენ და ქვეყნისა და ოჯახის საკეთილდღეოდ ეშრომათ.**

– პროფტექნიკური სასწავლებელი მართალია ამზადებდა პროფესიულ კადრებს, მაგრამ მათი პროფესიული მომზადება ვერ პასუხობდა იმდროინდელ მოთხოვნებს.

კომუნისტების პერიოდში მიმტანებს, მზარეულებს, გამყიდველებს და სხვა პროფესიებს არ ჰქონდათ ისეთი დაფასება, როგორც დღეს. სასიამოვ-

**გაგრძელება მე-11 გვ. -ზე**



დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

ნოა ჩვენი ახალგზრდების საქმიანობა, უხდებათ კიდეც და დაფასებულებიც არიან, ამიტომ ცხოვრებამ მოიტანა პროფესიული განათლების საჭიროება და გაფართოება.

**– ბოლო წლებში ილია მართლის სახელობის ყვარლის სასულიერო გიმნაზიაში მოგიწიათ მუშაობა, ახლახანს 20 წლის იუბილე იზეიმეთ, სხვა სკოლებთან შედარებით სწავლების რა განსხვავებული მეთოდებია, რომ მოსწავლემ უკეთესი ცოდნა მიიღოს?**

– წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია იყო ჩემი ხანგრძლივი და წარმატებული მუშაობის ბოლო აკორდი. აქ მუშაობა ჩემთვის ძნელიც იყო და ადვილიც. მრავალწლიანი პარტიული სტაჟის მქონე მუშაკი სრულიად სხვა გარემოში აღმოვჩნდი, მაგრამ მიტროპოლიტი სერგის შეფასებით შევძელი იმ ამოცანის შესრულება, რაც გიმნაზიის წინაშე იდგა.

გიმნაზიაში ისწავლება ყველა საგანი, რაც ისწავლება საჯარო სკოლაში, მაგრამ აქ ისწავლება ერთი ყველაზე საპატიო საგანი „უფლის სიყვარული".

განსაკუთრებულ მეთოდზე მოგახსენებთ. 20 წლის განმავლობაში გაკვეთილების დაწყების წინ, დიდ დარბაზში ისმის 200 მოსწავლის ლოცვა „მამაო, ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა და ა.შ. ეს ლოცვა გიმნაზიის ჰიმნიცაა, გერბიც და სიმბოლოც.

მუდამ მტრიანი). დიდი შრომით და ღვაწლით მოპოვებული ნეკრესის ეპარქიის წარმატება და ავტორიტეტი ყველასათვის ცნობილია. შურდათ, მაგრამ ვერავინ გაბედა ეპარქიისთვის თავისი მსახვრალი ხელი მიეკარებინა. ვერ გაბედა იმიტომ, რომ ნეკრესის ეპარქიას სათავეში უდგას ძლიერი მართლმადიდებელი, სიკეთის მთესველი, გაჭირვებულის დამხმარე, პრინციპული, უშიშარი, მართალი, შრომისმოყვარე, აღმშენებელი პიროვნება – მიტროპოლიტი სერგი.

მინდა გითხრათ, რომ მიტროპოლიტი სერგის ნათლული ვარ, 65 წლის მოვინათლე, ეს ლამაზი რიტუალი ჩემი მრავალფეროვანი ცხოვრების ნათელი წერტილია.

მეუფე სერგის, პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეებს და ყველა თანამშრომელს დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ.

ბატონო ალექსანდრე, ჩვენ ათი წელი ვიმუშავეთ ერთად პარტიის რაიკომში. თქვენ იდეოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობდით, დღემდე აგრძელებთ იდეოლოგიურ მუშაობას, გეკავათ პარტიის რაიკომის მეორე მდივნის თანამდებობა, წლებია ხელმძღვანელობთ გაზეთ „ყვარელს". გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ წარმატებას და წინსვლას, ოჯახურ ბედნიერებას.

ვისურვებდი გაზეთი „ყვარელი" იყოს ჩვენი მოსახლეობის სიხარულის და წარმატებების მაცნე.



უნდა აღვნიშნო, რომ გიმნაზიის მოსწავლე იმყოფება საუკეთესო გარემოცვაში, იზრდება ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით, მშვიდ და თბილ გარემოში. ვერ გადმოგცემთ სიტყვებით რა საინტერესო ცხოვრებაა, ეს არის მოსწავლისათვის ყველაზე საიმედო ოჯახი. მოსწავლის ჯანმრთელობაზე, კვებაზე, მათი ოჯახების კეთილდღეობაზე მამაშვილურად ზრუნავს მეუფე სერგი.

**– სასულიერო გიმნაზიის დაარსება და სადღეისო წარმატებები ჰერეთისა და ნეკრესის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე სერგის უდიდესი შრომის ნაყოფია, თქვენ როგორ შეაფასებთ მის მოღვაწეობას?**

– ოცი წლის წინ, ყვარელში სკოლა ინტერნატის დანგრეულ მატერიალურ ტექნიკურ ბაზაზე პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მიტროპოლიტი სერგის ძალისხმევით, შეიქმნა მშვენიერი სამყარო, ეს სამყარო იყო ყვარელში მცხოვრები პატარა ადამიანებით დაკომპლექტებული დაწესებულება, რომელსაც დაერქვა წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია.

ოცი წლის მანძილზე, საინტერესო შემოქმედებითი საქმიანობა მიმდინარეობს. აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ, რაიონულ და საპატრიარქოს მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას უზრუნველყოფს გიმნაზიის ძლიერი, მშვიდი, მცოდნე პედაგოგიური კოლექტივი.

ნეკრესის ეპარქიას საპატრიარქოში თვალსაჩინო ადგილი უკავია. ეპარქიაში შეიქმნა სასულიერო სემინარია, რომლის მსმენელიც ბაკალავრის დიპლომს იღებს.

ნეკრესის ეპარქიის წარმატება ზოგისთვის სასიამოვნო არ აღმოჩნდა, გაჩნდა ფარული შური (ხომ ვიცით კარგია

**– თქვენი მეუღლე, ბატონი რობერტ ბეჟანიშვილი გამორჩეული ინტელექტის მქონე პიროვნებაა, რომელმაც დიდხანს იმუშავა გაზეთ „ყვარლის" რედაქციაში, დღეს რას საქმიანობს?**

– ჩემი მეუღლე რობერტი ბეჟანიშვილი პენსიონერია და როგორც ყველა პენსიონერი ოჯახში შრომობს, გაზეთ „ყვარელში" მუშაობა მისთვის ტკბილად მოსაგონარია. ხარობს შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების ჯანმრთელობით და სიცოცხლით.

**– ახალი წელი სადაცაა კარს შემოაღებს, რის ასრულებას ისურვებდით ქალაბატონო ლანი?**

– ყვარლის მოსახლეობას ვულოცავ დამდეგ ახალ წელს, ვუსურვებ მშვიდობიან ცხოვრებას, დედებს შვილების ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ქვეყანაში იყოს სიმშვიდე, აღარ გვესმოდეს სიძულვილის ენით ერთმანეთის შეურაცხყოფა, წუთისოფელი ძალიან მოკლეა. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ვიცით, რომ ყველაზე დიდი მალამო ადამიანისათვის ადამიანია. მინდა ჩვენმა მშვენიერმა, ლამაზმა ახალგაზრდობამ მშვიდობიან და გამთლიანებულ საქართველოში იცხოვროს.

სურვილი მაქვს ერთხელ კიდევ, სულ პატარა დროით საზოგადოებაში აქტიური ცხოვრებით ვიცხოვრო, რა ვქნა, არ გაგიკვირდეთ, მინდა კიდევ გამოვცადო ჩემი შესძლებლობები, ვფიქრობ შემიძლია.

**– ჩვენც გილოცავთ ქალბატონო ლანი, მრავალს დაესწარით, გაიხარეთ შვილებში და შვილიშვილებში, უფალი გფარავდეთ.**

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს პირობიან აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990144093337519

№ 1090 25 / დეკემბერი / 2019 წ.

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო (პირობიანი) აუქციონის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის #4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" თანახმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს პირობიანი საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს გივი ზაუტაშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 25 დეკემბრის #1089 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის „საპრივატიზაციო და სააუქციონო" კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

CITY HALL OF KVARELI MUNICIPALITY 241578574

ხელმოწერილია/

| ლოტის # | ქონების დასახელება და მისამართი | არასასოფლო-სამეურნეო დან. მიწის ფართობი (კვ.მ.) | შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილ. ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ს. ახალსოფელი | 666 წილობრივად | 444 | 57.02.03.171.021.503 | 44700 | 8940 | 2235 | 50 |

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

მყიდველი ვალდებულია 4 წლის განმავლობაში ყვარლის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების გარეშე არ შეცვალოს მისი დანიშნულება (სპორტული, საჭიდაო დარბაზი).

1.მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს

საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა

გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563313

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე" – ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია, მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები(საჯარო აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებული მოთხოვნები და მოთხოვნისთანავე, მათი შესრულების თაობაზე წარუდგინოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ქონების მმართველს.

6. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელი ნაწილის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განსახორციელებელი ინვესტიციის დარჩენილი ნაწილის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%-ს.

7. ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მუნიციპალიტეტის ქონების მმართველის მიერ განიხილება საჯარო აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად.

8. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია გადაწყვიტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი, აგრეთვე პრივატიზებული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა.

9. აუქციონში გამარჯვებული პირი პირობებიანი საჯარო აუქციონის შემთხვევაში საჯარო აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, იხდის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრულ ღირებულებას. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა, ოქმსა და ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ საჯარო აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს ან/ და საგარანტიო თანხას/ბეს და სრული ღირებულების ოდენობას შორის სხვაობას.

10. აუქციონი ტარდება 2020 წლის 28 იანვარს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2019 წლის 30 დეკემბრიდან 2020 წლის 28 იანვრის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

11. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი № 595 903 332 ; №577 062 844; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

# მაკა საფაროვა – აბაშიძე (1860-1940)



მარიამ (მაკო) საფაროვა 1860 წლის 18 თებერვალს, თელავში დაიბადა. მამამისი, მიხეილ სოლომონის ძე საფაროვი, გადამდგარი პრაპორშიკი, გაღარიბებული ქართველი აზნაური იყო. იგი ოჯახთან ერთად გავაზში, ყვარელთან ახლოს ცხოვრობდა. მისი ბავშვობა აქტიურად არის დაკავშირებული ყვარელთან. მას მაკოს დედასთან, სალომე ივანიშვილთან, მიყოლებით ოთხი შვილი კიდევ შეეძინა. ამის გამო, სამი წლის მაკო აღსაზრდელად ბებიამ, ნინო ჭავჭავაძისამ წაიყვანა. ნინოს მეორე ქმარი სოლომონ ჭავჭავაძე, იმ დროს კახეთში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და მდიდარი მემამულე იყო. მაკო ფუფუნებაში გაიზარდა, გუვერნანტებისა და მსახურების გარემოცვაში. 7 წლის მაკოს დედა გარდაეცვალა. წყვეტილად მიღებულმა განათლებამ, ოჯახში წამოჭრილმა ბევრმა პრობლემამ მაკო რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. ამას ისიც დაემატა, რომ 15 წლისას დიდედა ნინომ აქციზის სამმართველოს ხანშიშესულ მოხელე ვინმე თავად არღუთინსკიზე გათხოვება დაუპირა. რასაკვირველია, მაკო ამ ქორწინების სასტიკი წინააღმდეგი იყო, და მან იმდენი მოახერხა, რომ ნიშნობა ჩაშალა და საქმროს ქონწინებაზე უარი თავადვე ათქმევინა. მომდევნო პერიოდში, ამგვარი უარით მაკომ არაერთი მთხოვნელი გაისტუმრა.

მალე ჭავჭავაძეების ოჯახი თბილისში გადაბარგდა. სწორედ აქედან იწყება მაკოს ცხოვრების ის პერიოდი, რომელმაც მისი მომავალზე უშუალო გავლენა იქონია. ჭავჭავაძეების ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ რაფიელ ერისთავი, აკაკი, სერგეი მესხი, ილია, გიორგი წერეთელი და სხვები. წვეულებებზე მაკო სტუმართათვის დაუღალავად მღეროდა და ცეკვავდა. აკაკი წერეთელი და სერგეი მესხი იმთავითვე მოიხიბლნენ მისი არტისტული ტალანტით, მაგრამ იმ დროისთვის ქალის სცენაზე დგომა საზოგადოებაში დიდ სირცხვილად მიიჩნეოდა. ამიტომაც, დიდედა ნინოს და მაკოს დეიდებს ამის გაგონებაც არ სურდათ. დიდი შრომა და ჯაფა გასწია აკაკიმ, რომ მაკოს ოჯახის წევრები მის თეატრში წაყვანაზე დაეთანხმებინა. საბოლოოდ, ნინოც გატყდა: „რაც გინდათ ის ქენით, ოღონს ეს კი ვიცი, ახალგაზრდა ქალს სახელი გაუტყდება და პატრონი აღარ ეყოლება. რადგან არ იშლით და განიზრახეთ მისი გაუბედურება, გათხოვებაც თქვენ იკისრეთ და თანახმა ვიქნებიო“, – აღმოხდენია სასოწარკვეთილს.

მაკოს პირველი როლი კლოდინა იყო მოლიერის „ჟორჟ დანდენიდან“. 1878 წლის 27 ოქტომბერს მისმა დებიუტმა იმდენად წარმატებულად ჩაიარა, რომ ამაზე ვერც იოცნებებდა. გოგონა არა მარტო გარეგნულად იყო შემკული, არამედ ხმა და დიქციაც საუცხოო აღმოაჩნდა. მქუხარე ოვაციებმა იგი საბოლოოდ დაასავადა „სცენის ავადმყოფობით“. 1879 წლის მაისში, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დახმარებით, შეიქმნა პირველი ქართული პროფესიული თეატრალური დასი, რომლის წევრებსაც უკვე ხელფასები დაენიშნათ. მაკოს ხელფასი 50 მანეთით განისაზღვრებოდა. თავისი შემოქმედების დასაწყისშივე, მაკოს ტალანტმა ილია ჭავჭავაძის აღტაცება დაიმსახურა. „ივერიაში“ ილია წერდა: „აქტიორების ღირსებაზე ჯერ არა ითქმის რა, ჯერ უჩვევნი არიან და, იმედია, რომ გაიწვრთნებიან, ხოლო წარმომადგენელთა შორის ერთია, რომლისთვისაც ღმერთს მიუმადლებია დიდი ნიჭი. მაგ ნიჭის პატრონი საფაროვის ქალია. ეს ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენი სცენის თვალი იქნება. ამ აზრისანი არიან ყველანი, ვისაც კი საფაროვის ქალი სცენაზე უნახავს. ყოველ სიკეთესთან ერთად, ერთი სიკეთეც სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიკეთე ეხლანდელ დროში, როცა ეს ქართული აღარავის ახსოვს, მეტად ძვირფასი რამ არის“.

მაკოს დევიზი იყო: „არავის უსწავლებია, მე თვითონ“.... მას არ სურდა, რომ მის თამაშში მიმბაძველობა დაენახათ. ერთხელ დავით ერისთავი მას ჩააცივდა, უსათუოდ აქტრისა იაბლოჩკინა ნახე ჟოზეფინას როლში, ვიდრე ამ პიესას ქართულად დავდგამდეთო, მაგრამ მაკომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – შეიძლება იაბლოჩკინამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს თავისი მხატვრული თამაშით და უნებურად მისი მიბაძვა დავიწყო, რადგან ეს ძალიან კარგად მეხერხება, მე კი მსურს, რომ საკუთარი ჟოზეფინა შევქმნა, როგორც იგი მესმის და როგორც შევძლებო.

იმავე სეზონში, 1879 წლის 13 ივნისს, მისი ბენეფისიც დაინიშნა, სადაც მოლიერის „იძულებით ავადმყოფში“ ტუანეტის როლი უბადლოდ შეასრულა. ტრადიციისამებრ, მსახიობს თავის ბენეფისზე მაყურებელი ძვირფას ნივთებს ჩუქნიდა. მაკოს ოცნება იყო, ოქროს საათი მიეღო. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც უამრავ საჩუქარში ოქროს მოვარაყებული საათიც აღმოაჩინა. გახარებულმა ყველა საჩუქარი შინ წაიღო და როდესაც მთელი ავლა-დიდება ხალიჩაზე გაშალა და დიდედას დასაძახებლად გაეშურა, რათა მისთვის თავისი წარმატების შესახებ ეხარებინა.

ნინო მაკოს ლანძღვა-გინებით შეეგება და ოჯახისა და მამის შემარცხვენელი უწოდა. როგორც ჩანს, იგი მიხეილს შვილის წინააღმდეგ დიდი ხნის მანძილზე ამხედრებდა: „შვილო, მიხეილ! დიდი უბედურება და სირცხვილი დაატყდა თავს ჩვენს ოჯახს. ვიცი, შვილო, ეს ამბავი თავზარს დაგცემს, მაგრამ როდემდე დაგიმალო: შენს ქალბატონს თავი ველარ დავუჭირე და გავარდა – ვაი შენს და ჩემს მოსწრებას – გავარდა და პირდაპირ ტეატრში შევარდა!“. საფაროვის წერილმაც არ დააყოვნა: „მამა გიცხონდება, კარგ ხელობას დასგომიხარ, თუ ღამეში სამოც თუმანს იღებ. ეგ რა მამაძაღლი სამსახურია ისეთი, რომ ღამით არის და არა დღისით? თუ მაინცა და მაინც სამსახური გინდოდა, აქ არ ვიყავი? ოცი წელიწადია ოტსტავკაში ვარ და სამსახურს დავეძებ, მე ვერ ჩამრიცხავდი? თავი დაანებე მაგ სამსახურს, თორემ თუ ჩამოვედი, მამაჩემი სოლომონის სული ნუ წამიწყდება, სულ მათრახის წვერით აგაჭრელებ!“, – სწერდა გააფთრებული მამა მაკოს.

მაკომ დასახელებული წერილი სწორედ სცენაზე გასვლის წინ წაიკითხა. გუნება მოეწამლა, ხასიათი წაუხდა, მაგრამ ერთი რამ მტკიცედ გადაწყვიტა – სცენას არასოდეს, არავისა და არაფრის გამო არ მიატოვებდა. მოგვიანებით, ამ ამბიდან 9 წლის შემდეგ, მამა მაკოს შეურიგდა და მისი საქმიანობის „წესიერებაშიც“ დარწმუნდა.

დასის პირველი წევრები იყვნენ: ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, მარიამ ყიფიანი ქართველიშვილი, ბაბო კორინთელი-ყიფშიძე, ავქსენტი ცაგარელი, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, ზაალ მაჩაბელი. ქალების უკმარისობის გამო ამ უკანასკნელს ხშირად ქალის როლების შესრულებაც უწევდა. ნიჭიერებითა და კრეატიულობით ყველაზე გამორჩეულ ვასო აბაშიძეს მაკო გულში დანახვისთანავე ჩაუვარდა. მან ბევრჯერ შესთავაზა მას ცოლობა, მაგრამ მუდამ უარს იღებდა. მაკო ვასოს მიმართ გულგრილი სულაც არ ყოფილა, მაგრამ თავისი დაუმორჩილებელი ბუნება ყოველ ჯერზე ეწინააღმდეგებოდა და ქორწინების უღელში შებმას აპროტესტებდა. ერთ-ერთი ასეთი შეთავაზებისას, მორიგი უარის მიღების შემდეგ, ვასო მტკვრისკენ გაემართა. მაკოს ქედმაღალი ბუნება ამ შემთხვევამ საბოლოოდ მოდრიკა. იგი ვასოს დაეწია და ცოლობაზე თანხმობა განუცხადა. ქორწილს, რომელიც ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში გადაიხადეს, დიდძალი ხალხი დაესწრო. 1881 წლის 29 მარტს მათ გოგონა შეეძინათ, რომელსაც ანასტასია (ტასო) დაარქვეს. ტასო აბაშიძემ მშობლების პროფესია აირჩია და ცნობილი მსახიობი გახდა.

თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, მაკო საფაროვამ უამრავი სცენური სახე შექმნა. მათ შორის მაყურებელში განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა ფაიხოში („სამშობლო“), ნელი („შეშლილი“), გლეხის გოგო ლიზა („რაც გინახავს – ველარ ნახავ“), მაშუა გოგო („ციმბირელი“), კლოდინა, ტუანეტა (მოლიერის კომედიები), ნატალია („ხათაბალა“), ეფემია („პეპო“), ლუიზა („ორი ობოლი“), ოფელია, კორდელია, დეზდემონა (შექსპირის პიესები), თალიკო („ბაიყუში“), გიმნაზიელი გოგო („ბნელ ოთახში“) და სხვ.

1883 წელს, როდესაც თბილისს ცნობილი რუსი მწერალი ალექსანდრ ოსტროვსკი ეწვია, რომელმაც თავისი პიესა „შემოსავლიანი ადგილი“ ქართული თეატრალური დასის შესრულებით იხილა. პიესაში მაკო პოლინას როლს ასრულებდა. სპექტაკლის დასრულების შემდეგ აღტაცებულმა ოსტროვსკიმ მაკოს უთხრა, სანამ თქვენ ცოცხალი ხართ, არც ჩემი პოლინა არ მოკვდებაო.

მაკო საფაროვას მოღვაწეობის ბოლო პერიოდი სამწუხარო ამბავმა გაამუქა – უბრალო გაციების დროს ყურის ანთება დაემართა, მაგრამ სათანადო ყურადღების მიუქცევლობის გამო, დაავადება იმდენად გაურთულდა, რომ საბოლოოდ მისი სიყრუე გამოიწვია. მაკოს არც სუფლიორის და არც პარტნიორის ხმა აღარ ესმოდა. ამის გამო, იგი იძულებული გახდა, სცენისთვის თავი დაენებებინა.

1912 წლის იანვარში მაკოს სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადეს.1923 წლის 2 იანვარს, კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“ (ზ. ანტონოვი) იგი უკანასკნელად გამოვიდა რუსთაველის დრამატული თეატრის სცენაზე.

მაკო საფაროვა-აბაშიძე გარდაიცვალა 1940 წლის 11 დეკემბერს, დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

**ეკატერინე ავაზაშვილი**
**პედაგოგი**

# როგორ მოვირჩინოთ დამსკდარი ქუსლები

კანის სიმშრალე და დახეთქილი ქუსლები დღეს ძალიან ბევრი მანდილოსანის (და არა, მარტო) პრობლემაა. მათთვის, ვისაც აწუხებს დამსკდარი ქუსლების პრობლემა ცხადია, რომ გარდა ესთეთიკური დეფექტისა, თან ახლავს დამახასიათებელი ტკივილები. ძირითადად, ქუსლები მაშინ სკდება, როცა კანი მეტისმეტად შრება და ელასტიკურობას კარგავს. ნახეთქების გაჩენა შეიძლება გამოიწვიოს კანის არათანაბარმა გადაჭიმვამ – ზაფხულში ტენის გამო კანის ზედაპირული შრე იჭიმება, ხოლო ზამთარში სკდება. ქუსლები ხშირად აქვთ დახეთქილი იმ ადამიანებს, რომელთაც აწუხებთ კანის დაავადებები, ენდოკრინული დარღვევები. გარდა ამისა, ნახეთქები შეიძლება იყოს ავიტამინოზის, შაქრიანი დიაბეტისა და გასტრიტის ნიშანი. ცივ სეზონზე მაპროვოცირებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს სინთეტიკური წინდებისა და მოუხერხებელი ფეხსაცმლის ტარება, ხოლო საზაფხულო ღია ფეხსაცმელში ფეხები საერთოდ დაუცველი რჩება.

პრობლემა რთულად მოსაგვარებელია, მაგრამ მისი მოგვარება მაინც შეიძლება. ამისთვის საჭიროა სამკურნალო პროცედურების რეგულარული ჩატარება და დამატენიანებელი საშუალებების გამოყენება. უწინარეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, რამ გამოიწვია ქუსლების დახეთქვა, ამ კითხვით კი უმჯობესია დერმატოლოგს მივმართოთ, მსუბუქი ფორმების შემთხვევაში კი შეგიძლიათ თვითმკურნალობა სცადოთ.

მინდა გასწავლოთ რამოდენიმე მარტივი, ფეხის დახეთქილი ქუსლების სამკურნალო პროცედურა სახლის პირობებში:

1. დახეთქილი ქუსლების სამკურნალო ძირითადი საშუალებაა ვაზელინზე დამზადებული პრეპარატები. სუფთა ვაზელინი არბილებს კანს და ხელს უწყობს მის დატენიანებას. ძილის წინ ფეხები დაიბანეთ ბორის მჟავას ხსნარით შეზავებული ცხელი წყლით, 1 ჩ. კ. ბორის მჟავა 1 ლ წყალზე ფარდობითობით, შეიმშრალეთ, ნახეთქებზე წაისვით ვაზელინი და დაიკარით ლეიკოპლასტირი, გაიჩერეთ დილამდე. პროცედურა მეორდება ყოველ საღამოს მანამდე, სანამ ნახეთქები არ გაქრება.

2. აიღეთ თანაბარი რაოდენობის ფუტკრის ცვილი, პარაფინი და სალიცილის მჟავა, ცეცხლზე შეათბეთ და ერთმანეთში აურიეთ. მიღებული ნარევი ბამბის ტამპონით დაიდეთ ქუსლზე, გააშრეთ და ზემოდან დაადეთ მეორე შრე. 2-3 შრე საკმარისია. გამშრალი აპკი კარგად გადაიხვიეთ დოლბანდით. 24 საათის შემდეგ გაიკეთეთ საპნიანი და სოდიანი წყლის აბაზანა, მოიცილეთ ცვილის აპკი და ქუსლი პემზით დაიმუშავეთ. ეს პროცედურა ტარდება რამდენჯერმე.

3. ღრმა ნახეთქების ინფიცირების თავიდან ასაცილებლად დახეთქილი ქუსლები ანტიბიოტიკის შემცველი მალამოთი დაიმუშავეთ, წაისვით და წრიული მოძრაობებით დაიზილეთ. საერთოდ, ქუსლების მკურნალობისას უპირატესობა მიანიჭეთ იმ კრემებს, რომლებიც დინდგელს ან და ვიტამინებს შეიცავს. მკურნალობის გარეშე ქუსლის ნახეთქებში სოკო ჩაჯდება. ამის თავიდან ასაცილებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ სოკოს საწინააღმდეგო მალამო – კლოტრიმაზოლი, მიკოსეპტინი ან რომელიმე სხვა.

4. დაიწყეთ თბილი წყლის პროცედურებით. სოდიანი აბაზანები კარგად არბილებს კანს, არც სკრაბი დაივიწყოთ: დაორთქლილი ფეხები კარგად გაიხეხეთ პემზით ან სპეციალური ჯაგრისით. გარქოვანებული კანის დროულად მოცილება აუცილებელია. დახეთქილი ქუსლები დარბილდება და გლუვი გახდება, თუ ყოველდღე, თბილი აბაზანის შემდეგ, ნახეთქებში შეიზელთ ზეითუნის ზეთს. არაჩვეულებრივია დროდადრო კანის ცხიმოვანი კრემით დაზელა. ასეთი მასაჟი გააძლიერებს ქუსლებსა და ტერფებში სისხლის მომოქცევას და ხელს შეუწყობს ნახეთქების შეხორცებას. ეს პროცედურები ჩაიტარეთ ძილის წინ, მერე კი ბამბის წინდები ამოიცვით.

5. მოხარშეთ კარტოფილი კანიანად. მიისრისეთ ქუსლებზე თბილი მასა. კარგი იქნება თუ შეძლებთ და ნახევარი საათს მაინც გაიჩერებთ ფეხზე. გაიწმინდეთ შემდეგ ნაჭრით და წაისვით ფეხის ცხიმიანი კრემი. იმეორეთ აღნიშნული პროცედურა 3-5 დღე.

6. ქუსლის ნახეთქები ძალიან მალე მოშუშდება, თუ ყოველდღიურად გამოიყენებთ კულმუხოს ფესვების საფენებს ან ცხელ კომპრესებს. ნახეთქების საუკეთესო წამალია ქორფა კომბოსტოს ფოთოლი – მიიდეთ ღამით ქუსლებზე და გადაიხვიეთ, ხოლო დილით ნახეთქებზე წაისვით ნებისმიერი დამარბილებელი კრემი.

7. ზედაპირულ ნახეთქებს მოაშუშებს გახეხილი ვაშლისა და ხახვის საფენები – აიღეთ წვნიანი ვაშლი ან ხახვი და გახეხეთ წვრილად. მიღებული პიურე დააფინეთ უხეშ ქსოვილზე, მიიდეთ ქუსლზე და დოლბანდით გადაიხვიეთ. იმკურნალეთ რამდენიმე დღე. იმავე მეთოდით შეიძლება ღრმა ნახეთქების მკურნალობაც, ოღონდ უმი პომიდვრით.

# გერმანელი ექსპერტები აღფრთოვანებულები არიან ქართული ღვინით



გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში ქართული ღვინის პროფესიონალური დეგუსტაცია გაიმართა, რომლისთვისაც საფერავის ყურძნის ჯიშისგან სხვადასხვა ტექნოლოგიით წარმოებული 20-მდე ღვინო სპეციალურად შეირჩა.

პრეზენტაციას გერმანული ღვინის ჟურნალის „VINUM“-ის მთავარი რედაქტორი და ღვინის ცნობილი ექსპერტი რუდოლფ კნოლი უძღვებოდა. ღონისძიებას ადგილობრივი სომელიეები, დარგის ექსპერტები, იმპორტიორები და მედია-ექსპერტები ესწრებოდნენ.

პრეზენტაცია ასოციაცია „ქართული ღვინოს“ ინიციატივითა და ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით გაიმართა.

რუდოლფ კნოლის შეფასებით, გერმანიაში ქართული ღვინის დეგუსტაცია ძალიან მნიშვნელოვანია.

„გერმანია არის ღვინის ქვეყანა და ძალიან კარგი ბაზარი. იმ ქვეყნებს, რომლებსაც უნდათ გერმანიაში შემოსვლა და თავისი თავის წარდგენა, არა მხოლოდ კარგი ღვინო უნდა წარადგინონ, არამედ ძალიან კარგი პრეზენტაციაც უნდა გაუკეთონ საკუთარ ქვეყანას.

საქართველოს საამისოდ ყველანაირი შანსი აქვს. დღეს წარმოდგენილი საზოგადოება იყო მედიის სფერო და სომელიეები, ყველა იყო აღფრთოვანებული, იმით რაც გასინჯეს და მოისმინეს. ძალიან მოეწონათ საფერავის ჯიში, რომელსაც გერმანიაში არ იცნობენ.

საფერავს ძალიან დიდი პოტენციალი აქვს გერმანულ ბაზარზე, თავისი უძველესი ისტორიიდან გამომდინარე. ვფიქრობ რომ საქართველო თუ განაგრძობს თავისი ქვეყნის ასეთ პრეზენტაციას ევროპის ბაზარზე, ეს ძალიან წარმატებული იქნება მთელი მსოფლიოს მასშტაბით“ – აღნიშნა გერმანელმა ღვინის ექსპერტმა.

გერმანია ქართული ღვინის მზარდ და მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს. მიმდინარე წლის 11 თვის მონაცემებით, საქართველოდან გერმანიაში ექსპორტირებულია 615 ათასზე მეტი ბოთლი ღვინო, რაც 40%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

agrokavkaz.ge

# რას გვირჩევს სკოლის ექიმი

*შარშან განათლების სამინისტრომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა აჭარისა, სკოლის ექიმის საქმიანობის საპილოტე პროგრამა განახორციელა. პროგრამამ 100 საჯარო სკოლა მოიცვა. ამ სკოლებში დღეს ბავშვებს ექიმი ემსახურება. ამის წყალობით მასწავლებლებიც, მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც თავს უფრო მშვიდად გრძნობენ.*

*მედიცინის დოქტორი, პედიატრი ნელი ბადრიაშვილი, თბილისის 169-ე სკოლის ექიმია. განვლილი ერთი წლის განმავლობაში მან უკეთ დაინახა სასკოლო ასაკის ბავშვების ჯანმრთელობისა თუ ცხოვრების წესთან დაკავშირებული პრობლემები. ყოველივე ამასთან ერთად ის სკოლის ექიმის ფუნქციებსა და ჯანსაღი თაობის აღზრდის პრინციპებზეც გვესაუბრება.*

**– ქალბატონო ნელი, რა ევალება სკოლის ექიმს?**

– სკოლის ექიმის უმთავრესი მოვალეობაა იმ სანიტარიულ-ჰიგიენური და სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებას, ფიზიკური განვითარების სრულყოფას და ამით მოზარდი თაობის სრულფასოვანი სწავლისა და ჰარმონიული განვითარების საფუძველს ქმნის.

ჩემი და ალბათ ყველა სკოლის ექიმის სამუშაო დღე სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმებით იწყება. ვამოწმებ საკლასო ოთახების სისუფთავეს, მათ განათებას... ვმონაწილეობ სკოლის დღის რეჟიმის შედგენაში. თვალყურს ვადევნებ, რომ ბავშვებმა გაკვეთილებს შორის ფიზიკურად იაქტიურონ, მათი ასაკისა და ინდივიდუალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მშობლებს რეკომენდაციებს ვაძლევ სკოლის გარეთ დღის რეჟიმის დაგეგმვის შესახებ, ვუხსნი პედაგოგებს, როგორ უნდა ისხდნენ ბავშვები მერხებთან, ვამოწმებ მერხების შესაბამისობას მათ ასაკსა და სიმაღლესთან.

ეტაპობრივად ყველა კლასში ვატარებ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს. ეს გულისხმობს ფიზიკური მონაცემების (სიმაღლის, წონის, გულმკერდის გარშემოწერილობის) შემოწმებას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოსმენით გამოკვლევას, ტანადობის შემოწმებას და სკოლიოზის, ტერფმრუდობის, ბრტყელტერფიანობის აღმოჩენას, მხედველობის დარღვევების გამოვლენას. არის შემთხვევები, როდესაც სერიოზული დარღვევის მქონე ბავშვების მშობლებს ამის თაობაზე წარმოდგენა არ აქვთ.

ნებისმიერი დარღვევის აღმოჩენისას ინფორმაციას ვაწვდი პედაგოგსაც და მშობელსაც. პედაგოგს ვაფრთხილებ, ახლომხედველი ბავშვი წინ დასვას.

ყურადღებას ვამახვილებ ბავშვებზე, რომლებიც ხშირად ავადმყოფობენ. მათ მშობლებს ვურჩევ, ბავშვს გრიპის სეზონური ვაქცინაცია ჩაუტარონ.

აღრიცხვაზე მყავს ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებიც. დამრიგებლებმა იციან, რომ ყველა ასეთი მოსწავლის შესახებ უნდა მომაწოდონ სამედიცინო დასკვნა, რათა მოულოდნელი შემთხვევებისთვის მზად ვიყო. დროდადრო ვამოწმებ, როგორ მიდის ასეთი დაავადებები. თუ რამე გაუთვალისწინებელი მოხდა, ვეხმარები.

**– ტარდება თუ არა იმუნიზაცია სკოლაში?**

– სკოლაში არა, მაგრამ ბავშვებს სამედიცინო ფორმების მოტანას ვთხოვ, ვამოწმებ იმუნიზაციის მდგომარეობას და შესაბამის მითითებებს ვაძლევ. თუ მოსწავლეს საშიში გადამდები ინფექციური დაავადება აღმოვუჩინე, უნდა ვაცნობო რაიონის ეპიდემიოლოგს, რომელიც სათანადო ზომებს მიიღებს.

**– უმეტესად რასთან გაქვთ საქმე?**

– ტრავმებსა და მიკროტრავმებთან – ბავშვები აქტიურად მოძრაობენ, დარბიან, ზოგს ფეხი უბრუნდება, ზოგი იქცევა, ზოგი რამეს ეჯახება... ზოგჯერ მოსწავლეს სიცხე უწევს, თავი ან მუცელი სტკივდება, ფაღარათი ეწყება, გული ერევა... პირველ დახმარებას ვუწევ, მერე კი მშობელს ვუკავშირდები, რომ ბავშვი სახლში ან საავადმყოფოში წაიყვანონ. თუ პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ მისი მოგვარება ჩემს შესაძლებლობებს აღემატება, სასწრაფო დახმარებას ვიძახებ.

მძიმე ტრავმები იშვიათია, რადგან სკოლაში ვითარებას მანდატურებიც და პედაგოგებიც სათანადოდ აკონტროლებენ.

**– რა პრობლემები აქვთ დღევანდელ მოსწავლეებს?**

– მოსწავლეობის წლები ძალიან მნიშვნელოვანია ჯანმრთელ, ზრდასრულ პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის. ჩვენი ეპოქის ბავშვების მთავარი პრობლემები ის არის, რომ ძალიან ცოტას აქტიურობენ ფიზიკურად და გადატვირთული რეჟიმის გამო ხშირად ვერ ახერხებენ ბალანსირებულ კვებას.

შეუძლებელია, ბავშვი კომპიუტერთან არ ურთიერთობდეს, მაგრამ უნდა მოვახერხოთ, რომ ის ბავშვის მეგობარი იყოს და არა მტერი, მივდიოთ სპეციალისტთა რჩევებს, რათა კომპიუტერის უარყოფითი გავლენა მინიმუმამდე დავიყვანოთ და ბავშვმა მისგან სარგებელი მეტი მიიღოს, ვიდრე ზიანი.

დღეს, მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში, გონებრივი შრომა სჭარბობს ფიზიკურს. შეინიშნება პერსპექტიული განათლებისადმი სწრაფვა და ეს მარათონი პირველი კლასიდანვე იწყება. მშობლებისთვისაც და ბავშვებისთვისაც სპორტულ აღზრდაზე მეტად სხვადასხვა დისციპლინის შესწავლაა პრიორიტეტული. ზოგი ბავშვი ფინანსური პრობლემების გამო ვერ მისდევს სპორტს. არადა ფიზიკური განვითარების შეფერხება სასწავლო პროცესის წარმატებასაც აფერხებს. ამიტომ ფიზიკური აქტიურობის პროპაგანდა ჩვენი: ექიმების, პედაგოგების, მშობლების – საერთო ამოცანა უნდა იყოს.

ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი მისწრაფება ბავშვებს ადრეულ ასაკშივე უნდა გაუღვივოს ოჯახმა, სკოლამ კი სისტემატური მუშაობით განამტკიცოს ეს სწრაფვა. მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ფიზიკური აქტივობა და სპორტული დატვირთვა საჭიროა არა მარტო სწავლის პერიოდში, არამედ არდადეგებსა და უქმეებზეც.

**– თანამედროვე ბავშვები მართლაც ბევრ დროს ატარებენ კომპიუტერთან. სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამან?**

– კომპიუტერთან ურთიერთობას თავისი დადებითი მხარეებიც აქვს, მაგრამ ხშირად ბავშვები ვერ ზომავენ და ნებადართულზე მეტ დროს უთმობენ კომპიუტერს. მოდი, განვიხილოთ ამის უარყოფითი ასპექტები:

* დიდხანს ჯდომისას იძაბება კისრის, თავის, ხელის, მხრების კუნთები, იტვირთება ხერხემალი, ხელსაყრელი პირობები იქმნება სკოლიოზის განვითარებისთვის.

* ნაკლებად მოძრავი ცხოვრება სიმსუქნის მიზეზად იქცევა.

* მიჩნეულია, რომ თანამედროვე მონიტორები ჯანმრთელობისთვის არ არის მავნე, თუმცა მის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას განსაზღვრული უარყოფითი გავლენა მაინც აქვს.

* ეკრანის ხანგრძლივი ყურება ძლიერ ტვირთავს მხედველობას – თვალები რეაგირებენ ტექსტისა და სურათების ვიბრაციაზე, რაც თანდათან მხედველობით აღქმაზე აისახება.

* მტევნის სახსრების ჭარბი დატვირთვა მათი შემადგენელი ელემენტების დაზიანებას იწვევს.

* ბავშვებზე უარყოფითად მოქმედებს ინფორმაციის დაკარგვით გამოწვეული სტრესი.

კიდევ ერთი პრობლემაა კომპიუტერზე დაგროვილი მტვერი, ბაქტერიები და მიკრობები, რომლებმაც შესაძლოა ალერგიასა და სხვა დაავადებებს გაუწიოს პროვოცირება.

საყურადღებოა თამაშებზე დამოკიდებულებაც. მოზრდილისგან განსხვავებით, ბავშვის ფსიქიკა ჩამოუყალიბებელია და მასზე კომპიუტერის გავლენა უფრო ძლიერია, ამიტომ კომპიუტერთან მისი ურთიერთობა რაციონალური და დროში შეზღუდული უნდა იყოს. მშობლებმა მკაცრად უნდა აკონტროლონ კომპიუტერთან გატარებული დრო. მუშაობისას, თამაშისას, მულტფილმის ყურებისას მონიტორთან ჯდომის ხანგრძლივობა 6 წლამდე ასაკში არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს, 8-10 წლის ასაკში – ერთ საათს, 11 წლიდან – საათ-ნახევარს. სასურველია, ბავშვმა 15 წუთში ერთხელ აქტიურად დაისვენოს. ასწავლეთ მარტივი ვარჯიშები, მაგალითად, ჩაბუქვნა, კორპუსის ტრიალი, წინ დახრა, უკან და აქეთ-იქით გადახრა, კისრის ტრიალი, ხელების ტრიალი მაჯის, იდაყვის, მხრის სახსარში, მუშტის შეკვრა-გაშლა და სხვა.

საჭიროა თვალების ვარჯიშიც. თვალებისთვის მრავალნაირი ვარჯიში არსებობს, მაგრამ პრინციპი ერთი აქვთ – აამუშაონ თვალის მამოძრავებელი და აკომოდაციური კუნთები. მაგალითად, შეიძლება, ბავშვს ასეთი ვარჯიში შესთავაზოთ:

* 1-4 თვლაზე თვლები მაგრად დახუჭოს, შემდეგ გაახილოს, მოადუნოს თვალის კუნთები და 1-6 თვლაზე შორს გაიხედოს.

* 1-4 თვლაზე შეხედოს ცხვირის ფუძეს, შემდეგ 1-6 თვლაზე კვლავ შორს გაიხედოს.

* თავის მიუბრუნებლად გაიხედოს მარჯვნივ და 1-4 თვლაზე შეაჩეროს მხედველობა, შემდეგ 1-6 თვლაზე გაიხედოს შორს. იგივე გაიმეოროს მარცხენა მხარესაც.

* 1-6 თვლაზე მზერა სწრაფად გადაიტანოს დიაგონალურად მარჯვნივ და ზევით, შემდეგ – მარცხნივ და ქვევით. იგივე გაამეოროს მეორე დიაგონალზე.

თითოეული ვარჯიში ბავშვს 4-5-ჯერ გაამეორებინეთ.

ბავშვი კომპიუტერთან მოხერხებულად უნდა იჯდეს. მაგიდა და სკამი მის ასაკსა და სიმაღლეს უნდა შეესაბამებოდეს, რათა ძვალსახსროვანი და კუნთოვანი სისტემები ზედმეტად არ გადაიტვირთოს. სასურველია, ჰქონდეს ფეხების დასადგმელიც, რაც მუხლის სახსრის მოხრის კუთხეს დაარეგულირებს. სამუშაო ოთახს უნდა ანათებდეს როგორც ბუნებრივი სინათლე, ასევე ნათურაც. ოთახი ხშირად უნდა განიავდეს და დამუშავდეს სველი წესით.

კომპიუტერული დამოკიდებულების თავიდან ასაცილებლად ბავშვები უნდა ჩავაბათ სპორტში, ხელი შევუწყოთ ერთმანეთთან მათ დამეგობრებას. თუ კომპიუტერთან მაინც ბევრ დროს ატარებს, შეიძლება, ეს მის სასარგებლოდ გამოვიყენოთ – ვასწავლოთ კომპიუტერული ინჟინერია, რაც, მის პროფესიად თუ არ იქცევა, ნებისმიერ საქმიანობაში გამოადგება და ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს.

სწორი გამოყენების შემთხვევაში კომპიუტერი დადებით გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, ამიტომ არ უნდა ვუფრთხოდეთ ბავშვს ოთახში კომპიუტერის დადგმას, მაგრამ საჭიროა, მშობლებიც ერკვეოდნენ ამ სფეროში, თუნდაც იმისთვის, რომ აკონტროლონ, რითია გატაცებული მათი შვილი, გაიზიარონ მისი გატაცება და, საზოგადოდ, რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმონ შვილთან ურთიერთობას.

**– კვების თვალსაზრისით რა პრობლემები შეინიშნება?**

– ბავშვი დღე-ღამის ძალიან მნიშვნელოვან პერიოდს სკოლაში ატარებს და ამის გამო, სამწუხაროდ, ხშირად ვერ ახერხებს სწორ კვებას, ამიტომ მშობელმა თვალი უნდა ადევნოს, რომ მისი შვილი ნაჭამი გამოვიდეს შინიდან. ბავშვის რაციონი მრავალფეროვანი, დაბალანსებული უნდა იყოს, შეიცავდეს ყველა აუცილებელ ნივთიერებას: ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მიკრო – და მაკროელემენტებს. უნდა ვეცადოთ, საკვები იყოს ახალი, ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა. მნიშვნელოვანია საკმაო ოდენობის ხილისა და ბოსტნეულის მიღება – ისინი ორგანიზმს აწვდიან აუცილებელ ინგრედიენტებს, ფიტონუტრიენტებს, უჯრედისს.

საუზმისთვის საუკეთესოა სახამებლის შემცველი კერძები, მაგალითად, რძიანი ფაფა. ასეთი საუზმე ნელა აითვისება და ორგანიზმს დიდხანს უზრუნველყოფს ენერგიით. მასთან ერთად შეიძლება შევთავაზოთ ხილის, ბოსტნეულის წვენი, ჩაი, რძე. კვებათა შორის შუალედი არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს, რათა კუჭ-ნაწლავის ფერმენტულმა სისტემამ და მოტორიკამ სწორად იმუშაოს.

მეორე საუზმე, რომელსაც ბავშვი სკოლაში მიირთმევს, შეიძლება იყოს ბუტერბროდი ქათმის ან



საქონლის მოხარშული ხორცით, სალათის ან კომბოსტოს ფოთლით, კიტრით ან ბულგარული წიწაკით, უცხიმო ყველით. დესერტად შეიძლება გამოვატანოთ ვაშლი ან სხვა ხილი. ძეხვი, ჩიპსები, ნამცხვრები სასურველი არ არის.

შინ ბავშვმა კარგად უნდა ისადილოს. თუ მოზრდილი ადამიანისთვის წვნიანი არ არის აუცილებელი, ბავშვისთვის ის მეტად მნიშვნელოვანია. მეორე კერძად შეგიძლიათ შესთავაზოთ მოხარშული ხორცი ან თევზი ბოსტნეულის გარნირით, ბოლოს კი დესერტი. წვნიანი არ უნდა იყოს ზედმეტად ცხიმიანი და ძვლის ბულიონზე მომზადებული.

სამხრად შეიძლება მიირთვას ფუნთუშა რძესთან ან მაწონთან ერთად, ყველიანი ბუტერბროდი ჩაისთან ერთად, ხილი, ვახშმად კი კვერცხი, ხაჭო, თევზი, წვენი, რძე, მაწონი.

სასურველია, პური ქატოს შეიცავდეს.

ნამცხვრები და შოკოლადის კანფეტები ყოველდღიური საჭმელი არ არის, ამით მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა გავუმასპინძლდეთ.

კვების შუალედებში ბავშვს წყლის დალევაც არ უნდა დაავიწყდეს – დღე–ღამეში მან 1–2 ლიტრი წყალი უნდა მიიღოს.

ამრიგად, უნდა გვახსოვდეს, რომ რაციონალური კვების მთავარი პრინციპებია: ადეკვატური ენერგეტიკული ბალანსი, რომელიც ბავშვის ენერგოხარჯვას შეესაბამება, დაბალანსებული და მრავალფეროვანი რაციონი, კვების ოპტიმალური რეჟიმი, საკვების მომზადების სწორი ტექნოლოგია, რომელიც კერძს საგემოვნო და კვებით ღირებულებებს უნარჩუნებს. ასევე გასათვალისწინებელია ბავშვის ორაგნიზმის თავისებურებები და კვების უსაფრთხოების პრინციპის დაცვა.

სასკოლო ასაკში ბავშვის ორგანიზმი ინტენსიურად იზრდება; ვითარდება ყველა ძირითადი სისტემა: საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული; სქესობრივი მომწიფების გამო ხდება ორგანიზმის რადიკალური ენდოკრინული გადაწყობა; ვიზუალური გარდაქმნის ფონზე იტვირთება ფსიქოემოციური სფერო; თანდათან იმატებს არა მხოლოდ სასკოლო დატვირთვა, არამედ სოციალურ ადაპტაციასთან დაკავშირებული სირთულეებიც.

კვების სწორი ორგანიზება ბავშვს მრავალი სირთულის დაძლევაში დაეხმარება. ორგანიზმი ყველა რესურსით უნდა მომარაგდეს, რაც ზრდისა და განვითარებისთვის, მზარდი სასკოლო დატვირთვის ასატანად და სქესობრივი მომწიფებისთვის არის საჭირო.

ყველას გვსურს, აღვზარდოთ როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად და გონებრივად ჰარმონიულად განვითარებული ბავშვები. ჩვენ ისეთ ეპოქაში შევდივართ, რომელიც ადამიანს ძალიან დიდ მოთხოვნებს უყენებს და ამისთვის ყოველი ჩვენგანი ბავშვობიდანვე უნდა მოემზადოს, სხვაგვარად გარემოსთან ადაპტაცია გაუჭირდება.

**მარი აშუღაშვილი**
aversi.ge

# პოეზია

* * *

მამითი ჩემი რაჭაა და ფესვები გვაქვს სვანური,
ამერითა და იმერით „ნაკიეთია“ ზღაპრული.
ირემმაც მად დაიბღავლა, შეაზანზარა მთებია
ამომავალ მზეს შეხედა და გააოცა ერთია.
„ქართველო ხელი ხმალს იკარ“,
აღმართე შენი ალამი,
ფიქრით იფიქრე რაჭველო,
იმერეთიც ხომ მად არის.
აქვეა შენი ევროპა
„ნაკიეთს“ გიდევს საზღვარი
იმედად გედგეს აფხაზი,
ძმა აჭარელიც მად არის.
ერთხელ ვერ მოგეალერსე
და ჩემი ვალიც ეგ არის,
„ხვანჭკარით“ გლოცავ „ყვარლიდან“
საქართველიც ხომ მად არის.

* * *

ქალი ქართველი, ნენა ქართველი,
ამაყი შვილი ქართველთა ძისა,
ფუნჯი, ყალამი მრავლის მეტყველი, ვაზის ცრემლები ამა ქვეყნისა.
ია და იასამანი, ვარდიც „მეფეა“ ამათი.
ამრავლე ვაზი ქართული, დალოცე გლეხის მარჯვენა,
ნაღდი ქართველი ამრავლე, მოყვასი ქართულ გენისა,
იმძლავრე დააგუგუნე „მრავალჟამიერ“ ქართული
ძღვენი მიეცი შენ მტერსაც, შეარგე ყურძნის ნაჟური.
ერთურთს დავუდგეთ იმ გვარად, რომ გადაგვირჩეს მამული,
„მუმლი მუხასაო, მუმლი მუხასაო“,
არა ვთქვათ მტრებთანაც ისე, რომ გავაოცოთ ბევრია,
ილიას „ქართვლის დედა“ და „ყვარლის მთები“ ხომ ჩემია.
აღარ „ვატიროთ“ ვაზი და ვაძლიეროთ გენია,
მთა-ბარი ავახმიანოთ, გული-გულს მივცეთ, ხელი-ხელს,
ავღმართოთ ჩვენი ალამი,
„თეთი“ და „შავი“ გამოვყოთ, ვაზი ვარჩიოთ ჯიშითა.
არ დავივიწყოთ „გუთნური“.
ენისელ-შილდას ვიმღეროთ „აღნიაშვილის სუფრული“,
დიდების შარავანდედი მოსავდეს კახეთს!...
იმედი იყოს „პატარა კახი“, შეგეგნოთ მისი ნათქვამი,
დარიალიდან მოსული „თერგდალეული“ სად არის?
იმედად არაგველები, „მუხრან ბატონი“ მად არი!...

* * *

„ქინძმარაული“ ღვინო ყვარლისა, „წინანდალი“ კი არს
ამომავალი მზე თიბათვისა,
ფესვები მყარი, მყარი გენისა
„ილია“, „ალექსანდრე“ და „ნიკო ჭავჭავაანთი“, გულბაათია თამადა
ამა სოფლისა ჭკვიანთა ძისა,
„ნინო“ ჯვრით ხელში მცხეთას მავალი
იმედი ქართველთ გადარჩენისა,
ძე ხევსა დაბადებული, ცხუმ-აფხაზთა და ქართვლისა,
ერეკლე ცხენსა შემჯდარი ხომ გვირგვინია ერისა.
მამულისათვის მებრძოლნი, თავდადებული დავით სოსლანი,
ამომავალნი ვარსკვლავნი და გორგასალი ვახტანგი



იმად მოსულნი ამ ქვეყნად, რომ გადერჩინათ მამული.
არ-თქმული განა ლეგენდა? ნაღდი „მეფენი“ მებრძოლნი,
მამული გადაგვირჩინეს, შეჰყარეს ჯარი ქვეყნისა,
ამერ-იმერიც მოიხმეს, მოიხმარიეს „ყივჩაღნი“-ც,
თემი შეჰყარეს, გავეშდნენ, გადაარჩინეს მამულიც,
ერთმანეთს ძმობა შაჰფიცეს, „ლელო“ აქციეს სამშობლოდ,
დაერქვა საქართველო და უხმეს სხვა ძეთა საშენად,
იმათ აშენეს სამშობლო, რომ ეზეიმათ ქართველთა,
დიდება ჰქონდეთ წასულებს, ცოცხლებმა დიდხანს იცოცხლონ,
იმედი ნუ მოგვიშალოს, შეგვესვას ღვინო ყვარლული,
გვეზეიმოს და გველხინოს, გაგვევლოს გზანი „ზღაპრული“.

**ქ. დიდი**

# ზეთის არჩევის, შენახვის და მოხმარების წესები

## ქოლესტერინს არცერთი მცენარეული ზეთი არ შეიცავს, მას მხოლოდ ცხოველური პროდუქტები შეიცავენ



### ზეთის სახეობები

ზეთების კვებითი ღირებულება და კულინარული დანიშნულება მათი მიღების მეთოდზეა დამოკიდებული. გავერკვეთ ამ მეთოდებში:

ნედლეულიდან (ზეთისხილი, მზესუმზირა, სიმინდი, სოიო) მცენარეული ცხიმის მიღება შესაძლებელია დაწნეხვით ან ექსტრაქციის მეთოდით. დაწნეხვით მიღებული ზეთი უფრო სასარგებლოა.

ექსტრაქციით მიღებული ზეთი, როგორც წესი, უფრო იაფია, მაგრამ ბევრად უფრო ღარიბია სასარგებლი ნივთიერებებით, გარდა ამისა ასეთ ზეთში შესაძლებელია იყოს გამხსნელი ნივთიერების ნარჩენები და სხვა ქიმიური მინარევები.

ზეთის ხარისხისთვის აგრეთვე მნიშვნელოვანია ცივად დაწნეხილი ნედლეული. გაცხელება ნედლეულიდან ზეთის გამოსავალს ზრდის, თუმცა ამავე დროს ზეთში კანცეროგენული ნივთიერებების მოხვედრის შანსიც იზრდება. ამიტომ დაიხსომეთ: ცივი დაწნეხვით მიღებული ზეთი უფრო სასარგებლოა, ვიდრე ცხელი დაწნეხვით მიღებული.

ზეთის გამოწურვის შემდეგ მას წმენდენ. თუკი ამ დროს აქ გამოიყენება მხოლოდ ფიზიკური მეთოდები (გაფილტვრა, სალექარში გაჩერება და ნალექის მოშორება) – ზეთის ხარისხი მხოლოდ უმჯობესდება. თუმცა ამის შემდეგ ხშირად იყენებენ ზეთის ქიმიურ გაწმენდას, ანუ რაფინირებას. სრულ რაფინაციას ექვემდებარება ექსტრაქციით მიღებული ზეთები.

რაფინირებას იმიტომ მიმართავენ, რომ ასეთი გაწმენდის გარეშე ზეთი დიდხანს არ ინახება და კულინარულ დამუშავებააც ცუდად იტანს (გაცხელებისას შეიძლება აქაფდეს). თუმცა ქიმიური გაწმენდისას ზეთი ადამიანისთვის სასარგებლო ბევრ ნივთიერებას კარგავს და ნაკლებად სასარგებლო ხდება. აგრეთვე არ არის გამორიცხული ქიმიური დამუშავებისას ზეთში არასასურველი ქიმიური ნივთიერებების მოხვედრაც. ამიტომ რაფინირებული ზეთი უკვე ისეთი სასარგებლო აღარ არის, როგორიც მანამდე იყო.

ზოგჯერ ზეთის ეტიკეტზე ასეთ წარწერებს შეიძლება წააწყდეთ: „გავლილი აქვს მხოლოდ ჰიდრატაცია“, ან „მხოლოდ ვინთერიზაცია“, „დეზოდორაციის გარეშე“, „არომატიზაციის გარეშე“. ეს ყველა ტერმინები ქიმიური გაწმენდის (რაფინირების) სტადიებია. ამ წარწერებით მწარმოებელი მიგვანიშნებს, რომ ზეთს ქიმიური გაწმენდის სრული ციკლი კი არა, მისი მხოლოდ ნაწილი აქვს გავლილი. ანუ სრულად რაფინირებულ ზეთზე ცოტა უფრო უკეთესია, უფრო სასარგებლოა.

**ზეთის არჩევის ზოგადი წესები ასეთია:**

• თუ ზეთი გაცხელების გარეშე (მაგალითად სალათებში) უნდა იხმაროთ, შეეცადეთ არარაფინირებული (ან არასრულად რაფინირებული) ზეთი შეიძინოთ. ხოლო თუკი ზეთი რაიმეს შესაწვავად გინდათ, მაშინ რაფინირებული ზეთი გჭირდებათ;

• აუცილებლად გაეცანით შენახვის ვადას: რაფინირებული ზეთის შენახვის ვადა 1 წელი ან ცოტა მეტი შეიძლება იყოს (ჩანართი: გამონაკლისია რაფინირებული ზეითუნის ზეთი – მისი შენახვის ვადა 2 წელია), არარაფინირებულის კი უფრო მცირე: 3-8 თვე;

• თუკი ზეთის შეფუთვაზე მითითებული შენახვის ვადა ამაზე მეტია, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში სპეციალური ქიმიური დანამატები – ანტიოქსიდანტები არის დამატებული. როგორც წესი, ეს ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმისთვის საკმაოდ მავნეა. ამიტომ, თუ შესაძლებლობა გაქვთ, მოერიდეთ ისეთი ზეთის შეძენას, რომელსაც 2 წელზე მეტი შენახვის ვადა აქვს;

• აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება, რომ ზეთის შენახვის ვადა გასული არ იყოს! გაფუჭებული ზეთი ძალზე საშიშია ჯანმრთელობისთვის!

• მიაქციეთ ყურადღება, რომ რაფინირებული ზეთი კრიალა-გამჭვირვალე იყოს, ყოველგვარი ნალექის გარეშე. არარაფინირებულ ზეთს კი შეიძლება მცირე ნალექი ჰქონდეს, რომელიც სასარგებლოც კია ორგანიზმისათვის;

• თუ ზეთს აწერია, რომ იგი არ შეიცავს ქოლესტერინს, იცოდეთ, რომ ეს მხოლოდ სარეკლამო ხრიკია და ზეთის ეს სახეობა არაფრით არ ჯობს სხვას. ქოლესტერინს არც ერთი მცენარეული ზეთი არ შეიცავს, მას მხოლოდ ცხოველური პროდუქტები შეიცავენ.



### ზეითუნის ზეთის არჩევა

ზეითუნის ზეთის არჩევისას ყურადრება მიაქციეთ სორტის დასახელებას, რომელიც ეტიკეტზე უნდა იყოს მითითებული.

ზეითუნის ზეთისთვის საერთაშორისო ვაჭრობაში ასეთი სორტებია დადგენილი:

• Virgin Olive Oil: ეს არის არარაფინირებული ზეითუნის ზეთი, რომელიც მიღებულია მხოლოდ ფიზიკური მეთოდების (დაწნეხა, დაყოვნება, ფილტრაცია) გამოყენებით, ქიმიური გაწმენდის გარშე;

• Refined Olive Oil (ან უბრალოდ ლივე ილ) – რაფინირებული ზეითუნის ზეთია. ამ ზეთის ერთ-ერთი სახეობა, Light Olive Oil ისეა დამუშავებული, რომ მისი რამოდენიმეჯერ გაცხელებაც კი დაიშვება – მისი გაცხელებისას კანცეროგენული ნივთიერებები არ წარმოიქმნება;

• Pure Olive Oil – რაფინირებული და არარაფინირებული ზეთების ნარევია;

• Pomace Olive Oil – ეს ყველაზე დაბალი ხარისხის ზეითუნის ზეთია. იგი მიიღება ზეთისხილის ნაწნეხისაგან, ქიმიური გამხსნელებისა და მაღალი ტემპერატურის გამოყენებით.

ჩვენი ჯანმრთელობისთვის ყველაზე სასარგებლო სორტია Virgin Olive Oil (ამავე დროს ის ყველაზე ძვირიც ღირს). თუმცა, თუკი ზეთის გაცხელებას ან მისი გამოყენებით რაიმეს შეწვას გეგმავთ – რა თქმა უნდა ღეფინედ ლივე ილ უნდა შეიძინოთ, სასურველია Light Olive Oil ტიპის.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ბაზარზე სუფთა ზეითუნის ზეთად სხვადასხვა ზეთების ნარევს ასაღებენ. თუ ასეთი საეჭვო ზეთის შეძენას აპირებთ, გირჩევთ ჯერ მცირე რაოდენობა შეიძინოთ და 2-3 დღით მაცივარში შედოთ – სუფთა ზეითუნის ზეთი მაცივარში 2-3 დღის მოთავსების შემდეგ თეთრი ნალექს იკეთებს, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე სწრაფად ქრება. თუკი ზეითუნის ზეთში სხვა ზეთია შერეული, ასეთი ნალექი აღარ წარმოიქმნება. ასე იოლად გაარჩევთ ზეითუნის ზეთი სუფთაა, თუ სხვა ზეთი აქვს შერეული.

და კიდევ ერთი: ზეითუნის ზეთის ფერი აუცილებლად ყვითელი არ არის. იგი ზეთისხილის მოყვანის ნიადაგის და კლიმატურ პირობების მიხედვით ყვითლიდან მწვანემდე იცვლება. არარაფინირებული ზეითუნის ზეთი Vირგინ ლივე ილ შენახვის განმავლობაშიც იცვლის ფერს.

### ზეთის შენახვა და გამოყენება სახლში

იმისათვის, რომ ზეთმა შეინარჩუნოს სასარგებლო თვისებები, იგი უნდა შევინახოთ ბნელ ადგილას, დავიცვათ მეტალებთან და წყალთან შეხებისაგან.

ზეთის შენახვის ოპტიმალური ტემპერატურაა +5-დან +20 გრადუსამდე. არარაფინირებული ზეთი უმჯობესია შევინახოთ მაცივარში, მინის ჭურჭელში.

გახსნილ ბოთლში ზეთი უფრო სწრაფად ფუჭდება. ამიტომ სახლში ზეთის ბოთლის გახსნის შემდეგ ეცადეთ ზეთი 1-1.5 თვის მანძილზე გამოიყენოთ.

გახსნილ ბოთლს ყოველთვის დაახურეთ თავი, რათა დავიცვათ ზეთი ჟანგბადისა და ტენისაგან;

გირჩევთ, ნუ იყიდით ზეთს იმაზე დიდი რაოდენობით, ვიდრე მის შენახვის ვადაში მოიხმართ. თუ თქვენს ჯანმრთელობას უფრთხილდებით, ზეთს ვადა როგორც კი გაუვა, უნდა გადააქციოთ;

გაცხელებისას ზეთში კანცეროგენური და ტოქსიკური ნივთიერებები წარმოიქმნება. ამიტომ ზეთის რამდენჯერმე გაცხელება არ შეიძლება! ერთხელ შესაწვავად გამოყენებული ზეთი უნდა გადაასხათ!

**ზეთი გამოსაყენებლად უვარგისია, თუკი:**

• მას მწარე ან მძაღე გემო აქვს (შესაძლებელია ეს გემო მხოლოდ ზეთის გაცხელების შემდეგ იგრძნოთ) – ეს ზეთი ან დაძველდა, ან უვარგისი, ამძაღებული ნედლეულისგან არის დამზადებული. ნუ იხმართ ასეთ ზეთს, ის მავნეა თქვენი ჯანმრთელობისთვის!

• თუ გაცხელებისას ზეთი თევზის სუნს გამოჰყოფს – ეს ნიშნავს რომ ზეთი მიღებულია ტექნოლოგიური პროცესის დარღვევით და უხარისხოა. ის არ მოგწამლავთ, მაგრამ არც სარგებლობას მოგიტანთ.

momxmarebeli.ge

# დათო (დუჩუნე) სეფაშვილის გახსენება



როცა კეთილი ადამიანის სიცოცხლე ნაადრევად წყდება, მაშინ იწყება მწუხარებისა და გლოვის ჟამი და არ მთავრდება სურვილი მონატრებისა.

რომ არა, ის ავბედითი 1994 წლის 1 იანვარი, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა, დღესაც შენს ცოლშვილთან იქნებოდი. ოქროს ხანაში დაგატოვებინა ბედის წერამ წუთისოფელი. იქ დამთავრდა ყველაფერი, სადაც იწყებოდა. დაიწვა და ჩაიფერფლა შენი ოცნებები და მომავალი, ჩემო ლამაზო, თბილო და ცოლშვილისთვის ერთგულო მეგობარო და მამა.

შენ მხოლოდ სიკეთითა და სიყვარულით იყავი ამ ქვეყნად მოვლენილი და ამიტომაც დატოვე დაუვიწყარი სახელი. შენი არსებობა ისევ გრძელდება შენს ახლობლებსა და მეგობრებში. შენი ხალისიანი, თბილი ბუნება შენდამი ყველას სამეგობროდ განაწყობდა და ამიტომაც გყავდა დიდი სამეგობრო წრე. ისინი დღემდე მოდიან შენს საფლავზე, ქედს იხრიან, ლოცულობენ და გიხსენებენ, როგორც ერთ-ერთ ვაჟკაცურ და საამაყო მეგობარს. შენი სახელი არ ჩააქრო შენს კერაზე შენმა ერთადერთმა სანთელმა შენი მოსახელე შვილიშვილი დავით გიორგის ძე სეფაშვილი უკვე ექვსი წლის გყავს, სკოლაში მივიდა და წარჩინებული ბავშვია.

უფალს ვთხოვ, ნათელი ედგას შენს ლამაზ სულს იმქვეყნიურ სასუფეველში.

დათო, ძალიან მენატრები.

**შენგან ტანჯული დედა**

# როგორ ამოვიცნოთ კიბო ადრეულ ეტაპზე – ყველაზე გავრცელებული 4 სიმპტომი



სამწუხაროდ, სიმსივნური პათოლოგიის დიაგნოსტიკა უხშირესად ბოლო სტადიებზე, უკვე შორსწასულ ეტაპზე ხდება, მაშინ, როცა სიმსივნური უჯრედები მთელ ორგანიზმშია გავრცელებული. ამ მომაკვდინებელ სენთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს მის დროულად გამოვლენას.

ამერიკელმა მკვლევარებმა დაასახელეს კიბოს ადრეული და ყველაზე გავრცელებული 4 სიმპტომი.

აღნიშნულ სიმპტომთა შეუღლების შემთხვევაში სპეციალისტები გვირჩევენ არ დავაყოვნოთ ექიმთან ვიზიტი. ამ გზით შესაძლებელი იქნება დაავადების დროულად დიაგნოსტიკა და შესაბამისი მკურნალობის დაწყება.

უპირველესად ყურადღება უნდა მივაქციოთ სხეულის ტემპერატურას, რადგან ის სიმსივნური პათოლოგიის განვითარების პროცესში ხანგრძლივად მომატებულია 37,1-38,0 გრადუსის ფარგლებში. ტემპერატურის მომატება არ არის ჭეშმარტი ონკოლოგიური სიმპტომი, თუმცა, ერთ-ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანია – აღნიშნავენ სპეციალისტები.

ამერიკელ ონკოლოგთა საზოგადოების მედიკოსები კიბოს გამოხატული სიმპტომებიდან ასახელებენ წონაში კლებას, აუხსნელი მიზეზით, როცა ადამიანი არც სპორტს მისდევს და არც დიეტას იცავს. არაჯანსაღი ორგანიზმის მანიშნებელია აგრეთვე მუდმივად ძილიანობა და მომატებული დაღლილობის შეგრძნება, რაც მთავარია უმიზეზოდ, როდესაც ამ სიმპტომებს არანაირი საფუძველი არ აქვს და ადამიანი მას კონკრეტულად ვერაფერს უკავშირებს.

სპეციალისტებმა ონკოლოგიური დაავადების ადრეულ სიმპტომებად გამოყვეს ხმის ჩახლეჩა, ყელის ტკივილი და ხანგრძლივად შეუხორცებელი ჭრილობები ტუჩებზე.

ექიმები გვირჩევენ, ყურადღება მივაქციოთ საკუთარ შეგრძნებებს, სისტემატურად ჩავიტაროთ სამედიცინო შემოწმება, რათა დროულად გამოვლინდეს დაავადება და დროულადვე დაიწყოს მისი სათანადო მკურნალობა.

Mkurnali. ge





# საქართველოს ულამაზესი ოაზისის, ყვარლის მუნიციპალიტეტის, მოსახლეობას კი ვუსურვებ სიკეთეს, ულევ სიხარულს და ეკონომიური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას

*ყვარლელებისთვის ცნობილ და პატივსაცემ პიროვნებას, ქალაქ რუსთავის საპატიო მოქალაქეს, რომელიც მრავალი წელია ჩვენი ქალაქის გულშემატკივარია და გაჭირვებულ ადამიანებს უანგაროდ ეხმარება, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 182 წლისთავის აღსანიშნავ „ილიაობაზე“ ყვარლის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. გაზეთ „ყვარლის“ მკითხველთა დაინტერესების გამო წინასაახალწლოდ ვესტუმრე ბატონ იუზა ჩუბინიძეს და ვთხოვე მომზადებულ კითხვებზე გაეცა პასუხები.*

**– ბატონო იუზა, გილოცავთ ყვარლის საპატიო მოქალაქის წოდებას, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. რა თქმა უნდა გაგიხარდათ, მოულოდნელი სიურპრიზი ხომ არ იყო თქვენთვის?**

– დიდი მადლობა თქვენ, დიდი მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ჩემთვის შეიძლებოდა ყვარლის საპატიო მოქალაქის წოდების მონიჭება, ხოლო რაც შეეხება სიურპრიზსა და მოულოდნელობას, დიახ, ასე იყო და ყველაფერ ამას მე უფრო ავანსად ვთვლი და ვეცდები ყველა ყვარლელის გვერდით ვიდგე, ვისაც გაუჩნდება კეთილი საქმეების სურვილი.

**– გთხოვთ წარმოგვიდგინოთ თქვენი პერსონა, სად მოღვაწეობთ, დღეს რას საქმიანობთ და რა გაკავშირებთ ყვარელთან?**

– დავიბადე იმერეთის მხარეში, ქ. ჭიათურაში, დავამთავრე ხალიფაურის საშუალო სკოლა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი, განაწილებით მოვხვდი ქ. რუსთავში, სადაც ვცხოვრობ და ვშრომობ დღემდე სააქციო საზოგადოება „სარინი“-ში დირექტორის თანამდებობაზე.

ჩვენი საზოგადოება სამართალმემკვიდრეა საქართველოში პიონერი სამონტაჟო სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაციისა და ახლაც იგივე სამუშაოებს ეწევა. დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში მოქმედი ყველა დიდი საწარმოს მშენებლობაში. მონაწილეობა გვაქვს მიღებული ისტორიული აზერბაიჯანი – საქართველო – თურქეთის ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობაში. ვმონაწილეობდით და ვმონაწილეობთ საქართველოში ღვინის წარმოებაში განახლებისა და ახალი საწარმოების, თანამედროვე ჰესების შექმნაში. ჯერჯერობით ჩვენი საქმიანობის გვირგვინად მაინც ვთვლი სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას, რომელშიც უფლის შემწეობით ჩვენც შევიტანეთ პატარა წვლილი. დავამზადეთ და დავამონტაჟეთ ლითონის კონსტრუქციები მთელი მშენებლობისათვის, დავამონტაჟეთ ზარები სამრეკლოში და რაც მთავარია, ჩვენს საწარმოში დამზადდა საქართველოს უპირველესი ჯვარი უჟანგავი ფოლადისგან, რომელიც შემდგომში საპატრიარქოს მუშა ეზოში მოპირკეთდა სპილენძით და მოოქროვდა, რომელიც დამონტაჟდა გუმბათზე ჩვენს მიერ.

ყვარელსა და ყვარლელებთან დაკავშირებით კი ვიტყვი, რომ ძალიან ბევრ ყვარლელთან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის დროს ჩამოყალობდა მეგობრული ურთიერთობა, ხოლო როცა ყვარელში მოვხვდი, მოვიხიბლე ამ საოცარი სანახაობითა და სილამაზით, რამაც ადვილად გადამაწყვეტინა შემესრულებინა ჩემი მეუღლის სანათესაოს და მეგობრების თხოვნა აგვეშენებინა სახლი ყვარელში. შემდგომ, როგორც კი სურვილი და თანხმობა გამოვაცხადე, წამოვიდა დახმარებები: ქვისლმა, გივი შიუკაშვილმა, მაჩუქა ის ნაკვეთი, სადაც ახლა ჩემი საცხოვრებელი სახლია და ისე სწრაფად ავაშენეთ, დღესაც გაკვირვებული ვარ.



**– ოთხმოცდაათიანი წლების გაჭირვების პერიოდში, როცა სანატრელი იყო ელექტროობა, ქ. ყვარლის და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად ჩალის ტბის ელსადგურის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი მიგიძღვით, რა პრობლემები იყო და როგორ მოაგვარეთ, რათა დროულად ამუშავებულიყო ელსადგური?**

– დიახ, ოთხმოცდაათიანი წლები, ჩვენი თაობისათვის ბოლომდე კოშმარად დარჩება, იყო ქაოსი, უიმედობა, უშუქობა და რაც მთავარია საქართველოში არსებობდა იმხელა ენერგეტიკული სიმძლავრეები, რომ ისეთი სიძნელეები არ უნდა შექმნილიყო. სწორედ ამ პერიოდში ბატონმა თამაზ კონჭოშვილმა მოინდომა გამოეყენებინა ჩალის ტბის წყალი მცირე ჰესისთვის, რომელიც ყვარლისთვის გადაჭრიდა უდიდეს პრობლემებს. შემდეგ დიდი ენთუზიაზმით გამოიყენა ყველანაირი კავშირები და რესურსები, შემოიკრიბა გარშემო თანამოაზრეები, მეგობრები, რომელთა შორის ვიყავი მეც. ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე ჩვენს საწარმოს წილად ხვდა ტურბინა-გენერატორების, ჩამკეტ-გამშვები არმატურის მონტაჟი და მილის რეაბილიტაცია იმ დონეზე, რომ გამომდგარიყო სადაწნევო მილად.

ყველამ იმუშავა თავდადებით, ერთგულად და მოკლე ხანში ყვარელს ჰქონდა თავისი მინი-ჰესი.

მე მგონი ბატონ თამაზს შემდგომში უფრო მეტი წინააღმდეგობები შეხვდა, ვიდრე მშენებლობის პერიოდში. ამის შესახებ უმჯობესია მან ისაუბროს.

**– კიდევ რომელი პრობლემების მოგვარებაში მიიღეთ მონაწილეობა ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ?**

– რაც შეეხება ყვარლის პრობლემების მოგვარებას, მეც რა თქმა უნდა, ჩართული ვარ მასში.

მაქვს საქმიანი ურთიერთობა ყვარელში არსებულ საწარმოებთან და ქალაქის მუნიციპალურ სამსახურებთან. მომართვის შემთხვევაში ერთობლივად უმოკლეს დროში ვწყვეტთ ტექნიკურ საკითხებს და რა თქმა უნდა წამოჭრილ პრობლემებს.

**– თქვენ მომსწრე ხართ ინდუსტრიული ქალაქის მშენებლობის, როგორი რუსთავი იყო და როგორ გამოიყურება დღეს?**

– დიახ, მე ისეთი თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელმაც ჩაიბარა ესტაფეტა იმ თაობისაგან, რომელმაც რუსთავის მშენებლობას საფუძველი ჩაუყარა და ააშენა კიდეც. ამიტომ ჩვენ ვალდებულები ვიყავით ეს ესტაფეტა ძირს არ დაგვეშვა და არც დავუშვით. ოთხმოციანი წლების ბოლოსთვის რუსთავის სამრეწველო სიმძლავრეებმა პიკს მიაღწია და თითქმის ყველა შრომის უნარიანი რუსთაველი ამ საწარმოებში მუშაობდა.

ამჟამად წამოვიდა ახალგაზრდა თაობა, რომელთა მოღვაწეობა დიდი იმედით გვავსებს. შენდება ახალი თანამედროვე საწარმოები და საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ყველანაირ ტექნოლოგიურ მოთხოვნებსა და ყველაზე კრიტიკული დიზაინერის კრიტიკას უძლებს.



**– რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უფრო საინტერესო გახდეს საქართველოში ცხოვრება და ახალგაზრდების მასიური მიგრაცია არ ხდებოდეს დასავლეთის ქვეყნებში?**

– საქართველოში ყოველგვარი ინფრასტრუქტურა, საკომუნიკაციო საშუალებები და სხვადასხვა ყოფითი პირობები უნდა განვითარდეს პერიფერიებში იმდენად, რომ დაუახლოვდეს მაინც, საიდაც ხალხი მიგრირებს და დამერწმუნეთ მიგრაცია უეჭველად შეწყდება.

**– პროფესიულ განათლებაზე რას გვეტყოდით, საჭიროა თუ არა ახალგაზრდა რომელიმე სპეციალობას ფლობდეს?**

– პროფესიული განათლების სფეროს განვითარების მიზნით ინვესტიციების მოზიდვაზე უკეთესს ალბათ ვერ გააკეთებს სახელმწიფო, მინიმუმ ათი წლის მანძილზე მაინც. ამჟამინდელი პროფესიული დონე ჩვენი ახალგზრდობისა კრიტიკას ვერ უძლებს. ვერცერთ კარგ სპეციალისტს, რაიმე საქმეში დაუსაქმებელს ვერ იპოვით, მაშინ როდესაც ქვეყნის უდიდესი პრობლემა უმუშევრობაა. ამიტომ ჩემი აზრია, რომ პროფსასწავლებლები უნდა განვითარდეს აუცილებლად.

**– ახლა თქვენს ოჯახურ გარემოს დავუბრუნდეთ, მეუღლე, შვილები სად მოღვაწეობენ და თუ ხართ კმაყოფილი მათი საქმიანობით?**

– რაც შეეხება ჩემს ოჯახს: მეუღლე, ეთერი რუსიაშვილი ყვარლელია, პროფესიით ჩემი კოლეგაა. ერთად დავამთავრეთ ინსტიტუტი, ერთად ვმუშაობდით, მაგრამ პირველი შვილიშვილის დაბადების შემდეგ გადაწყვიტა თავის თავზე აეღო შვილიშვილების აღზრდა და ოჯახური საქმეები. გავზარდეთ ორი შვილი – სოსო და მაია. სოსო აგრძელებს ჩემს გზას და მოღვაწეობს ს/ს „სარინი“-ში. მაია დაკავებულია თავისი ბიზნესით. მყავს ხუთი შვილიშვილი, რომლებიც შევეცადეთ აღგვეზარდა და მე მგონი გამოგვივიდა კიდეც, რომ ყოფილიყვნენ საქართველოს ღირსეული შვილები.




**– როგორია ბატონი იუზას საახალწლო სურვილები?**

– მეც, ალბათ როგორც ყველა ქართველი, პირველ რიგში მივულოცავ სრულიად საქართველოს დამდეგ ახალ წელს, ყოფილიყოს სიმშვიდის, გაერთიანების, ტერიტორიების დეოკუპაციის, დიდი სიხარულისა და სიკეთის მომტანი ყველა ოჯახისათვის.

საქართველოს ულამაზესი ოაზისის, ყვარლის მუნიციპალიტეტის, მცხოვრებლებს კი ვუსურვებ სიკეთეს, ულევ სიხარულს და ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

**– გმადლობთ ბატონო იუზა, გილოცავთ შობა-ახალ წელს, მრავალს დაეწარით თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად, იმრავლეთ და გაიხარეთ, უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.**

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

# საახალწლოდ მორთულ-მოკაზმული ყვარლის ცენტრალური მოედანი 31 დეკემბერს გიხმობთ სადღესასწაულო გალა-კონცერტზე








## თავისუფალი ჭიდაობა



# დავით ჭუნაშვილი საქართველოს ჩემპიონია

მიმდინარე წლის 21-22 დეკემბერს ქ. თბილისში ჩატარდა შოთა ლომიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი 2005-2006 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის.

ტურნირი მიზნად ისახავდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების კანდიდატების შერჩევას და ლიცენზიის მიღებას ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე ნაკრების დაკომპლექტებისათვის.

აღნიშნულ ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა დავით ჭუნაშვილმა. მან 41 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დიდი უპირატესობით დაამარცხა და ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

დავითმა ამ გამარჯვებით ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში.

დავით ჭუნაშვილი ახლა ემზადება ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირისათვის, რომელიც გაისად თებერვლის თვეში ჩატარდება.

წარმატება ვუსურვოთ დავით ჭუნაშვილს (მწვრთნელი ბ. სამიტაშვილი).

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ორი საშობაო სიმბოლო, რომლის გარეშეც ახალი წლის დღეები წარმოუდგენელია

საქართველოში ახალი წლის ტრადიციები საკმაოდ მრავალფეროვანია და ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი წესი თუ ადათი აქვს. თუმცა არის ტრადიციები, რომლებიც ერთ კუთხეში შეიქმნა, მაგრამ მალევე მთელს ქვეყანაში გავრცელდა და ახალი წელი მათ გარეშე ველარ წარმოგვიდგენია.

ასევე ვიცნობთ ტრადიციებს, რომლებიც სხვა ქვეყნებიდან შემოვიდა და თან-დათანობით ქართულ ტრადიციადაც კი ყალიბდება.

საქართველოში ჩიჩილაკის დადგმის ტრადიცია ქრისტიანულ ეპოქას უკავშირდება, კერძოდ, წმინდა ბასილის სახელს. ახალი წელი „წმინდა ბასილის დღედ“ მოიხსენიებოდა, რადგან მისი ხსენების დღეს მართლმადიდებლური ეკლესია სწორედ ახალი წლის პირველ დღეს აღნიშნავს. როგორც ჩანს, საუკუნეების წინ ქართველებმა ჩიჩილაკის ბურბუშელები წმინდა ბასილის თეთრ წვერს დაუკავშირეს, ხეს ქრისტიანული დატვირთვა მიანიჭეს და მას „ბასილას წვერები“ უწოდეს.

ახალ წლამდე ორი კვირით ადრე თხილის გრძელ ჯოხს ჭრიდნენ და წყალში ალბობდნენ. ახალი წლის წინა ღამეს ცეცხლზე დაბრაწავდნენ და კანს გააცლიდნენ. ბოლოს თლიდნენ და თეთრი ფერის „ბასილას წვერებიც“ მზად იყო.

ჩიჩილაკს, ისევე როგორც ყველა სიმბოლოს, თავისი დანიშნულება აქვს. ხე ნაყოფიერების ნიშანია, ბურბუშელები მზის სხივებს განასახიერებს. ჩიჩილა-კის თავზე დამაგრებული ჯვარი კი რწმენის სიმბოლოა.

დღეს შობა და ახალი წელი ამ სიმბოლოს გარეშე წარმოუდგენელია. შობის ყვავილად წოდებული ულამაზესი მცენარე პუანტესა საქართველოში არც ისე დიდი ხანია, რაც გამოჩნდა, მაგრამ უკვე შეძლო ბევრ ოჯახში თავის დამკვიდრება. მასთან დაკავშირებით ერთი ასეთი ლეგენდა არსებობს:

მექსიკაში ობოლი და-ძმა ცხოვრობდა. თურმე, ძალიან უყვარდათ შობა და ყოველ წელს მოუთმენლად ელოდნენ ამ დღეს. ერთ შობას მოძღვართან ყვე-ლამ საჩუქარი მიიტანა. და-ძმას საჩუქრის შეძენის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ შობის ღამეს მოძღვარს ქოთნით პუანტესა მიართვეს. იმ ღამეს მცენა-რეს ფერი უცვლია და გაწითლებულია. პუანტესა ესპანელებმა მექსიკისთვის ბრძოლის დროს ნახეს. იმდენად მოიხიბლნენ შობის პერიოდისთვის გაშლი-ლი ულამაზესი ვარსკვლავით, რომ მღვდელმსახურებმა ამ ყვავილს ფლორ დე ოცჰებუენა ანუ შობის ღამის ყვავილი უწოდეს.

„შობის ყვავილი“ თავისი მწვანე ფოთლებითა და წითელი „ვარსკვლავებით“ იმდენად ლამაზია, რომ განსაკუთრებულად უხდება შობა-ახალი წლის დღეებს. მისი მოვლა არც ისე რთულია და ამბობენ, რომ მას ბედნიერების მოტანა შეუძლია. თანაც არ დაგავიწყდეთ: ჩიჩილაკისა და „შობის ყვავილის“ ტრადიციამ საუკუნეებს გაუძლო. უკვე საუკუნეებია, ორივე მათგანი ნაყოფიერების, ბარაქისა და ბედნიერების სიმბოლოა.



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86